ლელო

პირველი ქართული სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან
3 მარტი პარასკევი 2017
№ 044 (15 036) ფასი 1 ₾

12

ვარჯიშს მალე შევუდგები

ინტერვიუ ვიქტორ სანიკიძესთან

2-3

კეჟმანი: გახსოვს გოგა, ვან ბომელი რომ გემალებოდა?

გახსოვთ მატია კეჟმანი? ის ორი ქვეყნის საუკეთესო ბომბარდირია - იუგოსლავიის (1999-2000) და სამგზის ჰოლანდიის (2000-01, 2002-03, 2003-04), ერთხელ ერედივიზიეს (ჰოლანდია) წლის საუკეთესო ფეხბურთელად აღიარეს (2002-03), არის არა მხოლოდ ჰოლანდიისა და იუგოსლავიის, არამედ, ინგლისის, თურქეთისა და ბელარუსის ჩემპიონი. მან ჰოლანდიაში რეკორდიც დაამყარა - ერთ სეზონში 35 გოლი გაიტანა და ამით რონალდოსაც კი აჯობა (ბრაზილიელმა 34 გაიტანა).

ბელგრადელ ბიჭს ოცნება მაშინ აუხდა, როდესაც „პარტიზანის" თავგამოდებული ფანი საყვარელ კლუბში მოხვდა, მერე კი იყო „პსვ ეინდჰოვენი", „ჩელსი", მადრიდის „ატლეტიკო", „ფენერბაჰჩე", პსჟ, „ზენიტი", „საუთ ჩაინა" (ჰონ კონგი), ბატე.

2000-2006 წლებში სერბეთისა და ჩერნოგორიის ნაკრებში ჩატარებულ 49 მატჩში 17 გოლი გაიტანა, არის ევრო 2000-ისა და 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის მონაწილე.

ცნობილი სერბი ფეხბურთელი საქართველოს მეუღლესთან ერთად ესტუმრა, სადაც მეგობარი მასპინძლობდა - ყოფილი თანაგუნდელი გოგა გახოკიძე, რომელთან ერთადაც 2000-2003 წლებში „ეინდჰოვენში" თამაშობდა. სხვათა შორის, გახოკიძის თქმით, სერბ ვარსკვლავს საქართველო ისე მოეწონა, აქ სახლის ყიდვას აპირებს.

რატომ და რისთვის, რატომ სურს ქართველებთან თანამშრომლობა - ამ და სხვა საინტერესო თემებზე მატიას კეჟმანი ქართველ ჟურნალისტებს გვესაუბრა. ის ძალიან უბრალო და კეთილგანწყობილი ადამიანი აღმოჩნდა და არა ისეთი აგრესიული, როგორიც მოედნიდან გვახსოვდა...



4

ხვალ, მედინა დელ კამპოში ესპანეთი-საქართველო

11

თოკო დაბრუნდა

ერთთვიანი შესვენების შემდეგ საქართველოს ნაკრების ფორვარდი **თორნიკე შენგელია** მოედანს დაუბრუნდა. იგი ფეხის ტრავმას იშუშებდა. გუშინ კი, ევროლიგაზე, „მილანთან" 18 წუთში 11 ქულა, 2 მოხსნა და 1 პასი მოაგროვა.

თოკოს გარჯა დაუფასდა - „ბასკონიამ" მილანელები 87:74 დაამარცხა.

XXIX

I ტური

სამგრედია-შუქურა

04.03. სამტრედია. ეროსი მანჯგალაძე. 14:00

ურთიერთშეხვედრები

6: +4 =1 -1, 12:6

დისკვალიფიკაცია

გიორგი დათუნაიშვილი (სამტრედია) - **კობა შალამბერიძე** (შუქურა)

ლოკომოტივი-დინამო (თბ)

05.03. თბილისი. მიხეილ მესხი (სათადარიგო). 15:00

ურთიერთშეხვედრები

28: +14 =7 -7, 38:28

დინამო (თბ)-კოლხეთი

05.03. თბილისი. დინამო არენა. 15:00

ურთიერთშეხვედრები

55: +37 =11 -7, 123:40

დისკვალიფიკაცია

დავით ბოლქვაძე, ომარ გოგონაია, ვლადიმირ კორობკა (ყველა - კოლხეთი)

ჩიხურა-დილა

05.03. ზესტაფონი. დავით აბაშიძე. 18:00

ურთიერთშეხვედრები

12: +3 =3 -6, 12:22

დისკვალიფიკაცია

ალექსანდრე კვახაძე (დილა)

საბურთალო-გორპედო

05.03. თბილისი. მიხეილ მესხი. 18:00

ურთიერთშეხვედრები

2: +0 =1 -1, 4:9

დისკვალიფიკაცია

დავით ხურცილავა, შალვა ფურცხვანიძე (ორივე - ტორპედო)

შაბათს, 4 მარტს სტარტს აიღებს საქართველოს XXIX ჩემპიონატი! როგორც ყოველთვის, ახალი სეზონის დაწყებას, ახლაც ოპტიმისტურად ვხვდებით და ამჯერადაც დიდი სურვილი გვაქვს, რომ მოახლოებულმა ჩემპიონატმა დაძაბულად და საინტერესოდ ჩაიაროს, მით უფრო, რომ ახალ სეზონში ქართულ საკლუბო ფეხბურთში უამრავი სიახლე გველოდება! უპირველეს ყოვლისა, უმაღლეს და პირველ ლიგაში გუნდების რაოდენობის შემცირება უნდა აღვნიშნოთ: რანგით პირველ და რანგით მეორე ლიგებში 10-10 გუნდიანი ჩემპიონატი გველოდება; არანაკლები სიახლეა, ჩემპიონატის ფორმატის შეცვლა: ყველა ლიგაში სეზონი მარტში დაიწყება და ნოემბრის ბოლოს დასრულდება; თუმცა, უმთავრეს სიახლედ, რაღა თქმა უნდა, მატერიალური წახალისება უნდა მივიჩნიოთ: ამიერიდან, ყველა ქუ-ლას მართლაც ფასი ექნება და ყოველი მოგებული (ან - ფრედ დამთავრებული) მატჩი ყველა გუნდის ბიუჯეტს გვარიანად შეავსებს!

... როგორც უმაღლეს, ასევე პირველ ლიგაშიც 10 გუნდი ოთხ წრედ იასპარეზებს (24 ივნისიდან 22 ივლისამდე დაახლოებით ერთთვიანი შესვენება იქნება); ჩემპიონი გუნდი, 2018 წელს ჩემპიონთა ლიგაზე იასპარეზებს, მეორე-მესამე ადგილზე გასული გუნდები და თასის მფლობელი კი - ევროპის ლიგაზე; აი, რაც შეეხება დაქვეითებას, უმაღლესი ლიგიდან ბოლოადგილოსანი ავტომატურად ვარდება პირველ ლიგაში, ხოლო VIII-IX ადგილზე გასულ გუნდებს პირველი ლიგის I-II ადგილზე გასულ გუნდებთან მოუწევთ პლეი ოფის მატჩების გამართვა. მოკლედ, სიახლე ბევრია და ოპტიმიზმის საფუძველს ის ფაქტიც ადასტურებს, რომ უმაღლესი ლიგის გუნდების თითქმის აბსოლუტურმა უმრავლესობამ („შუქურასა" და „კოლხეთის" გარდა) ზამთრის მოსამზადებელი ეტაპი უცხოეთში, მართლაც მშვენიერ პირობებში გაიარა! ანუ, წესითა და რიგით, აღარ უნდა გვესმოდეს წამდაუწუმ ამა თუ იმ გუნდის მესვეურთაგან თუ მწვრთნელებისგან, რომ „მოუმზადებელი და მშიერი გუნდისგან აბა, რა შედეგს ითხოვთო"...

...თუმცა, ისეც არ გვინდა ვინმემ გაიგოს, თითქოსდა, მთლად იდეალური სეზონის მოლოდინი გვაქვს; ანუ, ქართულ საკლუბო ფეხბურთში, სამწუხაროდ, კვლავაც არაერთი პრობლემაა და ბევრად უფრო სამწუხარო კი ის არის, რომ ამ პრობლემათაგან რამდენიმე, უკვე მართლაც ქრონიკულია! ჰო, ნამდვილად ასეა და ამ შემთხვევაში მხოლოდ იმას არ ვგულისხმობთ, საქართველოს ჩემპიონატის დონე აშკარად უფრო უკეთესის სურვილს რომ უნდა ტოვებდეს. ანუ, თითოეული ჩვენგანი მხოლოდ იმით ვკმაყოფილდებოდით, რომ ამა თუ იმ სეზონში ინტრიგა მატულობდა, აი, საფეხბურთო დონეს რაც შეეხება კი, ამ მხრივ, ვერანაირ პროგრესს ვერ ვხედავდით; აღარაფერს ვამბობთ კიდევ ერთ და უკვე წლების განმავლობაში მართლაც ქრონიკულ პრობლემად ქცეულ, სტადიონების თემაზე! ჰო, რაც უნდა ვცვალოთ ჩემპიონატის ფორმატი, რაც უნდა ვამციროთ გუნდების რაოდენობა და ყოველი მოგებული მატჩის მერე რაც უნდა მატერიალურად წავახალისოთ გუნდები, კეთილმოწყობილი სტადიონების კატასტროფულად მცირე რაოდენობა, კვლავაც ყველაზე აქტუალურ პრობლემად რჩება ქართულ საკლუბო ფეხბურთში!.. აბა, რამდენად „ნორმალურია", რომ უმაღლესი და პირველი ლიგის 20 გუნდიდან მხოლოდ და მხოლოდ ერთეულებს თუ აქვთ იმის ფუფუნება, რომ ბუნებრივ-საფარიან მოედანზე ივარჯიშონ თუ ითამაშონ...

საბგრედია

მზადება

ქვეყნის ჩემპიონმა უკვე „მოასწრო" ახალ სეზონში პირველი ტიტულის მოპოვება: **გია ცეცაძის** გუნდმა თავის ისტორიაში პირველად მოიპოვა საქართველოს სუპერთასი!

„სამტრედიამ" ნაყოფიერი შეკრება გაიარა თურქეთში, სადაც არცთუ სუსტ სპარინგ-პარტნიორებთან ჩაატარა რამდენიმე საკონტროლო მატჩი. ეს სპარინგები კი საქართველოს ჩემპიონისათვის არა მხოლოდ ახალი სეზონისათვის მზადების ეტაპად განიხილებოდა, არამედ არანაკლებ მნიშვნელოვანი სხვა დატვირთვაც ჰქონდა; კერძოდ, ახალწვეულთა ერთმანეთთან შეთამაშებას ემსახურებოდა და ახალი ტაქტიკური სქემის დამუშავებასაც. რა თქმა უნდა, ერთი (სუპერთასის) მატჩით ძნელია გადაჭრით იმის მტკიცება, რომ „სამტრედიას" ახალწვეულებმა ახალ გუნდში ადაპტაცია უპრობლემოდ გაიარეს, თუმცა, ფაქტი სახეზეა: იმერულმა კლუბმა ახალი სეზონი ტიტულის მოპოვებით დაიწყო!

...წინა სეზონის დასრულების შემდეგ „სამტრედიიდან" 7 ფეხბურთელი წავიდა; თუმცა, ყველა დაგვეთანხმება იმაში, რომ განსაკუთრებულ დანაკლისად სამი ლიდერის წასვლა უნდა მივიჩნიოთ: **ბუდუ ზივზივაძეს, ბაჩანა არაბულსა** და **ლაშა შერგელაშვილს** ხომ ლომის წილი მიუძღოდათ ამ გუნდის პირველ საჩემპიონო ტრიუმფში! თუმცა, თურქეთში ჩატარებულმა სპარინგებმაც და საქართველოს სუპერთასის მატჩმაც დაგვანახვა, რომ ჩემპიონის ახალწვეულებს რეალურად ხელეწიფებათ გუნდის აწ უკვე ყოფილი ლიდერების ღირსეულად შეცვლა; მით უფრო, რომ ახალწვეულთა უმრავლესობას (**გიორგი ბერიაშვილი, ლაშა კასრაძე, დავით ჩაგელიშვილი, გურამ სამუშია**) არც გამოცდილება დაეწუნებათ და არც - ოსტატობა. საინტერესო ტრანსფერი უნდა გამოდგეს უკრაინელი მარცხენა მცველის **რუდოლფ სუხომლინოვის** გუნდში მოყვანაც...

ლელის პროგნოზი

არახალი ამბავია, რომ ჩემპიონობაზე ძნელი ამ ტიტულის შენარჩუნებაა და იმაშიც დარწმუნებული ვართ, რომ ეს ჩვენზე უკეთ იცის „სამტრედიას" თავკაცმა **გია ცეცაძემ** (წინა ორი სეზონის საუკეთესო მწვრთნელმა გაზეთ „ლელოსა" და კომპანია „ლიდერბეთის" ვერსიით); თუმცა, „სამტრედია" ამ ახალ სეზონშიც ერთ-ერთ მთავარ ფავორიტად უნდა მივიჩნიოთ; ყოველ შემთხვევაში, სულ მცირე, ევროტურნირების საგზურის მოპოვება გუნდს რეალურად შეუძლია.

ჩიხურა

მზადება

ბოლო წლების ერთ-ერთი კი არა, ყველაზე სტაბილური ქართული გუნდი (მეხუთე ადგილს ქვემოთ რომ არ ჩამოსულა ბოლო 5 სეზონის განმავლობაში) თავის ზესტაბილურ და უკვე მართლაც „მარადიულ" მთავარ მწვრთნელთან, **სოსო ფრუიძესთან** ერთად მინიმალური დანახარჯებით აღწევს შედეგს და „ჩიხურას" სატრანსფერო აქტივობაც, როგორც ყოველთვის, ამჯერადაც არ იყო თვალში საცემი. თუმცა, ისიც სათქმელია, რომ უცხოურ შეკრებამოვლილმა „ჩიხურამ" ამჯერად უფრო მეტი ფეხბურთელი დაიმატა, ვიდრე გაუშვა; თანაც, ამ ოთხივე ახალწვეულმა (**ზაზა ჭელიძე, ბაქარ მირცხულავა, ლევან გეგეჭკორი, ნიკა გელაშვილი**), „ჩიხურაში" ისედაც არსებული კონკურენცია კიდევ უნდა გაზარდონ. რა თქმა უნდა, დიდი დანაკლისი იქნება გამოცდილი ცენტრალური მცველისა და ახალგაზრდა, ნიჭიერი შემტევი ნახევარმცველის **საბა ლობჟანიძის** (წინა სეზონში გუნდის ლიდერის და საერთოდ, ჩემპიონატის ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელის) წასვლა. თუმცა, უმაღლესი ლიგის გუნდების მწვრთნელთა შორის ყველაზე გამოცდილ სპეციალისტს სოსო ფრუიძეს მათი სრულფასოვნად ჩანაცვლება არ უნდა გაუჭირდეს.

ლელის პროგნოზი

გარდამავალ ჩემპიონატში „ჩიხურა" ძალიან ახლოს იყო ჩემპიონობასთან, მაგრამ საჩემპიონო პლეი ოფში დამარცხდა „სამტრედიასთან"; თუმცა, II ადგილიც, უდავოდ, დიდ წარმატებად უნდა მივიჩნიოთ საჩხერელთა გუნდისათვის: „ჩიხურა" ხომ თავის ისტორიაში პირველად მოხვდა პრიზიორთა შორის! აი, რაც შეეხება ახალ სეზონს, გავკადნიერდებით და ხმამაღლა ვიტყვით: კიდევ ორ-სამ გუნდს ხომ უნდა ჰქონდეს დიდი ამბიცია, ამის მიუხედავად მაინც „ჩიხურა" მიგვაჩნია ჩემპიონობის ნომერ პირველ ფავორიტად! აბა, ვნახოთ, რამდენად გამართლდება ჩვენი პროგნოზი...

დინამო (თბ)

მზადება

გარდამავალი ჩემპიონატის ერთ-ერთი მთავარი (და - სასიამოვნო) მოულოდნელობა ბათუმის „დინამოს" წარმატებული ასპარეზობა იყო: ძალიან ბევრისთვის მოულოდნელად, **ლევან ხომერიკის** დამოძღვრილმა გუნდმა მესამე ადგილი დაიკავა და ამ ზაფხულს ევროპის ლიგაზე იასპარეზებს!

სხვა გუნდების მსგავსად, ბათუმის „დინამომაც" თურქეთში გაიარა მოსამზადებელი ეტაპი და სასარგებლო სპარინგ-მატჩებიც ჩაატარა. აი, რაც შეეხება სატრანსფერო ამბებს, „ჩიხურას" მსგავსად, ბათუმის „დინამოსაც" დიდად არ უაქტიურია სატრანსფერო „ბაზარზე" (სხვათა შორის, ამ შემთხვევაშიც მსგავსებაა საჩხერელთა გუნდთან); რა თქმა უნდა, დანაკლისად უნდა მივიჩნიოთ უნივერსალი მარჯვენაფლანგელის **ლევან გეგეჭკორისა** და ტანმაღალი ცენტრფორვარდის **ელგუჯა ლობჟანიძის** სხვა გუნდებში გადასვლა, თუმცა ძირითადი ბირთვი უცვლელი დარჩა. ამასთან, დიდი ინტერესით ველოდებით ორი ლეგიონერი ახალწვეულის გამოჩენასაც: ბრაზილიელმა **ჟევინიომ** და ტანმაღალმა უკრაინელმა ცენტრფორვარდმა **კვასოვმა** ბათუმის „დინამოს" შეტევის ხაზი საგრძნობლად უნდა გააძლიერონ.

ლელის პროგნოზი

...უკვე წლებია, ბათუმის „დინამო" საშინაო მატჩებს სხვადასხვა ადგილზე ატარებს;'თუმცა, ახალ ჩემპიონატში ლევან ხომერიკის გუნდი საკუთარ ქალაქში (ოღონდ - სარაგბო სტადიონზე) უმასპინძლებს მეტოქეებს და ეს ფაქტორი ნამდვილად არ უნდა იყოს უმნიშვნელო. არც ის დაგვავიწყდეს, რომ ბათუმის „დინამომ" თითქმის ყველა ლიდერი (**თეიმურაზ შონია, თორნიკე თარხნიშვილი, დავით კვირკველია, გიორგი ქავთარაძე, ანატოლი ტიმოფეევი**) შეინარჩუნა და შარშანდელი შედეგის გამეორებაც არავის უნდა გაუკვირდეს; თუმცა, ბათუმელთა გუნდს არცთუ გრძელი სათადარიგოთა სკამი აქვს და შესაძლოა, ამ ფაქტორმაც გარკვეული კორექტივები შეიტანოს სეზონის მსვლელობაში...

დინამო (თბ)

მზადება

ჩვენი ქვეყნის ყველაზე ტიტულიანი გუნდი რაც მალე დაივიწყებს წინა სეზონს, მით უკეთესი: დამოუკიდებელი ქართული საკლუბო ფეხბურთის ისტორიაში ხომ მხოლოდ მეორედ მოხდა, თბილისის „დინამომ" ჩემპიონატი ზედა სამეულს მიღმა რომ დაასრულა! აღარ დავუბრუნდებით იმ მიზეზების ჩამოთვლას, თუ რატომ და როგორ მოხდა ეს ყველაფერი; თუმცა ერთ ფაქტორზე მაინც გავამახვილებთ ყურადღებას: როცა გუნდის შემადგენლობა (თავის მწვრთნელ-ფეხბურთელებიანად), ფაქტობრივად, ყოველ ექვს თვეში ერთხელ იცვლება, ასეთ დროს აღარაფერი აღარ უნდა გვიკვირდეს. ისე როგორც არ უნდა გაჰკვირვებოდა ის ფაქტი არავის, რომ ახალი სეზონისათვის მზადება „დინამომ" ერთი მწვრთნელით დაიწყო, ხოლო მეორეთი - დაასრულა! ანუ, პირველ თურქულ შეკრებაზე (იანვარში) „დინამოს" თუ უკრაინელი **ვიაჩესლავ გროზნი** მოძღვრავდა (უფრო ზუსტად, დღეში სამჯერად (!) ვარჯიშებს უტარებდა), აი, მეორე შეკრების დასაწყისში დინამოელებს უკვე ახალი სპეციალისტი ხელმძღვანელობდა: **კახა კაჭარავა!**

...თუ ბოლო საკონტროლო მატჩს (ყირგიზულ გუნდთან) არ ჩავთვლით, ყველა დანარჩენი სპარინგები „დინამოს" საკმაოდ ძლიერ მეტოქეებთან ჰქონდა; თუმცა, „დინამოს" ძველ-ახალი მწვრთნელი კახა კაჭარავა დღეს-დღეობით სხვა პრობლემის წინაშე უნდა იდგეს: გუნდის დაკომპლექტება ხომ მის მისვლამდე მოხდა და მართლაც ძნელი სათქმელია, თუ რამდენად მალე აითვისებენ „დინამოს" ახალი მწვრთნელის საფეხბურთო იდეებს. არადა, „დინამომ" ამ სატრანსფერო პერიოდის აბსოლუტური რეკორდი დაამყარა (ქართული მასშტაბით, რა თქმა უნდა): 11 ფეხბურთელი წავიდა გუნდიდან და ბევრად უფრო მეტი (!) კი - მოვიდა! თანაც, ცვლილებები შეეხო ყველა რგოლს და ძალიან ძნელი სათქმელია, ამ უამრავი ახალწვეულიდან რამდენი დაიმკვიდრებს ადგილს ძირითად შემადგენლობაში. ახალწვეული გუნდში მართლაც ბევრია, თუმცა ზოგიერთი გარკვეული პაუზის მერე დაბრუნდა ჩვენს ყველაზე ტიტულიან გუნდში: **ლაშა სალუქვაძე, ლაშა თოთაძე, გიორგი გველესიანი, ბაჩანა არაბული, საბა ლობჟანიძე...**

ლელის პროგნოზი

რა მიზეზებიც (ობიექტურიც და სუბიექტურიც) უნდა მოვიშველიოთ, თბილისის „დინამოს" მიზნები არასდროს იცვლება და გამონაკლისი, არც ახალი სეზონი უნდა იყოს! ანუ, აშკარად წარუმატებელი წინა სეზონის შემდეგ „დინამოს" სრული რეაბილიტაცია სჭირდება

საკუთარი ქომაგების (რომელთა რიცხვიც ტურიდან-ტურამდე კლებულობდა) წინაშე; ეს „რეაბილიტაცია" კი, მხოლოდ და მხოლოდ, ერთადერთ შედეგს გულისხმობს: ჩემპიონობას! თანაც, „დინამოში" ექვსწლიანი პაუზის მერე დაბრუნებულ კახა კაჭარავასაც დამატებითი მოტივაცია უნდა ჰქონდეს: მთავარი მწვრთნელის რანგში მას ხომ ყველა აქაური ტიტული აქვს მოგებული ... ჩემპიონობის გარდა!..

ბორკელი

მზადება

საქართველოს სამგზის ჩემპიონი ბოლო წლებში რომ ვერ აღწევდა სასურველ შედეგს, ამის ერთ-ერთი მიზეზი, ჩვენი აზრით, მწვრთნელების ხშირი ცვლა იყო; აღარაფერს ვამბობთ კლუბის ხელმძღვანელებისა და ფეხბურთელების ასევე გაუთავებელ ცვლილებებზე და ასეთი არასტაბილური გარემოს ბრალიც არის ის ფაქტი, რომ „ტორპედო" ბოლო წლების ერთ-ერთ ყველაზე „ამოუცნობ" გუნდად რჩება. ჰო, რამდენჯერ ყოფილა, როცა ეს გუნდი ბევრს სეზონის ერთ-ერთ ფავორიტად მიუჩნევია, მაგრამ, მერე და მერე, სიტუაცია ისე შეცვლილა, რომ ქუთაისელთა საყვარელ გუნდს მხოლოდ მოკრძალებული მიზნებით უწევდა დაკმაყოფილება. გამონაკლისი არც წინა სეზონი იყო, როცა სიტუაცია ისე წარიმართა, რომ გარკვეული პერიოდის განმავლობაში სწორედ „ტორპედო" იმყოფებოდა თავის ჯგუფში ბოლო ადგილზე. თუმცა, გუნდში მთავარ მწვრთნელად **კახა ჩხეტიანის** მოსვლის შემდეგ, სიტუაცია რადიკალურად შეიცვალა და ამის დასტურად ის ფაქტიც გამოდგება, რომ „ტორპედომ" ჩემპიონატიც „მშვიდობიანად" დაამთავრა და, რაც მთავარია, საქართველოს თასიც მოიპოვა!

... ახალ სეზონს რაც შეეხება, მიგვაჩნია, რომ უმაღლესი ლიგის გუნდებიდან ყველაზე სოლიდური შევსება სწორედ „ტორპედომ" მიიღო და, რაც მთავარია, თითქმის ყველა რგოლი ერთმანეთზე გამოცდილი ფეხბურთელებით გააძლიერა: მცველები - **გურამ ადამაძე, დავით ხურცილავა,** ნახევარმცველები - **მერაბ გიგაური, გიორგი კუხიანიძე, ბიძინა მახარობლიძე**, თავდამსხმელი - **ნიკა საბანაძე.** ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ამათგან თითქმის აბსოლუტური უმრავლესობა (მახარობლიძის გარდა) გარკვეული პაუზის მერე დაბრუნდა „ტორპედოში". აქვე, ის ფაქტიც უნდა აღვნიშნოთ, რომ „ტორპედომ" ერთობ ნაყოფიერი შეკრება გაიარა თურქეთში და საკმაოდ ძლიერ სპარინგპარტნიორებსაც გაეჯიბრა.

ლელის პროგნოზი

ზემოთაც აღვნიშნეთ და ახლაც ვიტყვით, რომ ამ გუნდისგან არაფერი უნდა გაგვიკვირდეს! ეგ კი არა, ჩვენი აზრით, უმაღლეს ლიგაში დღესდღეობით ყველაზე დაბალანსებული შემადგენლობა „ჩიხურას", „ლოკომოტივსა" და „ტორპედოს" ჰყავს; ზემოთ აღნიშნული ახალწვეულების ფაქტორის გარდა, ნურც ის დაგვავიწყდება, რომ კახა ჩხეტიანის გუნდში მრავლად არიან ისეთი ფეხბურთელები, საქართველოს ნაკრების წევრებად **(როინ კვასხვაძე)** თუ კანდიდატებად **(გიორგი ქიმაძე, ბექა ტულუში, ოლეგ მამასახლისი)** რომ მიიჩნევიან; დავუმატოთ ამათ გამოცდილზე გამოცდილი **შოთა ბაბუნაშვილი** და **გრიგოლ დოლიძე**, პლუს, ერთმანეთზე პერსპექტიული ახალგაზრდა ადგილობრივი ფეხბურთელები და ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, რატომაც არ უნდა ჰქონდეს „ტორპედოს" საჩემპიონე ამბიცია? თუმცა, ბოლო წლების მართლაც ერთ-ერთ ყველაზე უცნაური გუნდისგან უსიამოვნო სიურპრიზებსაც ნუ გამოვრიცხავთ...

ლოკომოტივი

მზადება

ამ შემთხვევაშიც სტაბილურ გარემოზე გვინდა ყურადღების გამახვილება; უფრო ზუსტად, არასტაბილურობაზე, რომელიც „ლოკომოტივს" თან სდევდა და, ალბათ, ამის მიზეზიც იყო ის ფაქტი, რომ გუნდმა მხოლოდ რეგულარული ჩემპიონატის ბოლო ტურში გაინაღდა „მშვიდი ფინიში"; არადა, გარდამავალი ჩემპიონატის დაწყების წინ ამ გუნდს ერთ-ერთ ფავორიტად მივიჩნევდით და შემადგენლობიდან გამომდინარე, სულ მცირე, ევროტურნირების საგზურსაც ვუწინასწარმეტყველებდით. თუმცა, შემადგენლობის გაუთავებელმა როტაციამ სასურველი შედეგი ვერ გამოიღო და სიტუაცია შედარებით მაშინ დასტაბილურდა, გუნდის მთავარ მწვრთნელად **გიორგი დევდარიანი** რომ დაინიშნა.

...ახალი სეზონის დაწყებამდე „ლოკომოტივში" ძალიან ბევრი საკადრო ცვლილება მოხდა და, ერთი შეხედვით, გუნდს შეთამაშების პრობლემაც უნდა შექმნოდა; თუმცა, „ლოკომოტივის" თურქულ შეკრებაზე საპირისპირო სიტუაცია შეიქმნა: ერთმანეთზე ძლიერ სპარინგ-პარტნიორებთან გამართული საკონტროლო მატჩებიდან „ლოკომოტივმა" მხოლოდ ერთი წააგო! ახალწვეულებს რაც შეეხება, მათი უმრავლესობა გამოცდილია და იმავე **თეიმურაზ ღონღაძის**, **გიორგი რეხვიაშვილის, გულვერდ თომაშვილისა** თუ **ირაკლი სიხარულიძის** დამატებით „ლოკომოტივი" საგრძნობლად გაძლიერდა.

ლელის პროგნოზი

„ჩიხურა", „ტორპედო", „ლოკომოტივი", - აი, ის სამი გუნდი, ჩვენი აზრით, ყველაზე დაბალანსებული შემადგენლობა რომ ჰყავთ უმაღლეს ლიგაში; ანუ, ამ სამივე გუნდში, ფაქტობრივად, ორი სრულფასოვანი შემადგენლობაა და „ლოკომოტივისგან" რატომაც არ უნდა ველოდოთ საპრიზო ადგილებისათვის ბრძოლას? მით უფრო, რომ გუნდში კვლავაც დარჩნენ ის ფეხბურთელები, „ლოკომოტივის" ლიდერებად რომ მივიჩნევთ: **რევაზ თევდორაძე, გეგა დიასამიძე, ნიკა ჭანტურია, დავით უბილავა, გიორგი ხიდეშელი**. აღარაფერს ვამბობთ „ლოკომოტივის" ახალგაზრდობაზეც: ამ კლუბში ხომ ერთი მეორეზე პერსპექტიული ბიჭები ისედაც იყვნენ და ახლა მათ **ირაკლი კომახიძეც** (ჩვენი ჩემპიონატის ერთ-ერთი საუკეთესო მარცხენაფლანგელი) დაემატა.

დილა

მზადება

გასული სეზონის დამთავრების შემდეგ მხოლოდ ორ გუნდში შეიცვალა მთავარი მწვრთნელი და ერთ-ერთი „დილა" იყო: გორელთა გუნდში ახალი, ებრაელი ინვესტორების მოსვლას მათი თანამემამულე მწვრთნელის, 45 წლის **ზივ არიეს** ჩამოყვანაც მოჰყვა. ზივ არიე ბოლოს, სამშობლოში, იერუსალიმის „ბეითარის" მთავარი მწვრთნელის ასისტენტად მუშაობდა, 5 მარტს კი საქართველოს ჩემპიონატში ექნება დებიუტი. აღსანიშნავია, რომ XXIX ჩემპიონატში ზივ არიე ერთადერთი უცხოელი მწვრთნელი იქნება უმაღლეს ლიგაში (ერთი უცხოელიც, პირველ ლიგაში გვეყოლება - უკრაინელი **ანატოლი პისკოვეცი**).

სხვა გუნდების მსგავსად, „დილამ" მზადება თურქეთში გაიარა, სადაც, ფაქტობრივად, უნდა მომხდარიყო კიდეც ახალი მწვრთნელისა და ფეხბურთელების „ახლოს გაცნობა"! თანაც, მწვრთნელის გარდა, „დილაში" ისედაც უამრავი ცვლილება მოხდა: როგორც - საკლუბო სტრუქტურაში, ასევე - გუნდში. თანაც, აწ უკვე ყოფილი მთავარი მწვრთნელის, „დილას" საჩემპიონო ტრიუმფის ერთ-ერთი მთავარი შემოქმედის, **უჩა სოსიაშვილის** გარდა, გუნდიდან წავიდნენ როგორც გამოცდილი ფეხბურთელები (**თეიმურაზ ღონღაძე, ლაშა სალუქვაძე**), ასევე - პერსპექტიული ახალგაზრდებიც (**გიორგი ერისთავი, გიგა სამხარაძე, ალეკო გამცემლიძე**). თუმცა, სელექციის პროცესი „დილაში", ფაქტობრივად, დღემდე მიმდინარეობს და ახალი მწვრთნელიც, ალბათ, საბოლოოდ ჩამოყალიბდებოდა ძირითადი ბირთვის შერჩევაში. დიდ ინტერესს იწვევს „დილას" ბრაზილიელ ახალწვეულთა „ტრიოს" ასპარეზობა: **დერეტი** საყრდენი ნახევარმცველი გახლავთ, **ლეანდრო რიბეირო** - გარემარბი, ტანმაღალი **ჟოზე ლეონარდო** კი - ცენტრფორვარდი; „დილამ" ქართულ სატრანსფერო „ბაზარზეც" იაქტიურა და გუნდში რამდენიმე გამოცდილი ახალწვეულიც გამოჩნდა: **გიორგი ფოფხაძე, დავით კირკიტაძე, ირაკლი ძარია** და სხვები

ლელის პროგნოზი

გარდამავალი ჩემპიონატი „დილას" აქტივში ნამდვილად ვერ ჩაითვლება, რამეთუ გუნდს პლეი აუტში მოუწია ასპარეზობამ და ასე შეინარჩუნა ადგილი უმაღლეს ლიგაში. აი, ამ სეზონში კი რა იქნება „დილას" კონკრეტული მიზანი, ძალიან ძნელი სათქმელია; თუმცა, ის კი უნდა გავითვალისწინოთ, რომ გუნდის ახალ, უცხოელ ინვესტორებს ამბიციური გეგმები აქვთ და, აქედან გამომდინარე, ძალიან გვეეჭვება, რომ „დილას" ამ ჩემპიონატშიც დასარჩენად ჰქონდეს საქმე. თუმცა, ნუ დაგვავიწყდება, რომ, ფაქტობრივად, ახალი გუნდია და ვიდრე უამრავი ახალწვეული და ასევე ახალი მწვრთნელი ერთმანეთს „უსიტყვოდ" გაუგებენ, ამასობაში, შესაძლოა, ძალიან დიდი დროც გავიდეს. ასეა თუ ისე, ახალი ჩემპიონატის დაწყების წინ სწორედ „დილას" ასპარეზობა მიგვაჩნია ყველაზე დიდ გამოცანად...

საგურამო

მზადება

ყველაზე ახალგაზრდა გუნდი (დაარსების თარიღიდან გამომდინარე) თავის მესამე სეზონს იწყებს უმაღლეს ლიგაში და უნდა ვივარაუდოთ, რომ წინა ორ ჩემპიონატთან შედარებით უკეთესი შედეგის მისაღწევად იბრძოლებს. შეგახსენებთ, რომ თავის სადებიუტო სეზონში „საბურთალომ" 16-გუნდიან ჩემპიონატში IX ადგილი დაიკავა, გარდამავალ ჩემპიონატში კი ცოტა დააკლდა, რომ „ბრინჯაოს პლეი ოფი" ეთამაშა. XXIX ჩემპიონატისათვის კი „საბურთალო" მართლაც სერიოზულად მოემზადა: თბილისის „დინამოს" მსგავსად, გიორგი ჭიაბრიშვილის გუნდმაც თურქეთში შეკრება ორჯერ გაიარა! ამ ორივე შეკრების დროს არცთუ სუსტ მეტოქეებთან საკონტროლო მატჩებიც ჩაატარა გუნდმა, სადაც მთავარ მწვრთნელის **გიორგი ჭიაბრიშვილისათვის** ნათლად გამოჩნდებოდა, თუ რომელი კომპონენტის გაუმჯობესება იყო პრიორიტეტული. ამას გარდა, ახალწვეულების შეთამაშების ფაქტორიც არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო: „საბურთალომ" ხომ ყველა რგოლში თითო გამოცდილი ფეხბურთელი დაიმატა! თანაც, ამ ახალწვეულებმა, წესითა და რიგით, უფრო მეტი სარგებელი უნდა მოუტანონ გუნდს, ვიდრე გარდამავალი ჩემპიონატის დროს მოხდა ესპანელი ლეგიონერების შემთხვევაში; ცენტრალური მცველი (საყრდენადაც რომ შეუძლია თამაში) **დაჩი ცნობილაძე,** გამოცდილი საყრდენი ნახევარმცველი **ზურაბ არზიანი**, მეტად საინტერესო და არაორდინარული სტილის გარემარბი **ლაშა შინდაგორიძე** (ცენტრფორვარდის პოზიციაზეც რომ უთამაშია), - ამ სამეულს რეალურად შეუძლია „საბურთალოს" გაძლიერება.

ლელის პროგნოზი

„საბურთალომ", ფაქტობრივად, ყველა წამყვანი ფეხბურთელი **(გიორგი ხარაიშვილი, ოთო გოშაძე, ელვინ ტერა, ნოდარ იაშვილი, თედორე გრიგალაშვილი, გიორგი ფანცულაია)** შეინარჩუნა; იმედია, რომ ხანგრძლივი მკურნალობის შემდეგ მალე აღიდგენს ოპტიმალურ ფორმას ახალგაზრდა ფორვარდი **გურამ გოშთელიანი**, რომელსაც გარდამავალი ჩემპიონატი მთლიანად გაუცდა; ანუ, ყველა პირობაა იმისათვის, რომ ამ გუნდისგან კვლავაც ევროტურნირების საგზურისათვის ბრძოლას ველოდოთ; თუმცა, ნურც ის დაგვავიწყდება, რომ უმაღლეს ლიგაში ყველაზე ახალგაზრდული გუნდი „საბურთალოა" და მართლაც მარათონულ, ოთხწრიან ჩემპიონატში ამ ფაქტორმა, შესაძლოა, გარკვეული კორექტივებიც შეიტანოს გუნდის მიზნებში.

კოლხეთი

მზადება

...გარდამავალი ჩემპიონატის დაწყების წინ, როცა გუნდების შანსებს ვაფასებდით, უმაღლესი ლიგიდან გავარდნის კანდიდატებს შორის „კოლხეთს" მთლად „პირველობას" არ ვანიჭებდით, თუმცა, კი გვეგონა, რომ მოკრძალებული ფინანსური თუ ადამიანური რესურსის პირობებში, ფოთელთა გუნდს უძლიერესთა შორის ადგილის შენარჩუნება გაუჭირდებოდა. თუმცა, სწორედ „კოლხეთის" წარმატებული ასპარეზობა იყო გარდამავალ ჩემპიონატში ერთ-ერთი ყველაზე მთავარი და სასიამოვნო მოულოდნელობა! ეგ კი არა, **გელა სანაიას** დამოძღვრილი გუნდი გარკვეული პერიოდის განმავლობაში ევროტურნირების საგზურისათვისაც აცხადებდა პრეტენზიას! ...გარდამავალ ჩემპიონატში უმაღლეს ლიგაში ადგილის შენარჩუნება, ფოთელთა გუნდისათვის, პატარა სასწაულის ტოლფასი იყო; სამწუხაროდ, „კოლხეთის" ფინანსური მდგომარეობა არაფრით გაუმჯობესებულა და ამის დასტურად ის ფაქტიც გამოდგება, რომ სწორედ „კოლხეთი"იყო ორიდან ერთ-ერთი გუნდი, ამ ზამთარს უცხოეთის ნაცვლად საქართველოში რომ მოემზადა...

„კოლხეთში" გარკვეული ცვლილებები მოხდა, თუმცა, რაც სერიოზულ დანაკლისად შეიძლება მივიჩნიოთ, აზერბაიჯანელი ცენრალური მცველის, **რასიმ რამალდანოვის** სამშობლოში დაბრუნებაა. აი, შევსება კი „კოლხეთმა" მეტ-ნაკლებად ნორმალური მიიღო და თითქმის ყველა რგოლში დაიმატა ახალწვეულები როგორც უცხოეთიდან, ასევე - სხვადასხვა ქართული გუნდებიდან. უცხოელ ახალწვეულთა სახელგვარები ჯერჯერობით არაფერს გვეუბნება, აი, ქართველები კი გუნდს უდავოდ გააძლიერებენ: **გიორგი ჯანელიძე, ავთანდილ ენდელაძე, ვარლამ კილასონია (უმცროსი), გიორგი ბუხაიძე** და სხვები...

ლელის პროგნოზი

სამწუხაროდ, გარდამავალი ჩემპიონატის მსგავსად, „კოლხეთის" ქომაგთათვის ამჯერადაც უსიამოვნო პროგნოზი უნდა გამოვთქვათ: XXIX ჩემპიონატში ფოთელთა გუნდის პროგრამა-მაქსიმუმიცა და პროგრამა-მინიმუმიც, ჩვენი აზრით, უმაღლეს ლიგაში ადგილის შენარჩუნება უნდა იყოს! გავანებოთ იმას თავი, რომ „კოლხეთს" არავინ სპონსორობს, არანაკლებ მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ ამ დიდი ტრადიციების მქონე გუნდს უკვე მერამდენე წელიწადია სხვა ქალაქ (ებ)ში უხდება „საშინაო" მატჩების გამართვა...

...თუმცა, ვინ იცის: იქნებ, ამჯერადაც შეძლოს ახალგაზრდა და პერსპექტიულმა სპეციალისტმა გელა სანაიამ და კვლავაც მოკრძალებული რესურსების მქონე გუნდით ამჯერადაც შემოგვთავაზოს სასიამოვნო სიურპრიზი?!.

შუქურა

მზადება

„კოლხეთის" მსგავსად, ქობულეთელებმაც ვერ შეძლეს ზამთრის მოსამზადებელი ეტაპის უცხოეთში გავლა და მხოლოდ აქაურ სპარინგპარტნიორებთან ჩატარებული საკონტროლო მატჩებით მოუწიათ დაკმაყოფილება. ყოველივე ეს კი, რაღა თქმა უნდა, გუნდის არცთუ სახარბიელო ფინანსურ მდგომარეობას უკავშირდება და, აქედან გამომდინარე, უნდა ვივარაუდოთ, რომ ახალ და ხანგრძლივ სეზონში, „შუქურას" ძალიან მძიმე მატჩები მოელის. თუმცა, ქობულეთელთა გუნდმა უკვე იცის სირთულეები როგორ გადალახოს: გარდამავალ ჩემპიონატში, „შუქურამ" ხომ ერთმანეთზე ურთულეს და ერთმანეთზე დრამატულ ორმატჩიან პაექრობაში შეძლო „სიონის" ძლევა და ასე შეინარჩუნა ადგილი უმაღლეს ლიგაში! ამ წარმატების ერთ-ერთი შემოქმედი, ფეხბურთელებთან ერთად, რაღა თქმა უნდა, გუნდის მთავარი მწვრთნელი **გია გურული** გახლდათ, რომელიც თავის კლუბში „შუქურას" მართლაც მარადიულმა პრეზიდენტმა **რევაზ ჩელებაძემ** უშუალოდ გარდამავალი ჩემპიონატის მსვლელობის დროს მოიწვია. აი, სეზონის დასრულების შემდეგ კი „შუქურაში" გვარიანი ცვლილებები მოხდა და სხვადასხვა მიზეზის გამო, გუნდიდან ბევრი წამყვანი ფეხბურთელიც წავიდა: მცველები - **გურამ ადამაძე, ბაქარ მირცხულავა, ირაკლი კომახიძე**, ნახევარმცველი - **ზურაბ არზიანი,** ცენტრფორვარდი - **გიორგი ბერიაშვილი**; თუმცა, მოკრძალებული რესურსის მიუხედავად, გუნდში რამდენიმე საინტერესო ახალწვეულია და ამათგან, უპირველეს ყოვლისა, ცენტრალური მცველი **ბორის მახარაძე** და გამოცდილი ნახევარმცველი **ირაკლი კლიმიაშვილი** უნდა ვახსენოთ.

ლელის პროგნოზი

...ერთი შეხედვით, „შუქურა" აუტსაიდერად უნდა მივიჩნიოთ და „კოლხეთის" მსგავსად, ამ გუნდის უმთავრესი მიზანი უმაღლეს ლიგაში ადგილის შენარჩუნება უნდა იყოს; თუმცა, გია გურულის ხელმძღვანელობით მოასპარეზე გუნდმა რომ არაერთი სიურპრიზი შემოგვთავაზოს, არც ეს უნდა გაუკვირდეს ვინმეს. „შუქურაში" ხომ ჩვენი ჩემპიონატის კვალობაზე რამდენიმე მართლაც კვალიფიციური ფეხბურთელია და ეს ეხება ქართველებსაც (**სანდრო გურული, კობა შალამბერიძე, ლევან კუტალია**), ასევე - ლეგიონერებსაც (**ჯეფინიო, ირაკლი ჭეჟია**). ცალკე უნდა აღვნიშნოთ „შუქურას" ერთ-ერთი გამორჩეული ფეხბურთელი, **აზამატ ჯიოევი** - 26 წლის ეს მეკარე ერთ-ერთ საუკეთესოდ მიგვაჩნია საქართველოს ჩემპიონატის მეკარეებს შორის. ამას გარდა, ძალიან ბევრი რამ იქნება დამოკიდებული „შუქურას" კაპიტანზე, უდავოდ, საინტერესო შემტევ **გიორგი ჩელებაძეზე,** რომელსაც ტრავმის გამო, ფაქტობრივად, მთლიანად გაუცდა გარდამავალი ჩემპიონატი...

გია ტუხაშვილი

სრული ნდობა კაჭარავას!

დინამოს მწვრთნელი: ყველგან ისე ვიმუშავე, რომ არსად მომიჭრია უკან დასაბრუნებელი გზა

გუშინ თბილისის „დინამოს" საწვრთნელ ბაზაზე პრესკონფერენცია გაიმართა. კლუბმა ახალი მთავარი მწვრთნელი კახა კაჭარავა წარადგინა. მის გარდა, ისაუბრეს კლუბის პრეზიდენტმა რომან ფიფიამ და მისმა მრჩეველმა ლევან სალუქვაძემ.

სასაუბრო კი მართლაც ბევრი დაგროვდა და მივყვეთ თანამიმდევრობით...

ბაზა ქალაქგარეთ და პასუხი კრიტიკას

პრესკონფერენციაზე „დინამოს" პრეზიდენტმა **რომან ფიფიამ** განაცხადა, რომ „დინამოს" საწვრთნელი ბაზა ქალაქგარეთ გადავა. ცნობილია, რომ დიღმის საწვრთნელი ბაზის სიახლოვეს შენდება მრავალსართულიანი კორპუსები. ეს კი, ცხადია, ფეხბურთელებს და სამწვრთნელო პერსონალს ნორმალურად წვრთნის საშუალებას არ მისცემს.

„სამწუხაროდ, ჩვენ საქმე გვაქვს უმადურობასთან. ჩემთვის, როგორც იმ ადამიანისათვის, რომელმაც სული და გული ჩადო ამ ბაზის მშენებლობაში, ძალიან მტკივნეულია, რაც დღეს აქ ხდება. სამწუხარო რეალობაა, მაგრამ ფაქტია - ის კორპუსები, რომლებიც აქ შენდება, აქაურობას სრულიად გაანადგურებს. ამ ადამიანებს აქვთ მშენებლობის უფლება და ჩვენ სამწუხაროდ ვერ შევძელით მათი შეჩერება. უახლოეს მომავალში იძულებულნი ვიქნებით, რომ ბაზა გადავიტანოთ ქალაქგარეთ. შეიძლება ისე მოხდეს, რომ აქ ხალხმა დაიწყოს ბოთლებისა და სიგარეტების სროლა, მე კი არ ვარ ის ადამიანი, რომელიც ასეთ ვითარებაში ავარჯიშებს ბავშვებს. ახალი ბაზა შეიძლება იყოს თბილისის ზღვაზე, ან მცხეთის მიმდებარე ტერიტორიაზე. დღევანდელი ბაზის ადგილზე კი გავაკეთებთ ისეთ რამეს, რაც სარგებლობას მოუტანს თბილისის „დინამოს", - თქვა ფიფიამ.

„დინამოს" პრეზიდენტმა ისაუბრა გუნდიდან **ვიაჩესლავ გროზნის** წასვლის მიზეზებზეც და ამასთან, სრული ნდობა გამოუცხადა **კახა კაჭარავას**.

„როგორც იცით, თბილისის „დინამოში" დაბრუნდა კახა კაჭარავა. მე წავიკითხე ბევრი კრიტიკა არა კაჭარავას მიმართ, არამედ მწვრთნელების ხშირ ცვლასთან დაკავშირებით. არავის ეგონოს, რომ ადვილია ორ თვეში მწვრთნელთან კონტრაქტის გაწყვეტა და მისი გაშვება, თუმცა არის პრინციპები, რომელთა დარღვევაც არ შეიძლება - არც ჩემთვის და არც „დინამოს" თანამშრომლისთვის. გროზნის შეექმნა ოჯახური პრობლემები და დღეს ის არის შინ. მე მომწონდა მისი მუშაობა, მისი ვარჯიშების სტილი, თუმცა... ჩვენ ადამიანურად დავშორდით ერთმანეთს. ამით მოვრჩები გროზნიზე საუბარს და გადავალ კაჭარავაზე. მას დიდი ხანია, ვიცნობ. ის სულით და გულით არის დინამოელი და ეს ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია. ჩვენ გვყავდა რამდენიმე უცხოელი მწვრთნელი და სათითაოდ მათ დახასიათებას არ დავიწყებ. ერთ რამეში ვარ ბოლომდე დარწმუნებული - ჩვენი საქმე ქართველმა მწვრთნელმა უნდა აკეთოს. „დინამოს" ისე გულიანად ვერ გაწვრთნის უცხოელი, როგორც ქართველი. უცხოელი მწვრთნელები აქ მოდიან განსაზღვრული დროით და როგორც კი უკეთეს წინადადებას მიიღებენ, მიდიან. ისინი ყოველთვის პოულობენ მიზეზს წასასვლელად... ჩვენ არ ვჩქარობთ, გვყავს ძალიან კარგი ახალგაზრდა ფეხბურთელები. უნდა გითხრათ, რომ „დინამოს" ასეთი ფუფუნება ამ კუთხით ადრე არასოდეს ჰქონია. რა თქმა უნდა, საქმე ბევრია, მაგრამ ჩვენ მომავალს იმედით ვუყურებთ. კაჭარავას ვუცხადებთ სრულ ნდობას. მას ჩაბარდება ის სამწლიანი გეგმა, რომელზეც ვისაუბრეთ. მთავარია, პროგრესი იყოს და ბავშვები სწორ გზას დაადგნენ. სამწუხაროა ის, რომ ფეხბურთელების მხრიდან საქმე გვაქვს უმადურობასთან, კონტრაქტის გაფორმება-არგაფორმებაზე".

კახა კაჭარავა: ჯარიმები აქ არ მომიგონია...

კახა კაჭარავამ უპასუხა კითხვას, რომელიც კლუბში არსებულ საჯარიმო სანქციებს ეხებოდა, ასევე, ისაუბრა **საბა ლობჟანიძეზე**, ვინც სამწვრთნელო შტაბის გადაწყვეტილებით „დინამოს" თურქული შეკრებიდან ნაადრევად დაბრუნდა შინ და ამჟამად „დინამოს" 19-წლამდელთა გუნდთან ერთად ემზადება.

„ძალიან გამახარა „დინამოში" დაბრუნებამ. აქ მოვედი იმ მიზნით, რომ გუნდს გვერდში დავუდგე. გვყავს ძალიან პერსპექტიული ფეხბურთელები და მათი ძალიან დიდი იმედიც მაქვს. რამდენიმე დღის წინ „დინამოს" ჰქონდა სხვა გეზი. ახლა ჩვენ სხვა გზაზე ვდგავართ - ახალგაზრდა ფეხბურთელებს, რომლებიც აღიზარდნენ და აღიზრდებიან „დინამოს" საფეხბურთო აკადემიაში, ძირითად გუნდში შანსი უნდა მივცეთ. საერთოდ, მე ფეხბურთში ფულს არასოდეს ვუყურებ. ყველგან ისე ვიმუშავე, რომ არსად მომიჭრია უკან დასაბრუნებელი გზა... რაც შეეხება საბა ლობჟანიძის ამბავს. მე ვამბობ პირდაპირ, რომ გუნდში მჭირდება ისეთი ფეხბურთელი, რომელსაც უნდა „დინამოში" თამაში. ჩემთვის ეს არის ამოსავალი წერტილი. არ ვიცი, ვის რა აზრი აქვს ამასთან დაკავშირებით, მაგრამ ჩემთვის ასეა. ყველას უნდა ჰქონდეს გაგაზრებული, რა გუნდში თამაშობს. გახსოვთ, ალბათ, საბა ლობჟანიძე მე მივიწვიე პირველად საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრებში, როცა ამ გუნდს ვწვრთნიდი, მე წავიყვანე ის ხორვატიაში. მაშინ ის არავის ახსოვდა. ის არის „დინამოს" აღზრდილი და მე მინდა მისი აქ ყოფნა... რაც შეეხება საჯარიმო სანქციებს, ეს ახლა არ მომიგონია. ასევე იყო მაშინ, როცა ადრე ვწვრთნიდი „დინამოს". უნდა გითხრათ, რომ ასევე იყო მაშინაც, როცა „ზესტაფონში" ვმუშაობდი. თუ ფეხბურთელისადმი რამდენჯერმე მომიწევს საჯარიმო სანქციის გამოყენება, მაშინ ის ჩემთან ველარ იმუშავებს. დიდი იმედი მაქვს, არ გახდება საჭირო სანქციების გამოყენება. ვკრძალავ ყველანაირ აზარტულ თამაშს, კარტსაც. მეორე დღეს ველარ ივარჯიშებ, თუ ღამის ოთხ საათამდე ჯოკერს ითამაშებ. ჩემი აზრით, ეს არ არის მისაღები", -თქვა კაჭარავამ.

ლევან სალუქვაძე: ამ მოთხოვნას რონალდოსაც არ დავუკმაყოფილებდით!

საბა ლობჟანიძის საკითხზე ისაუბრა „დინამოს" პრეზიდენტის მრჩეველმა **ლევან სალუქვაძემაც:**

„საბა ლობჟანიძეს მოვიაზრებდით „დინამოს" ფეხბურთელად, მაგრამ ის აღარ აპირებდა საქართველოში თამაშს, ამას გარდა, ჰქონდა შეთავაზება სხვა ქართული კლუბისგანაც, მაგრამ მან თქვა უარი. არ დავმალავ, ამ საკითხზე იყო ლაპარაკი რამდენიმე საფეხბურთო აგენტთან, მაგრამ მხოლოდ - სატელეფონო. როგორც კი საქმე მიდგებოდა კლუბის მხრიდან ოფიციალურ წინადადებაზე, მაშინვე ყველაფერი ჩერდებოდა. ყველაზე რეალური ვარიანტი იყო ესპანეთის სეგუნდა დივიზიონის კლუბი, რომელმაც სატრანსფერო ფანჯრის დახურვამდე ორი დღით ადრე ლაპარაკი შეწყვიტა. მოგვიანებით ცნობილი გახდა, რომ მათ სხვა ფეხბურთელი დაიმატეს... ჩვენ ლობჟანიძესთან დავიწყეთ ლაპარაკი კონტრაქტის გახანგრძლივების თაობაზე. ფეხბურთელს შევხვდით მის მშობელთან ერთად. დავაკმაყოფილეთ მისი რამდენიმე მოთხოვნა. მერე გაჩნდა კიდევ ერთი მოთხოვნა. მაგალითად, ერთ-ერთი ასეთი იყო - თუ საბას გადაყვანას მოინდომებდა უკეთესი გუნდი, ჩვენ ის 10 დღეში უნდა გაგვეშვა. ამაზე დავთანხმდით. ამის მერე წამოაყენა მოთხოვნა, რომ მატჩების 75 პროცენტი უნდა ყოფილიყო ძირითად შემადგენლობაში. მინდა პირდაპირ გითხრათ - ეს პირობა კრიშტიანო რონალდომაც რომ წამოაყენოს „დინამოში", მასაც კი არ დავუკმაყოფილებთ!.. აქვე, მინდა გამოვეხმაურო ოთარ კაკაბაძის მიერ სოციალურ ქსელში გამოქვეყნებულ პოსტს, სადაც ის „ფეხებით დაკიდებას" ახსენებს. ის კლუბიდან უფასოდ წავიდა... წელან რომან ფიფიამ „უმადურობა" ახსენა. სწორედ ის არის უმადურობა, შენ ყველანაირ პირობას უკმაყოფილებ ფეხბურთელებს, ისინი კი მაინც ცდილობენ, სხვა ხერხები გამონახონ. ფეხბურთელები, რომლებიც გაიზარდნენ „დინამოში", არ უნდა გვეთამაშებოდნენ კატა-თაგვობანას", - თქვა სალუქვაძემ.

ალეკო კაკაურიძე

exclusive

გახსოვს, გოგა, ვან ბომელი რომ გემალებოდა?

« პირველი გვერდიდან

- საქართველოში როგორ აღმოჩნდი?

- დიდი ხანია, რაც გოგას ვიცნობ, ვმეგობრობ და საქართველოში გუდაურში სასრიალოდ ჩამოვედი.

- თხილამურებზე დგომა ასე გიყვარს?

- დიახ, მოყვარული ვარ და თხილამურებზე 5 წლიდან ვდგავარ. აქაურობა მომეწონა და დაუვიწყარი დრო გავატარე.

- მარტო ამისთვის ჩამოხვედი?

- მე და გოგას თანამშრომლობა გვსურს და დავილაპარაკეთ. შესაძლოა, სამომავლოდ რომელიმე გამორჩეული ქართველი ევროპაში წავიყვანოთ.

- გასაგებია, გუდაური რომ მოგეწონა, მაგრამ ძლიერ ევროპულ ლიგაში რომელი ქართველის წაყვანაა პერსპექტიული იდეა?!

- ევროპაში ადრე ბევრი ძლიერი ქართველი იყო და ცნობილ გუნდებშიც თამაშობდნენ. ტალანტები ახლაც არიან და მათი შერჩევა უპერსპექტივო საქმე ნამდვილად არა მეჩვენება.

- რომელ ქართველ ფეხბურთელს აკვირდები?

- გიორგი ქვილითაიას. ის საინტერესო თავდამსხმელია. ამას გარდა, ყურადღებას თბილისის „დინამოს" კიდევ 3 ნიჭიერ მოთამაშეს მივაქცევთ.

ქვილითაია და სამი დინამოელი მატია კეჟმანის სამიზნეში

- გახოკიძის გარდა რომელიმე ქართველთან გითამაშია?

- სხვასთან არავისთან.

- ფეხბურთის შემდეგ მენეჯერობა მალე დაიწყე?

- სულ რაღაც სამი თვე დავისვენე და უკვე 5 წელია, რაც მენეჯერობას ვეწევი. საკმაოდ კარგი კავშირები მაქვს იტალიაში, ჰოლანდიაში, ისრაელში, ბელგიაში, ჩინეთში.

- თქვენი ტრანსფერებიდან ყველაზე ცნობილი რომელი გარიგებაა?

- სერგეი მილინკოვიჩ-სავიჩის „ლაციოში" გადაყვანა. ახლა მისი ფასი 60-70 მილიონის ფარგლებში მერყეობს.

ინტერვიუს არაფორმალურ გარემოში ვიწერდით. კეჟმანმა გახოკიძეს გადაულაპარაკა, რაზეც ორივემ გადაიხარხარა.

გახოკიძე: - ეს მაგარი გამახსენა. იმ პერიოდში ბომელი „ეინდჰოვენში" თამაშობდა და ვარჯიშის დროს ყელში ბუცი ჩამცხო.

- მერე რა მოხდა?

მატია კეჟმანი: - რა და ვან ბომელი გოგას ემალებოდა და მე დამსდევდა, უთხარი, არ მომკლასო.

- მოსაკლავად გაეკიდე?!

გახოკიძე: - (იცინის) ყველაფერი კარგად დამთავრდა, 2 თვეში კი „ტვენტეში" გადავედი.

- ქართველი ფეხბურთელებისგან გვსმენია, რომ უცხოეთში ყველაზე მეტად ბალკანელებთან მეგობრობენ, განსაკუთრებით - სერბებთან. სამხრეთელებთან თავადაც ასეთი კარგი ურთიერთობა გქონდათ?

- ჰოლანდიელები უფრო ოფიციალურები არიან, ჩვენ კი ერთნაირი გაგვაჩნია მენტალიტეტიც და სარწმუნოებაც.

- პირადად თქვენ ქართველის მსგავსი მენტალიტეტი რომ გაქვთ, ეს ევრო 2000-ზე გამოჩნდა, მოედანზე შესვლიდან 44-ე წამზე რომ გაგაძევეს.

- (იცინის) ეს რეკორდი იყო, ასე სწრაფად მოედნიდან ფეხბურთელი არ გაუძევებიათ. ჩემს გამწვრთნელს წინა პირობა ჰქონდა. ნორვეგიას ვხვდებოდით და მწვრთნელისგან ვიცოდი, რომ ძირითადში უნდა მეთამაშა. მაგრამ 85-ე წუთზე შემიყვანა და აგრესიული ვიყავი.

- სერბებს მსოფლიოს დონის მოთამაშეები ყოველთვის გყავდათ. ასეა ბოლო წლებშიც, მაგრამ სერიოზულ წარმატებებს ვერ აღწევთ.

- მიზეზი მენტალიტეტშია. ერთსულოვანი გუნდი არ გვყავს.

- აბა, ბევრი საერთო გვქონია. 24 მარტს საქართველო-სერბეთის თამაშს დაესწრებით?

- შესაძლოა, ჩამოსვლძა მინდა და ვნახოთ.

- სლავოლიუბ მუსლინის ნაკრებზე რას იტყვით?

- სერბეთის ფედერაციის ხელმძღვანელობა შეიცვალა და ის დანიშნეს. მუსლინის ხელში გუნდი კარგად ათამაშდა.

- გაიხსენეთ ყველაზე დასამახსოვრებელი თამაში და გოლი.-

- სამ შეხვედრას დავასახელებ: პირველი „პარტიზანში" ჩავატარე, სადაც ბოლო წუთზე „ცრვენა ზვეზდას" გავუტანე და 2:1 მოვიგეთ. მეორე ნაკრებში თამაში იყო, სადაც ბოსნიას დაძაბულ შეხვედრაში შევუგდე და დავამარცხეთ. მესამე დაუვიწყარი მატჩი „ეინდჰოვენში" მქონდა. გუნდში ახალი მისული ვიყავი და თამაში არ მიმდიოდა, როდესაც ჩემპიონთა ლიგაზე „მანჩესტერ იუნაიტედს" შევხვდით. ინგლისელებს 3:1 მოვუგეთ და ბოლო მე გავიტანე.

- თქვენს ბიოგრაფიაში წავიკითხე, რომ ბავშვობაში „პარტიზანის" ფანი ყოფილხართ და ხშირად ჩხუბობდით.

- კი, ეს ბავშვური გატაცება იყო. ხულიგანი ვიყავი და მეტოქეების ფანებს ვეჩხუბებოდი. ვოცნებობდი, „პარტიზანში" რომ მეთამაშა.

- ყველაფრის ახსნა შეიძლება, მათ შორის, კარიერის ბოლოს ჰონ კონგში კარგ ანაზღაურებაზე თამაში. მაგრამ ბელარუსში, ბატე-ში როგორ მოხვდი?

- ბელარუსი თავდამსხმელი ვიტალი როდიონოვი ჩემი მეგობარია. მან ბატეს პრეზიდენტი ანატოლი კაპსკი გამაცნო და შევთანხმდით. კარგი ორგანიზაცია ჰქონდათ და გუნდიც მომეწონა, მაგრამ „ჩელსის", „ეინდჰოვენის", პსჟ-ს და „ატლეტიკოს" შემდეგ ეს ყველას გაუკვირდა. ეს დიდი კურიოზი იყო.

მერაბ მამულაშვილი

ინფრასტრუქტურა

გორში სტადიონის რემონტი...

სადაცაა საქართველო ევროპის 19-წლამდელთა ჩემპიონატს უმასპინძლებს (2-15 ივლისი). გორი ის ქალაქია, სადაც ტურნირის გახსნის მატჩია დაგეგმილი. თენგიზ ბურჯანაძის სახელობის არენას კი ამ დონის შეჯიბრებისთვის მოსამზადებლად რემონტი სჭირდება.

გორის საკრებულომ საამისოდ 560 ათასი ლარის გამოყოფის გადაწყვეტილება მიიღო. ქალაქის მერია არენის რეაბილიტაციას უახლოეს ხანებში პროექტის მომზადებით დაიწყებს, რასაც მალე ტენდერიც მოჰყვება და უშუალოდ სარემონტო სამუშაოების დაწყებაც.

560 ათასი ლარი, რომელიც ქალაქის ბიუჯეტმა უნდა გაიღოს, ცხადია, არ იქნება საკმარისი. საამისოდ, თანხა ცენტრალური ბიუჯეტიდანაც გამოიყოფა. ჯერჯერობით, ვერ დავაზუსტეთ, რამდენი იქნება ქვეყნის ბიუჯეტის წილი, თუმცა ის კი შეიტყვეთ, რომ ჯამურად ეს თანხა მილიონ-ნახევარი იქნება.

ვინაიდან, ახლა პროექტის შედგენის პროცესი მიმდინარეობს, ზედმიწევნით არც ისაა ცნობილი, კონკრეტულად რა სამუშაოები უნდა ჩატარდეს სტადიონზე, მაგრამ ის, რომ განათება გაკეთდება და ტაბლო შეიცვლება, უკვე ცნობილია.

გარდა ამისა, მოხდება გასახდელებისა და საშხაპეების რეაბილიტაცია. იგეგმება საკომენტატორო ოთახების, ვიდეოოპერატორებისთვის ჯიხურების დამონტაჟება. შეიცვლება სტადიონზე შესასვლელი ყველა კარი. გარკვეული სამუშაოები უნდა ჩატარდეს უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნითაც, არენა გარედანაც რიგიანად შეიფუთება.

შეგახსენებთ, რომ თენგიზ ბურჯანაძის სახელობის სტადიონს საფუძვლიანი რეაბილიტაცია 2012 წელს ჩაუტარდა. აქ არსებული მინდვრის საფარი ერთ-ერთი საუკეთესოა საქართველოში. ტრიბუნები, რომელიც დასავლეთ და აღმოსავლეთ მხარეებზეა, ამჟამად 4 ათას მაყურებელს იტევს. გორის სარბიელმა უკვე უმასპინძლა არაერთ საერთაშორისო შეხვედრას ჩვენი ქვეყნის ასაკობრივი ნაკრებების მონაწილეობით. შარშანწინ აქვე გაიმართა ჩემპიონთა ლიგის მატჩიც გორის „დილას" მონაწილეობით...

ერთი სიტყვით, სტადიონის მესვეურებსა და პერსონალს მნიშვნელოვანი საერთაშორისო მატჩების მასპინძლობის გამოცდილება უკვე აქვთ, თუმცა ახლა ტურნირის რანგი გაცილებით მაღალია და მოთხოვნებიც - შესაბამისი.

საერთოდ, არენის რეაბილიტაცია კარგია იმითიც, რომ ჩაივლის ტურნირი და გორსა და ზოგადად ქვეყანას ერთი ხარისხიანი სტადიონიც შეემატება.

ვასილ ბალახაძე
გორიდან

საქართველოს დავით ყიფიანის სახელობის თასი. პირველი ეტაპი

თორმეტი გუნდი მეორე ეტაპისთვის

გუშინ საქართველოს დავით ყიფიანის სახელობის თასის შესარჩევი რაუნდის პირველი ეტაპის მატჩები გაიმართა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს რანგით მეოთხე ლიგის კლუბებმა. შეხვედრები ასე დასრულდა:

I ეტაპი	
ალაზანი-აბული	0:1
თბილისი სიტი-მესხეთი	6:0
ლიახვი-სართი	6:1
ვოიაჟი-რაჭა	3:2
ჰერეთი-თორი	2:2, პენ 5:4
35-ე სკოლა-თბილისი 2016	2:1
საბურთალო 2-იბერია 2010	1:0
დინამო (სხ)-საძ. უნივერსიტეტი	2:1
მაჭახელა-ეგრისი	3:2
სამგურალი 2-იმერეთი 2	4:1
ოდიში 2-ზანა	0:4
ლესიჭინე 2016-დინამო 2 (ბთ)	3:0

მეორე ეტაპზე გასული 12 გუნდი 2016 წლის გარდამავალი ჩემპიონატის რეგიონული ლიგის 8 ჯგუფში მეორე-მესამე ადგილებზე გასულ 16 გუნდს და რანგით მესამე ლიგის 20 გუნდს შეუერთდება.

ალეკო კაკაურიძე

ინფრასტრუქტურა

რა მოჯადოებული წრეა ამისთანა?!.

ტენდერი ისევ ჩაიშალა, ანგისას ბაზა ჰაერში გამოკიდებული რჩება

ანგისას ბაზის მშენებლობა 2015 წელს დაიწყო და 2016 წლის ნოემბერში უნდა დასრულებულიყო. ტენდერში გამარჯვებულმა კომპანია "ენერგოსექტორმშენმა" ტრიბუნების კონსტრუქცია ააშენა და მოედანი დრენაჟის სისტემის ჩასაყრელად გაამზადა, მაგრამ... ვალდებულებები სრულად ვერ შეასრულა და სამშენებლო სამუშაოები შეაჩერა.

ამის შემდეგ კიდევ ერთი ტენდერი გამოცხადდა, რომელსაც ბათუმის "დინამოში" დიდი იმედებით ელოდნენ და ვარაუდობდნენ, რომ ანგისას ბაზის მშენებლობა წლეულს მაინც დასრულდებოდა, მაგრამ... გუშინ ითქვა, რომ მორიგი ტენდერიც ჩაიშალა.

აჭარის საზოგადოებრივ მაუწყებელს მერიაში აცნობეს, რომ ტენდერში არც ერთ კომპანიას არ მიუღია მონაწილეობა, ახალი ტენდერი (ელექტრონული) კი უახლოეს დღეებში გამოცხადდება. არადა, ტენდერის ღირებულება 4 მილიონი ლარია და წარმოუდგენელია, ამ თანხის ათვისება არც ერთ კომპანიას არ სურდეს.

მაშ, რა ხდება? რა მოჯადოებული წრეა ამისთანა, აქამდე თავი რომ ვერ მოება? ნახეთ, როგორი აღშფოთებულია ბათუმის "დინამოს" ერთ-ერთი გულშემატკივარი:

"სტადიონს ვინლა ჩივის, ამხელა კლუბს ბაზა ვერ აუშენეს! თუ არც ერთ კომპანიას მონაწილეობაა არ სურს, ესე იგი, არაა მომგებიანი შეთავაზება. დანებეთ ამ ტენდერებს თავი და მიეცით პირდაპირ რომელიმე კომპანიას. ბოლოს და ბოლოს, ნათესავს მიეცით ან ძმაკაცს, ფული შეჭამეთ, ჩაიდეთ ჯიბეში, ოღონდ, ბოლოს და ბოლოს, ეს ბაზა დაასრულეთ. რა გახდა ასეთი"?!

ასეთ დღეშია უსტადიონოდ და უბაზოდ დარჩენილი გუნდი, რომელმაც ბოლო სამ სეზონში ორჯერ მოიპოვა ევროპალიგის საგზური. კარგია, რომ კლუბს ფინანსურად ეხმარებიან, მაგრამ ფეხბურთს ასფალტზე ხომ არ ითამაშებენ?!

ნორმალურ ქვეყანაში ამაზე ვიღაც ნამდვილად პასუხს აგებდა, მაგრამ ჩვენთან...

მერაბ მამულაშვილი

ალეკო ჯიბლაძე გარდაიცვალა

საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაცია და „ლელოს" რედაქცია ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გუშინ მოულოდნელად გარდაიცვალა ჩვენი კოლეგა, სპორტული ჟურნალისტი და კომენტატორი

ალეკო ჯიბლაძე

და სამძიმარს უცხადებენ ოჯახს, სპორტულ ჟურნალისტთა თემს.

ტელეკომპანია „სილქ-TV" ღრმა მწუხარებას გამოთქვამს ამავე ტელეკომპანიის პროდიუსერის, სპორტული ჟურნალისტისა და კომენტატორის

ალეკო ჯიბლაძის

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

გეგა დიასამიძე

ბევრი რამ შეიცვალა, მაგრამ ვიტყვი მთავარს...

თბილისის "ლოკომოტივმა" თურქულ შეკრებაზე 5 ამხანაგური მატჩი გამართა და აქედან 4 მოიგო. გიორგი დევდარიანის გუნდში თავი კარგად წარმოაჩინა ცენტრალურმა ნახევარმცველმა გეგა დიასამიძემ, ვინც ამ შეხვედრებში 3 გოლი გაიტანა - ყაზახეთის პრემიერლიგელ ყიზილორდას "ქაისარს" დუბლი შეუსრულა, მესამე (და გამარჯვების) კი მინსკის "დინამოს" კარში გაიტანა.

25 წლის ნახევარმცველს "ლელომ" ინტერვიუ ჩამოართვა - მოსამზადებელ ეტაპზე, განახლებულ "ლოკომოტივზე", მის წარსულზე...

- ჯერ თურქულ შეკრებაზე ვილაპარაკოთ. საინტერესო მეტოქეები გყავდათ. ყველაზე მეტად რომელი მათგანი მოგეწონათ?

- იქ თითქმის ყველა გუნდი თანაბარი ძალის იყო. დნეპროპეტროვსკის "დნიპრო" ევროპის ლიგის ყოფილი ფინალისტია, მაგრამ ვერ ვიტყვი, რომ ახლა მინსკის "დინამოს" სჯობდა. ორივესთან კარგად და დამაჯერებლად ვითამაშეთ. მეორე ტაიმში ბელარუსებთან დიდი უპირატესობა გვქონდა და მეტიც უნდა გაგვეტანა. ერთადერთი, ყაზახებთან წავაგეთ და ამასაც არ ვიმსახურებდით - ბავშვური შეცდომების გამო დავმარცხდით. მაგრამ "ქაისარი" ყველაზე მეტად მომეწონა. ფაქტია, ყაზახები ძალიან განვითარდნენ და საკმაოდ მაღალ დონეზე ათამაშდნენ და ეს ლეგიონერების დამსახურებაა - ბევრი მაღალი კლასის უცხოელი ჰყავთ.

- არა მარტო შეკრებაზე, გარდამავალ ჩემპიონატშიც გუნდის ბომბარდირი იყავი. "ლოკომოტივში" "მეორე სუნთქვა" გაგეხსნა?

- ნამდვილად ასეა, რადგან იმ გუნდში მოვხვდი, სადაც მენდობიან და მათამაშებენ. ჩემპიონატში ბომბარდირობა კი იმის დამსახურებაც არის, რომ ბოლო ტურებში თავდამსხმელები დაგვიშავდა და დევდარიანმა შეტევაში მათამაშა.

- წელს "ლოკომოტივის" შემადგენლობა საგრძნობლად განახლდა. თქვენი აზრით, გუნდი შარშანდელზე ძლიერი იქნება?

- ამაში დარწმუნებული ვარ. სხვათა შორის, გარდამავალი ჩემპიონატი კარგად კი დავიწყეთ, მაგრამ ცუდად დავასრულეთ. ბოლოს "შუქურასთან" ქულა რომ არ აგვეღო ლიგიდან გავვარდებოდით. ისე, მაშინ უცნაური ვითარება შეიქმნა - თან გავვარდნის საფრთხე იყო და ამავე დროს, მოგებით ევროპის ლიგის პლეი ოფში მოხვედრის შანსიც გვქონდა... გუნდი დევდარიანმა რომ ჩაიბარა, შემადგენლობა განახლდა და საკონტროლო შეხვედრებში გამოჩნდა, რომ "ლოკომოტივი" გაძლიერდა.

- ამ შემადგენლობით ჩემპიონობისთვის იბრძოლებთ?

- რატომაც არა?! ჩემი აზრით, ეს გამორიცხული არ არის. ჩვენ ნებისმიერ შეხვედრაში მოსაგებად ვაპირებთ ბრძოლას. სამეულში მოხვედრაც მშვენიერი შედეგი იქნება.

- გიორგი დევდარიანი ამბიციური მწვრთნელია და, ცხადია, მაღალი შედეგებისთვის ბრძოლა სურს. საინტერესოა, გუნდში მისი მოსვლით რა შეიცვალა?

- ბევრი რამ შეიცვალა, მაგრამ მე მთავარს ვიტყვი - გუნდში ახლა ყველა ფეხბურთელმა იცის, ვის რა ევალება, რა უნდა ქნას და რომელი ზონა აკონტროლოს. ეს ძალიან მნიშვნელოვანია, გუნდმა შეთანხმებულად და აზრიანად რომ ითამაშოს. ამაზე ჯერ კიდევ თურქეთში გამგზავრებამდე, საგურამოში ვვარჯიშობდით და მიმაჩნია, რომ უცხოურ გუნდებთან წარმატებული დაპირისპირება ამის შედეგიც არის.

- ...და მერე ეს კარგი გუნდი ჩადის სამტრედიაში, ქუთაისში, გორში, საჩხერეში, ქობულეთში... იქ ყველა თქვენს მეტოქეს გულშემატკივარი ჰყავს, თბილისში კი "ლოკომოტივის" თამაშებზე ხალხი თითქმის არ დადის. არადა, გულშემატკივარი რეალურად მე-12 მოთამაშეა...

- ეს ყველას გვადარდებს. თბილისში ფეხბურთი უყვართ, მაგრამ არ დადიან. იმიტომ, რომ უკეთეს ფეხბურთს ელიან. მე მქონდა ბედნიერება, მეთამაშა დანიურ "ორჰუსში", სადაც სტადიონზე ბევრი ხალხი დადიოდა. მერე იმ გორის "დილაში" ჩავირიცხე, რომელსაც მინიმუმ 2-3 ათასი მაყურებელი ჰყავდა. ხალხი სტადიონზე სხვა ატმოსფეროს ქმნის, ფეხბურთელიც კარგი განწყობით თამაშობს და მეტი სტიმული აქვს. აბა, უმაყურებლო ფეხბურთი ვარჯიშივითაა, ჩამქრალი ხარ, ემოციებიც არ არის... ახლა ჩვენი ოჯახის წევრები და 100-მდე მოყვარული თუ დადის, რაიმე გამორჩეული თამაში თუ არ არის. თანაც, "მიხეილ მესხი" დიდი სტადიონია და...

- მაყურებელს კარგი ფეხბურთი იზიდავს. დევდარიანს "თბილისი" რომ ჰყავდა, 4-5 ათასი ქომაგი მაინც დადიოდა მის სანახავად...

- ჩვენც იმავეს უნდა ვეცადოთ. სხვათა შორის, ამის გამო, ჩვენს ხელმძღვანელობას სურდა, "ლოკომოტივს" საგურამოს სტადიონზე ეთამაშა, სადაც 2000 მაყურებელი მაინც მოვიდოდა, მაგრამ გადაიფიქრეს.

გეგა დიასამიძე

- ძალიან ბევრ გუნდში გითამაშიათ. სულ რამდენი კლუბია გეგა დიასამიძის დოსიეში?

- (იცინის) ჰოო, ნამდვილად ბევრ გუნდში მითამაშია... 13 წლის ვიყავი, არველაძეების ფონდმა ამსტერდამის "აიაქსში" რომ წამიყვანა. მაგრამ არაევროკავშირელს რომ მეთამაშა, კლუბს 460 ათასი ევრო უნდა გადაეხადა და პატარა ბავშვში ამას ვინ გაიმეტებდა? მერე პორტუგალიის მესამე ლიგის "ოდიაშის" დუბლებში ჩავირიცხე, საიდანაც მთავარ გუნდში გადამიყვანეს და 16 წლისამ პორტუგალიაში ვითამაშე. მერე იყო დანიური "ორჰუსი", საიდანაც წელის ტრავმის გამო წამოვედი და ლამის წელიწად-ნახევარი გამიცდა. მაგრამ თბილისის უკრაინულ კლინიკაში მიმკურნალეს და გორის "დილაში" მივედი. "ლოკომოტივში" კი 2015 წელს ჩავირიცხე...

მერაბ მამულაშვილი

მანჩესტერ სიტი

თვითონაც თამაშობს და სხვასაც ათამაშებს...

როგორია პეპ გვარდიოლას მანჩესტერ სიტი

ბევრს გაუკვირდა ჩემპიონთა ლიგის პლეი ოფში ისეთი „მანჩესტერ სიტის“ ნახვა, როგორიც ჩვენ ვნახეთ. გუნდმა ხუთი გოლი გაიტანა და, რა თქმა უნდა, ამისთვის ის შექებას იმსახურებს, მაგრამ სამაგიეროდ, ის ძალიან ცუდად გამოიყურებოდა დაცვაში და ამის დასტურად სამი გაშვებული გოლი გამოდგება. ვინც ეს შეხვედრა ნახა, დაგვეთანხმება, რომ „მონაკოს“ გატანა კიდევ შეეძლო.

„მანჩესტერ სიტიმ“ „მონაკოს“ 5 გოლი გაუტანა, მაგრამ 3 გაუშვა

ჩემპიონთა ლიგაზე გუნდები საკუთარი შესაძლებლობების მაქსიმუმს ავლენენ. უნდა ვივარუდოთ, რომ ეს იყო **პეპ გვარდიოლას** მესიჯი საფეხბურთო სამყაროს მიმართ, თუ როგორი უნდა იყოს „სიტი“ მომავალში. „სიტი“, რომელსაც ერთადერთი კონსტრუქტორი ჰყავს პეპ გვარდიოლას სახით.

„მონაკოსთან“ მატჩი სულაც არ ნიშნავს იმას, რომ „მანჩესტერ სიტი“ სულ ასე ითამაშებს დაცვაში, მაგრამ ერთი კი გამოიკვეთა - პეპი არც ინგლისში ულალატებს საკუთარ ფილოსოფიას და აქცენტს შეტევაზე გააკეთებს.

ეს კი ნიშნავს იმას, რომ „სიტი“ თავადაც ითამაშებს და სხვასაც მისცემს თამაშის საშუალებას. ჩვენ გვახსოვს გვარდიოლას გაწვრთნილი „ბარსელონა“ და „ბაიერნი“. იქ ძირითადად პეპის გუნდები თამაშობდნენ. „სიტიში“ კი ეს ამბავი ალბათ არ გამოვა რიგი მნიშვნელოვანი მიზეზების გამო.

მთავარი ამ მიზეზთაგან ალბათ, მაინც ისაა, რომ „ბარსელონაცა“ და „ბაიერნიც“ მოწინააღმდეგეს ბურთის ფლობისა და მისი „ამოტანის“ საშუალებას არ აძლევდნენ. „სიტიში“ დღეს სხვანაირი ვითარებაა. ინგლისურ გუნდს არ ჰყავს „ბარსას“ ეპოქალური პრესინგის მთავარი შემოქმედი, **სერხიო ბუსკეტსი** და არც წლების განმავლობაში დალაგებული თამაში აქვს, როგორიც „ბაიერს“.

ერთადერთი გამოსავალი შექმნილ სიტუაციაში ისაა, რომ შენც ითამაშო და სხვაც ათამაშო. რა თქმა უნდა, „სიტი“ უკეთესი იქნება დაცვაში და სულაც არ არის გამორიცხული, მინიმუმ ერთი ახალი უკანახაზელი იყიდოს, მაგრამ ეს სიტუაციას არანაირად არ შეცვლის.

რატომ გააკეთა გვარდიოლამ ასეთი არჩევანი? დავიწყოთ იქიდან, რომ პეპმა კარგად იცის, ერთ ან ორ წელიწადში პრაქტიკულად შეუძლებელია უნაკლო გუნდის შექმნა, როგორიც მას ჰყავდა „ბარსელონაში“. ასეთი გუნდი რომ შექმნა, სულ მცირე, „ლა მასიას“ აკადემია უნდა გქონდეს. ის სათამაშო სტილი, რომელიც მხოლოდ შენია, ფეხბურთელებმა ჯერ კიდევ ღრმა ბავშვობაში უნდა შეისისხლხორცონ, „სიტის“ აკადემია კი მხოლოდ ახლა დგამს პირველ ნაბიჯებს.

გვარდიოლას პირადი გემოვნება რომ გვერდით გადავდოთ, „სიტი“ დღეს ისეა დაკომპლექტებული, რომ ნებისმიერი მწვრთნელი აქცენტს შეტევაზე გააკეთებს. შეტევაში ინგლისურ კლუბში მართლაც ძალიან დიდი კონკურენციაა. თუნდაც ის რად ღირს, რომ სანამ **გაბრიელ ჟეზუსი** *ჯანმრთელი იყო, სათადარიგოთა სკამზე ჩვენ ხშირად ვხედავდით თვით* **სერხიო აგუეროს**.

არცთუ დიდი ხნის წინ ჩვენ შევთავაზეთ მკითხველს **ნოელ გალაგერის** *ინტერვიუ გვარდიოლასთან. ერთხელაც გავიხსენოთ მისი მთავარი მომენტები და ეს დაგვეხმარება იმის გაგებაში, თუ რას ამზადებს ის „სიტიში“.*

„ მე ავირჩიე „სიტი“ იმის გამო, რომ მათ დიდი ხანია, ჩემი სამსახური სურდათ. თანაც, ჩიკი და ფერანიც აქ არიან. მათ დიდი ხანია ვიცნობ, ჩვენ ერთად ვთამაშობდით „ბარსელონაში“.

ჩვენ გვინდა ტიტულები. უნდა ვითამაშოთ ისე, რომ მთელ მსოფლიოში ჩვენმა გულშემატკივარმა ჩვენით იამაყოს. იმ კონტინგენტს, რომელიც დღეს გუნდშია, ეს შეუძლია. ისინი შესანიშნავი ბიჭები არიან. ჩვენ უნდა დავარწმუნოთ ისინი, რომ ასე გარჯა შეუძლიათ.

როცა მე აქ ჩემპიონთა ლიგის თამაშებზე ჩამოვდიოდი „ბაიერნთან“ და „ბარსელონასთან“ ერთად, ვაწყდებოდი სრულიად განსაკუთრებულ ატმოსფეროს. მე მჯერა, რომ „სიტის“ ფანები დამეხმარებიან მუშაობაში და მწამს, რომ ქომაგები ჩვენი ფეხბურთელებით იამაყებენ.

იცის, რომ 24 საათის განმავლობაში ვმუშაობ. ფეხბურთელები ხედავენ, რომ ერთად ძალიან ბევრს ვმუშაობთ მათი ტექნიკური თუ ტაქტიკური სრულყოფისათვის.

ასე იყო „ბაიერნშიც“ და „ბარსელონაშიც“. მართალია, „ბაიერნში“ ჩვენ ვერ მოვიგეთ ჩემპიონთა ლიგა, მაგრამ ამ გუნდში გატარებულ დროს დიდი სიამოვნებით ვიხსენებ.

მე გავიზარდე „ბარსელონას“ აკადემიაში, რომელიც, შესაძლოა, საუკეთესოა მსოფლიოში. როცა მე „ბარსაში“ მწვრთნელად მივედი, უკვე ვიცოდი გამორჩეული მოთამაშეების შესახებ, მაგალითად, ბუსკეტსის, პედროსა და სხვების თაობაზე.

საჭიროა ნიჭი, ხარისხი და ნება იმისთვის, რომ ახალგაზრდა ფეხბურთელმა წარმატებას მიაღწიოს. მე კარგი მწვრთნელი ვარ, მაგრამ არ ვარ იმდენად კარგი, რომ დიდი ფეხბურთი ვათამაშო იმას, ვისაც ხარისხი არ აქვს.“ - ამბობს გვარდიოლა.

ალეკო კაკაურიძე

ამბები

სიყვარული და სიძულვილი

ჟოზე მოურინიო და მესუთ იოზილი

მესუთ იოზილმა თავის ავტობიოგრაფიულ წიგნში **ჟოზე მოურინიოსთან** ურთიერთობის ნაწყვეტები გაიხსენა და მათ შორის, პრესაში ერთი საინტერესო მონაკვეთი გავრცელდა:

„მოურინიო ყვიროდა - შენ გგონია ორი ლამაზი პასი საკმარისია? გგონია, რომ 50% საკმარისია? - მერე გაჩერდა და თავისი მუქი თვალებით მომაშტერდა. მეც ვუყურებდი და ერთმანეთს ისე მივაჩერდით, როგორც ამას დაპირისპირებული მოკრივეები აკეთებენ ხოლმე ჩხუბის დაწყების წინ. ჟოზე არანაირ ემოციას არ გადმოსცემდა და უბრალოდ, ჩემს პასუხს ელოდა, მე ვდუმდი. როგორ მძულდა ის იმ მომენტში! სინამდვილეში კი მე მიყვარს მოურინიო“ - წერს იოზილი.

ამ ისტორიას საინტერესო გაგრძელება მოჰყოლია - იოზილმა მოურინიოს პროტესტის ნიშნად, „რეალის“ მაისურა ესროლა და უთხრა, გადი მინდორზე და თავად ითამაშეო. ჟოზემ კი უპასუხა - აჰ, ახლა ნებდები? როგორი ლაჩარი ხარ! რა გინდა? თბილი შხაპის მიღება და დამალვა, განმარტოება? თუ გინდა თანაგუნდელებს, ფანებს და მე დამიმიტკიცო, რა შეგიძლია? - იოზილს შხაპი აურჩევია. თუმცა მესუთი იქვე იმეორებს, რომ მოურინიოს დიდ პატივს სცემს და მისთვის ეს კარგი და საჭირო გაკვეთილი იყო.

აგუერო მოლაპარაკებას უარყოფს

გაბრიელ ჟესუსის გამოჩენის შემდეგ „მანჩესტერ სიტიში“ **სერხიო აგუეროს** პოზიციები შეირყა. სანამ ბრაზილიელი დაშავდებოდა და 2-3 თვით დააკლდებოდა „ქალაქელებს“ **ხოსეპ გვარდიოლა** ძირითადში სწორედ 19 წლის ტალანტს აყენებდა და ისიც შესანიშნავად გამოიყურებოდა. აგუერომ ეს ვერ აიტანა და მალევე საჯაროდ განაცხადა, სეზონის ბოლომდე გუნდს ყველანაირად დავეხმარები, მერე კი ვნახოთ, შესაძლოა, წასვლაზეც ვიფიქროო. არგენტინელი სათადარიგოთა სკამზე ჯდომას არ აპირებს და კონფლიქტსაც არ მოერიდა. 28 წლის კუნმა მორიგი განცხადება გააკეთა და აღნიშნა, რომ ჯერჯერობით, კლუბის უფროსობა მას ახალ კონტრაქტზე არ შეხმიანებია და მომავალზე მხარეებს არ უსაუბრიათ. არადა, გუნდის მმართველები პრესისთვის განცხადებებს აკეთებენ, აგუერო რჩებაო. მოქმედი შეთანხმებით, სერხიო 2020 წლამდეა მანჩესტერელებთან დაკავშირებული.

„ერთია, რას იტყვიან საჯაროდ და მეორე, რას მეტყვიან მე. ჩვენ არანაირი საუბარი არ გვქონია მომავლის თაობაზე. თუმცა ზაფხული მალე მოვა და მერე მოუწევთ ჩემთან დალაპარაკება. დარჩენა მსურს, მაგრამ რაღაც საკითხებია შესათანხმებელი. იქამდე კი ვეცდები გუნდს მაქსიმალური სარგებელი მოვუტანო“ - აღნიშნა აგუერომ.

პოგბა ფანებს დაუპირისპირდა


პოლ პოგბა

პოლ პოგბას „მანჩესტერ იუნაიტედის“ რამდენიმე ფანთან უსიამოვნება მოსვლია. როგორც ირკვევა, რამდენიმე დღის წინათ, მანჩესტერის ერთ-ერთ კაფეში მეგობრებთან ერთად სადილობისას 23 წლის ფრანგთან გულშემატკივრები მივიდნენ და ავტოგრაფი სთხოვეს. პოლს მათთვის თავაზიანი უარი უთქვამს და მიუნიშნებია, ახლა ამისი დრო და ადგილი არ არისო. თუმცა იმ ქომაგებმა ეს შეურაცხყოფად აღიქვეს და პოგბასთან საქმის გარჩევა დაიწყეს. იგი კუთხეშიც კი მიუმწყვდევიათ, მაგრამ, საბედნიეროდ, ამაზე წინ საქმე არ წასულა. დაწესებულების დაცვამ პოლიცია გამოიძახა, მაგრამ სამართალდამცავების მისვლამდე „თავდამსხმელები“ ნახევარმცველს გაეცალნენ და თავის გზაზე წავიდნენ.

გიორგი კაკაბაძე

იტალიის თასი. გამოხმაურება

„ლაციო“-„რომა“, 2:0

სოლიდური ფორა

ეს მხოლოდ ბრძოლა იყო, ომი გრძელდება

იტალიის თასის ნახევარფინალში რომაული გუნდები გადაეყარნენ ერთმანეთს და შესაბამისად, დამატებითი ორი დერბის ხილვის საშუალება მოგვეცა. ორრაუნდიანი ბრძოლის პირველი ეტაპი „ლაციოს“ გამარჯვებით დასრულდა და თანაც, სოლიდური ანგარიშით - 2:0. ფორმალური მასპინძელი სწორედ „ბიანკოჩელესტე“ გახლდათ და განმეორებითი მატჩის წინ, კომფორტული ფორაც შეიქმნა.

ბევრისთვის მოულოდნელად, მატჩი სწორედ „ლაციოს“ უპირატესობით წარიმართა და შედეგი სრულად ასახავს მოედანზე განვითარებულ მოვლენებს. მართალია, ბურთს უფრო ხშირად „ჯალოროსი“ ფლობდა, მაგრამ გაცილებით მწვავედ „ლაციოს“ ფეხბურთელები უტევდნენ და კიდევ უფრო დიდი ანგარიშითაც შეეძლოთ მოგება. **სიმონე ინძაგის** შეგირდებმა ორი შესანიშნავი გოლიც გაიტანეს - მატჩის 30-ე წუთი მიმდინარეობდა, როდესაც მარცხენა ფრთაზე განვითარებულ იერიშს **ფელიპე ანდერსონის** გამოზომილი პასი და **მილინკოვიჩ-სავიჩის** უზადო დარტყმა მოჰყვა - 1:0. მეორე გოლი მატჩის დასრულებამდე 15 წუთით ადრე გავიდა, როდესაც შეტევა უკვე მარჯვენა ფრთიდან განვითარდა, **ბალდე კეიტამ** კი იდეალური გადაცემით **ჩირო იმობილე** მოძებნა, რომელსაც დაუცველ კარში გატანა აღარ გასჭირვებია - 2:0.

მთლიანობაში, „ლაციო“ იყო გაცილებით მობილიზებული, კონცენტრირებული, ენერგიული, მიზანდასახული და მონდომებული, რამაც განაპირობა კიდეც საბოლოო შედეგი. ქებათა ქება ინძაგის, რომელმაც პირველი დუელი აშკარად მოუგო **ლუჩანო სპალეტის** და სოლიდური ფორა შეიქმნა...

სიმონე ინძაგი (ლაციოს მწვრთნელი): *„თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ეს იყო იდეალური თამაში ჩემი შეგირდების შესრულებით და ამისთვის მათ მადლობა ეკუთვნით. ვფიქრობ, უმრავლეს კომპონენტებში დავჯაბნეთ მეტოქე და დამსახურებულად გავიმარჯვეთ. ჩვენი მიზანი იტალიის თასის მოპოვებაა და ამისთვის ყველაფერს გავაკეთებთ. ვფიქრობ, ეს ტროფეი შესანიშნავი საჩუქარი იქნება გულშემატკივრებისთვის. „რომა“ არა მარტო იტალიის, ევროპის მასშტაბით ერთ-ერთი საუკეთესო გუნდია, რომელსაც არა მხოლოდ შედეგით, თამაშის ხარისხით ვაჯობეთ“.*

ლუჩანო სპალეტი (რომას მწვრთნელი): *„ეს უბრალოდ არ იყო ჩვენი დღე და შესაბამისად, ჩვენი მატჩი. შეგვეძლო მინიმუმ ერთი გოლის გატანა, მაგრამ იღბალი მეტოქის მხარეს იყო. ეს მხოლოდ ბრძოლა იყო, ომი კი გრძელდება და წინ განმეორებითი მატჩია. დარწმუნებული ვარ, გვაქვს იმის რესურსი, რომ ჩამორჩენა აღმოვფხვრათ და ფინალში გავიდეთ“.*

ლაშა წიკლაური

მილანი

შეთანხმება გადაიდო, თუ ჩაიშალა?

სილვიო ბერლუსკონი ჯერ ისევ „მილანის“ მფლობელი და პრეზიდენტია

წესით და რიგით, 3 მარტს „მილანის“ საკონტროლო პაკეტი ჩინური კონსორციუმის, „სინო ეუროპას“ ხელში უნდა გადასულიყო, მაგრამ ბოლო ინფორმაციით, პროცესი გართულდა, მოლაპარაკება ჩიხში შევიდა და ეს საკითხი ან ერთი თვით გადაიდო, ან სულაც ჩაიშალა. დიახ, კლუბი რჩება **სილვიო ბერლუსკონის** ხელში და, რა მოხდება მომავალში, დღეს რთულია ამაზე ლაპარაკი.

3 მარტამდე, სილვიო ბერლუსკონის კომპანიას, „ფინინვესტს“ 320 მილიონი ევრო უნდა მიეღო, რის შემდეგაც „მილანი“ მთლიანად ჩინელების ხელში გადავიდოდა, მაგრამ ინვესტორებმა ამ თანხას ვერ მოუყარეს თავი. კონსორციუმს რამდენიმე წევრი გამოაკლდა, რამაც ინვესტორის ფინანსური რესურსი მკვეთრად შეამცირა. ჩინელებმა ბერლუსკონის თანხის ნაწილის დაფარვა შესთავაზეს და დანარჩენს სამომავლოდ შეჰპირდნენ, თუმცა მკაცრი უარი მიიღეს. ბერლუსკონიმ მოლაპარაკების პროცესი შეაჩერა და მიზეზად აზიელების მიერ სიტყვის შეუსრულებლობა დაასახელა.

„გაძეტა დელო სპორტის“ ცნობით, ბერლუსკონიმ კიდევ ერთი თვე მისცა ჩინელებს, რომ პირობა შეუსრულონ და „ფინივესტმა“ 320 მილიონი ევრო მიიღოს - ამასთან, დონ სილვიომ უნდა მიიღოს გარანტიები, რომ „სინო ეუროპას“ დასუსტების მიუხედავად, კონსორციუმი კლუბში საჭირო ინვესტიციებს დააბანდებს, რათა გუნდმა ძველი დიდება დაიბრუნოს. თუმცა, ეს უკვე ვარაუდები და მოლოდინებია - რა იქნება სინამდვილეში, უკვე რთული სათქმელია...

ლაშა წიკლაური

ამბები

სოუზას რეია შეცვლის?

მიმდინარე სეზონში, „ფიორენტინა“ წარუმატებლად ასპარეზობს და სულ უფრო ხშირად საუბრობენ, რომ გუნდის მთავარი მწვრთნელის პოსტიდან **პაულო სოუზას** გაათავისუფლებენ. პორტუგალიელი მწვრთნელის თავკაცობით, „ვიოლა“ სერია A-ს სატურნირო ცხრილის შუაგულშია მოქცეული, ევროპალიგის და იტალიის თასის გათამაშებებს კი უკვე დაემშვიდობა. სერია A-ს ბოლო ტურში, „ფიორენტინამ“ „ტორინოს“ უმასპინძლა, სოუზას გამარჯვება ჰაერივით სჭირდებოდა და მისი გუნდი იგებდა კიდეც თამაშს, მაგრამ ორბურთიანი ფორა გაანიავა და პორტუგალიელი მწვრთნელის მდგომარეობა კიდევ უფრო დამძიმდა.


ედი რეია

ბოლო დღეებში აქტიურად მუსირებს აზრი, რომ, პაულო სოუზას ადგილს **ედი რეია** დაიკავებს. 71 წლის სპეციალისტი სერია A-ს არაერთ გუნდს წვრთნიდა, მათ შორის „ნაპოლის“, „ლაციოს“ და „ატალანტას“. რეიამ მოკლე კომენტარი გააკეთა და შემდეგი განაცხადა:

„არ გამოვრიცხავ, რომ მომავალში „ფიორენტინას“ ჩავუდგე სათავეში, მაგრამ დღეს, გუნდს ჰყავს მწვრთნელი, რომელსაც უნდა ვაცალოთ მუშაობა. იყო თუ არა კონტაქტი ფლორენციული კლუბის მესვეურებთან? - შედგა საუბარი, თუმცა კონკრეტული წინადადება არ მიმიღია“.

ზემანი: იუვე დამსახურებულად ლიდერობს

ზდენეკ ზემანი სერია A-ში დაბრუნდა, „პესკარა“ ჩაიბარა და ისევ მოექცა ჟურნალისტთა ყურადღების ცენტრში. ჩეხი სპეციალისტი ტრადიციულად არ სწყალობს „იუვენტუსს“ და რადგან ბოლო პერიოდში, ისევ ალაპარაკდნენ „იუვენტუსისთვის“ მსაჯების დახმარებაზე, ბუნებრივია, რომ ამ თემაზე ზემანსაც დაეკითხნენ. მოულოდნელად, ზდენეკმა ტურინულ გრანდზე მხოლოდ დადებით კონტექსტში ისაუბრა:

ზდენეკ ზემანი

„ისევე, როგორც ფეხბურთელები, მსაჯებიც ადამიანები არიან და ბუნებრივია, რომ ხანდახან ისინიც ცდებიან. პერიოდულად, ამ შეცდომებს „იუვენტუსის“ სასარგებლოდ უშვებენ, მაგრამ ლაპარაკი იმაზე, რომ ტურინელებს ეხმარებიან, აშკარად გადამეტებულია. დარწმუნებული ვარ, ბევრ ისეთ ეპიზოდს ვიპოვით, როდესაც მსაჯები „იუვეს“ საწინააღმდეგოდ ცდებიან. მოდით ჩავხედოთ რეალობას თვალებში და ვაღიაროთ, რომ ტურინული გუნდი სრულიად დამსახურებულად ლიდერობს ჩემპიონატს“.

ლაშა წიკლაური

ბელგიელი კონგოში

ერთი უცნაურზე უცნაური ტრანსფერი განხორციელდა - ბელგიის ნაკრების ყოფილი მცველი **ანტონი ვანდენ ბორე** საფეხბურთო კარიერას კონგოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში გააგრძელებს. „ეკიპის“ ცნობით, 29 წლის ბელგიელმა ხელშეკრულება აფრიკულ „მაზემბესთან“ გააფორმა. ბოლოს ვანდენ ბორე ფრანგულ „მონპელიეში“ ასპარეზობდა იჯარით ბელგიური „ანდერლეხტიდან“.

პოდოლსკი იაპონიაში მიდის

„გალათასარაის“ გერმანელმა ლეგიონერმა **ლუკას პოდოლსკიმ** გამოაცხადა, რომ სეზონის დასრულებისთანავე დატოვებს თურქულ გრანდს და კარიერას იაპონიაში გააგრძელებს. პოდოლსკი ჯეი ლიგის „ვისელ კობეში“ გადადის. „გალათასარაი“ ვეტერანი გერმანელი შემტევის სანაცვლოდ 2,6 მილიონ ევროს მიიღებს. ამ სეზონში პოდოლსკიმ 21 მატჩში 14 გოლი გაიტანა სტამბოლური კლუბის მაისურით. მის ანგარიშზეა 6 საგოლე პასიც.

ლუკას პოდოლსკი

გერმანიის მერე, თურქეთი

გერმანიის დარად, ევრო 2024 წლის მასპინძლობაზე ოფიციალური განაცხადი ჩვენმა მეზობელმა თურქეთმაც შეიტანა. თურქეთს ჯერ არასოდეს უმასპინძლია ევროპის ან მსოფლიოს ჩემპიონატისთვის დიდებში. თურქებმა ევრო 2016-ის მასპინძლობისთვის ბრძოლა ფრანგებთან დათმეს. შემდეგ უარი თქვეს ევრო 2020-ის რამდენიმე მატჩის მასპინძლობაზე.

ნიკოლოზ ნეფარიძე

ენფილდსა და ესპანური ტურები

„ენფილდი“ და „ოლიმპიკო“ ამ უქმეების მთავარი მოვლენების ორი ეპიცენტრია. ინგლისში „ლივერპულისა“ და „არსენალის“ ჯგახია, იტალიის დედაქალაქში კი თასზე ახლახან დამარცხებული ორი გრანდის, „რომასა“ და „ნაპოლის“ დაპირისპირება გველის...

პრემიერლიგა: კლოპი VS ვენგერი

„ლივერპულმა“ უკვე საკმარისზე მეტი ქულა დაკარგა და **იურგენ კლოპის** გუნდი, რომელიც ერთი ხანობა ლიდერობდა კიდეც, იქამდე მივიდა, რომ ახლა ოთხეულს მიღმაა. ეს იმას ნიშნავს, რომ თუ მერსისაიდელები „არსენალთან“ მატჩსაც ჩააგდებენ, მერე უკვე ძალიან გაუჭირდებათ ოთხეულში შესვლა, რადგან „მანჩესტერ იუნაიტედმაც“ გამოიღვიძა და თანაქალაქელი „ევერტონიც“ არ ისვენებს, რომ აღარაფერი ვთქვათ „ტოტენჰემსა“ და „სიტიზე“. ხოლო „ჩელსის“ რომ ოთხეულში ადგილი გარანტირებული აქვს და ალბათ, უბრალოდ ოთხეულშიც არა, ესეც მოგვეხსენება.

უშუალო კონკურენტს „ენფილდის“ ბინადრებმა პირველ წრეში უხვგოლიან მატჩში მოუგეს და ზოგადად, 7-ეულის გუნდებთან „კლოპოს“ ნაკლები პრობლემები აქვს. თუმცა „მეთოფეები“ ცუდ ფორმაში არ არიან და **არსენ ვენგერსაც** კარგად ესმის ამ მატჩის მნიშვნელობა. ძალიან საინტერესოა როგორი შემადგენლობით ითამაშებს ფრანგი სპეციალისტი, ის ისევ პირველ ჩვენებას „მიანვება“ და ფორვარდის პოზიციაზე **ალექსის სანჩესს** დააყენებს, თუ მაგალითად, **ოლივიე ჟირუს** მისცემს ბოლოს და ბოლოს, შანსს.

კლოპის შემთხვევაში ყველაფერი ალბათ, უფრო ადვილად პროგნოზირებადია, იგი **მანე-ფირმინო-კოუტინიოს** სამეულით შეუტიევს. მათ უკან კი **ლალანა** და სხვანი იფუსფუსებენ. ყოველ შემთხვევაში, წესით, ასე უნდა იყოს. მთავარი საფიქრალი გერმანელის შემთხვევაში ის არის, რომ კოუტინიო არც ისე კარგ ფორმაშია და გუნდი მის ათამაშებას ელოდება. ბრაზილიელი ფორმას რომ აკრეფს, მერე ალბათ თანამემამულე ფირმინოსაც აიყოლიებს და მანეც აღარ იქნება თავისთვის. ეს თამაში მერსისაიდელებს შესაძლოა, კარგად გამოადგეთ იმისთვის, რომ ფერზე მოვიდნენ. მით უმეტეს, გუნდი „ლესტერთან“ ძალიან უფერული სანახავი გახლდათ და შემართების ნაკლებობა შეინიშნებოდა, ხოლო „ლივერპული“ რის „ლივერპულია“ ჟინი, თუ არ დუღს და გადმოდუღს. შეგახსენებთ, რომ 2017 წელს კლოპის ბიჭებმა ჯერჯერობით, სულ 12 მატჩი ჩაატარეს და მხოლოდ 2 მოიგეს (აქედან 1 თასზე). არადა, ახლა პრემიერლიგაში კონკურენცია ისეთი სერიოზულია, თითოეულ ქულას უკვე მართლაც ოქროს ფასი აქვს.

სხვათა შორის, მერსისაიდელებს „ენფილდზე“ „არსენალი“ ორი მატჩია არ დაუმარცხებიათ - 3:3, 2:2. ერთი სიტყვით, ბოლო დროს ამ გუნდების ურთიერთშეხვედრები ბევრგოლიანი გამოდის და იმედია, ამჯერადაც ასე იქნება.

„არსენალს“ **სანტი კასორლა** რომ არ ეყოლება, არახალია. ესპანელი ამ სეზონში ვეღარ ითამაშებს. მერსისაიდელები კი კაპიტნის, **ჯორდან ჰენდერსონის** დაბრუნებას ელიან.

ტურს „მანჩესტერ იუნაიტედისა“ და „ბორნმუთის“ შეხვედრა ხსნის. „ალუბლები“ აშკარა კრიზისში არიან, „წითელმა ეშმაკებმა“ კი გვარიანად მოუმატეს და **მოურინიოს,** წესით, მოგება არ უნდა გაუჭირდეს. უცილობლად 3 ქულას ელის და გეგმავს **ხოსეპ გვარდიოლაც**, რომლის „სიტიც“ აუტსაიდერ „სანდერლენდს“ ეწვევა „ლაითზე“. ძალიან საინტერესოა და ყურადღებას იმსახურებს „ტოტენჰემისა“ და „ევერტონის“ მატჩიც. **რონალდ კუმანის** ბიჭებმა ბოლო დროს სიურპრიზების შემოთავაზება დაიწყეს და „კანფეტები“ მართლაც აპირებენ ლიგის ზონისთვის გაბრძოლებას - მათ „უაით ჰართ ლეინზე“, სულ ცოტა, არ უნდა წააგონ , მაგრამ ეს ძალიან, ძალიან ძნელი იქნება. **ჰარი კეინისა** და **რომელუ ლუკაკუს** „დერბისაც“ ვნახავთ. ტკბილ ლუკმად კი ორშაბათს ლონდონური დერბი გვაქვს. ნერვიულობისგან ჭკუიდან გადასული **სლავენ ბილიჩი** მასსავით ემოციურ **ანტონიო კონტეს** დაუხვდება. „ჩელსი“ ტრიუმფალურ სვლას აგრძელებს და „ჩაქუჩები“ ლიდერის გაჩერებას ეცდებიან.

ლა ლიგა: ნაადრევად ნათქვამი?

ტური ხეირიანად არ დასრულებულა, რომ მორიგი იწყება - მათ შორის პაუზა 24 საათიც კი არ არის. რას იზამ, ასეთია გადატვირთული საფეხბურთო კალენდარი. ჯერ კიდევ ესპანეთში ყველა „რეალისა“ და „ლას პალმასის“ ფეერიულ მატჩზე ლაპარაკობს; განიხილავს **ლუის ენრიკეს** საჯარო განცხადებას სეზონის ბოლოს „ბარსელონადან“ წასვლის შესახებ და უკვე მორიგი ტური კარზე მოგვადგა.

ქვეყნის ჩემპიონი და, ახლა უკვე, გათამაშების ლიდერი „ბარსელონა“ კვლავ „კამპ ნოუზე“ ითამაშებს, თუმცა, არა გვგონია, „სპორტინგთან“ მიღწეული 6:1 განმეორდეს, „სელტა“ გაცილებით სოლიდური გუნდია და გალისიელებს ასტურიელებზე მეტი ამბიცია ამოძრავებთ. ლუის ენრიკე უკანასკნელად გაიყვანს „ბარსას“ „სელტას“ წინააღმდეგ და მას არ ეყოლება დიდი ხნით დამტვრეული **ალეიშ ვიდალი**. აი, **არდა თურანს** კი აქვს თამაშის შანსი. ლუის ენრიკემ გასახდელში ფეხბურთელებს განუცხადა, რომ სეზონის მერე დაისვენებს, რადგან ამ სამმა სეზონმა ერთობ გადაღალა, თუმცა გადაწყვეტილების წინასწარ გამოცხადების მიზეზი მაინც სულ სხვა გვგონია. ამით მწვრთნელი შეეცადა, „ბარსას“ ირგვლივ ბოლო დღეებში გაძლიერებული დაძაბულობა შეერბილებინა და, ვფიქრობთ, მიზანსაც მიაღწია. ახლა გუნდი მშვიდად ემზადება „სელტასთან“ მატჩისთვის და სპეკულაციები, თუ ვინ შეცვლის ლუის ენრიკეს, სულ აღარ ადარდებს მას, ეს მუშაობაში ხელს ვეღარ შეუშლის. თუკი ჩემპიონთა ლიგაზე სცენარის შემობრუნების შანსი სასწაულის ტოლფასია, ჩემპიონატში „ვალენსიასა“ და „ლას პალმასის“ წყალობით (მათ „რეალს“ 5 ქულა დააკარგვინეს), ყველაფერი რადიკალურად შეიცვალა, ახლა „ბარსა“ უსწრებს „რეალს“ ქულით (თუმცა „სამეფო კლუბს“ ერთი თამაში, თანაც „სელტასთან“ რეზერვში რჩება). „სპორტინგთან“ მატჩის მეორე დღეს ლუის ენრიკემ სარეზერვო ფეხბურთელების დახმარებით ჩაატარა ვარჯიში, რადგან ვინც 90 წუთი მოედანზე იყო, მხოლოდ აღდგენითი ვარჯიშები ჩაატარეს.

„სამეფო კლუბი“ „ეიბარს“ სტუმრობს, რომელიც ევროსაგზურებისთვის იბრძვის. **ზინედინ ზიდანს ფაბიო კოენტრაო**, **დანილო** და **რაფაელ ვარანი** ვერ დაეხმარებიან, დანარჩენები კი მწყობრში არიან. გავიხსენოთ ისიც, რომ „რეალმა“ „სანტიაგო ბერნებეუზე“ პირველ წრეში ვერ მოუგო „ეიბარს“ - **ფრან რიკომ** (რომელიც ახლა ტრავმირებულია და „რეალთან“ ვერ ითამაშებს) მე-6 წუთზე დაანინაურა სტუმრები, ხოლო მე-17 წუთზე **გარეთ ბეილმა** (რომელიც ასევე ვერ ითამაშებს, ოღონდ დისკვალიფიკაციის გამო) მასპინძლებს ქულა გადაურჩინა. არადა, იქამდე ბასკებს არათუ ქულა არ აურთმევიათ „რეალისთვის“, გოლიც არ ჰქონდათ გატანილი.

„რეალის“ ექსფეხბურთელი **პედრო ლეონი** ყოფილ თანაგუნდელებს ჰპირდება, რომ მათ იპურუაში იოლი გასეირნება არ ელით. *„საუკეთესო უნდა გავიღოთ მოედანზე, რომ შევძლოთ „რეალის“ დამარცხება. თუკი ჩვენ შევძლებთ ჩვენი შესაძლებლობების გამოვლენას, დარწმუნებული ვარ, რომ მეტოქეს მოედანზე ბევრ პრობლემას შევუქმნით“*, - განაცხადა 30 წლის ნახევარმცველმა, რომელმაც არც ის დამალა, რომ თუ „რეალს“ გოლს გაუტანს, ტრადიციას დაარღვევს და გოლს იზეიმებს.

ძალიან საინტერესო იქნება მატჩი „ვისენტე კალდერონზეც“, სადაც **დიეგო სიმეონეს** „ატლეტიკო“ „ვალენსიას“ მასპინძლობს. მესამეადგილოსანი „სევილია“ ორშაბათს ესტუმრება ბასკურ „ალავესს“.


ლუის ენრიკე „ბარსელონას“ ეთხოვება

გუნდესლიგა: მოდესტე VS გაიერნი

ბუნდესლიგის ლიდერი მიუნხენის „ბაიერნი“ „კიოლნს“ ესტუმრება, სადაც ბოლო ხანებში ფრანგი ფორვარდი **ანტონი მოდესტე** ბრწყინავს. „თხების“ ხელმძღვანელობამ მოდესტე საოცნებო ფასადაც კი არ გაუშვა ჩინეთში სათამაშოდ. მოკლედ, ფრანგი გუნდის მთავარი ვარსკვლავია, თუმცა „ბაიერნს“ ასეთი (და უფრო კაშკაშაც) გუნდში ბევრი ჰყავს და ფავორიტადაც ის მიიჩნევა. სხვათა შორის, I წრეში სწორედ მოდესტეს წყალობით, „კიოლნმა“ არ წააგო „ალიანც არენაზე“, 63-ე წუთზე მან კიმიხის გოლს უპასუხა - 1:1. **კარლო ანჩელოტის**, **ჟერომ ბოატენგს** თუ არ ჩავთვლით, ყველა მწყობრში ჰყავს. ასე რომ, სკამზე შესაძლოა ისეთი ვარსკვლავები ვიხილოთ, როგორიც **რობენი**, **რიბერი**, **ტიაგო** და **ვიდალი** არიან.

„ბაიერნის“ მდევარი „ლაიპციგი“ „აუგსბურგს“ ესტუმრება. სტუმრებს კვლავ არ ეყოლებათ **იუსუფ პოულსენი**.

ძალიან საინტერესო დაპირისპირება გველის „სიგნალ იდუნა პარკზე“, სადაც „დორტმუნდი“ „ლევერკუზენს“ მასპინძლობს. სტუმრები მხოლოდ მე-8 ადგილზე არიან, არც **თომას ტუხელის** გუნდს აკმაყოფი-

აგვისტოში იურგენ კლოპის „ლივერპულმა“ ლონდონში „არსენალი“ 4:3 დაამარცხა

პრემიერლიგა. XXVII ტური

შაბათი. 4 მარტი

მანჩესტერი-ბორნმუთი	16:30
ლესტერი-ჰალი	19:00
სტოკი-მიდლსბრო	19:00
სუონსი-ბარნლი	19:00
უოტფორდი-საუთჰემპტონი	19:00
ვესტ ბრომვიჩი-კრ. პალასი	19:00
ლივერპული-არსენალი	21:30

კვირა. 5 მარტი

ტოტენჰემი-ევერტონი	17:30
სანდერლენდი-სიტი	20:00

ორშაბათი. 6 მარტი

ვესტ ჰემი-ჩელსი	23:59

	თ	მ	უ	წ	ბ	ქ
1. ჩელსი	26	20	3	3	55-19	63
2. ტოტენჰემი	26	15	8	3	50-18	53
3. მანჩესტერ სიტი	25	16	4	5	51-29	52
4. არსენალი	25	15	5	5	54-28	50
5. ლივერპული	26	14	7	5	55-33	49
6. მანჩესტერ იუნ	25	13	9	3	38-21	48
7. ევერტონი	26	12	8	6	42-27	44
8. ვესტ ბრომვიჩი	26	11	7	8	36-32	40
9. ვესტ ჰემი	26	9	6	11	35-44	33
10. სტოკი	26	8	8	10	30-40	32
11. ბარნლი	26	9	4	13	28-37	31
12. უოტფორდი	26	8	7	11	30-43	31
13. საუთჰემპტონი	25	8	6	11	28-31	30
14. ბორნმუთი	26	7	5	14	36-51	26
15. ლესტერი	26	6	6	14	27-44	24
16. სუონსი	26	7	3	16	32-57	24
17. მიდლსბრო	26	4	10	12	19-28	22
18. კრ. პალასი	26	6	4	16	33-46	22
19. ჰალი	26	5	6	15	23-50	21
20. სანდერლენდი	26	5	4	17	24-48	19

ბომბარდირები: 17 - ალექსის სანჩესი (არსენალი), რომელუ ლუკაკუ (ევერტონი), ჰარი კეინი (ტოტენჰემი); 16 - დიეგო კოშტა (ჩელსი); 15 - ზლატან იბრაჰიმოვიჩი (მანჩესტერი); 14 - ჯერმეინ დეფო (სანდერლენდი); 12 - დელე ალი (ტოტენჰემი).

ლა ლიგა. XXV ტური

დეპორტივო-ატლეტიკო 1:1

გოლები: 1:0 ანდონე (13), 1:1 გრიზმანი (68)

დეპორტივო (4-2-3-1): ლუქსი - ხუანფრანი, არიბასი, სიდნეი, ლუიზინიო (82. ლაურე) -ბორხესი, მოსკერა - ფაბრი, ჩოლაქი (76. ბერგანტინოისი), კაკუტა (54. ფ. ნავარო) - ანდონე

ატლეტიკო (4-4-2): ობლაკი - ვრსალიკო, ხ. ხიმენესი, გოდინი, ფილიპე ლუიში - ა. კორეა (57. ფერეირა-კარასკო), გაბი, კოკე (57. გაიტანი), თომასი - გრიზმანი, გამეირო (65. ფ. ტორესი)

მაყურებელი: 20 138

სევილია-ბილბაო 1:0

გოლი: 1:0 იბორა (14)

სევილია (4-4-2): ს. რიკო - მარიანო, რამი, მერკადო, ესკუდერო - ნასრი, კრანევიტერი, იბორა, ხ. კორეა (63. ფ. ვასკესი) - იოვეტიჩი (78. ბენ იედერი), ვიეტო (78. მონტოია)

ბილბაო (4-2-3-1): ირაისოსი - ბოვედა (69. სუსაეტა), ს. ალვარესი, ეჩეიტა, საბორიტი - სან ხოსე, ბენიატი (61. იტურასპე) - ლეკუე, რაულ გარსია, მუნიაინი (85. ვილიალიბრე) - ვილიამსი

გამოუყენებელი პენალტი: იოვეტიჩი (14)

მაყურებელი: 34 012

XXVI ტური

პარასკევი. 3 მარტი

ბეტისი-სოსიედადი	23:45

შაბათი. 4 მარტი

ლეგანესი-გრანადა	16:00
ეიბარი-რეალი	19:15
ვილიარეალი-ესპანიოლი	21:30
ბარსელონა-სელტა	23:45

კვირა. 5 მარტი

სპორტინგი-დეპორტივო	15:00
ატლეტიკო-ვალენსია	19:15
ლას პალმასი-ოსასუნა	21:30
ბილბაო-მალაგა	23:45

ორშაბათი. 6 მარტი

ალავესი-სევილია	23:45

	თ	მ	უ	წ	ბ	ქ
1. ბარსელონა	25	17	6	2	71-21	57
2. რეალი	24	17	5	2	63-25	56
3. სევილია	25	17	4	4	49-29	55
4. ატლეტიკო	25	13	7	5	45-22	46
5. სოსიედადი	25	14	3	8	39-34	45
6. ვილიარეალი	25	11	9	5	36-19	42
7. ეიბარი	25	11	6	8	41-33	39
8. ბილბაო	25	11	5	9	31-30	38
9. ესპანიოლი	25	9	9	7	35-33	36
10. სელტა	24	10	5	9	39-39	35
11. ალავესი	25	8	9	8	25-31	33
12. ლას პალმასი	25	7	8	10	35-39	29
13. ვალენსია	25	8	5	12	35-43	29
14. ბეტისი	24	7	6	11	25-38	27
15. მალაგა	25	6	8	11	32-42	26
16. ლეგანესი	25	5	6	14	20-40	21
17. დეპორტივო	24	4	8	12	27-40	20
18. გრანადა	25	4	7	14	24-53	19
19. სპორტინგი	25	4	5	16	27-54	17
20. ოსასუნა	25	1	7	17	25-59	10

ბომბარდირები: 21 - ლიონელ მესი (ბარსელონა); 19 - ლუის სუარესი (ბარსელონა); 18 - კრიშტიანო რონალდო (რეალი); 14 - იაგო ასპასი (სელტა).

ოლიმპიკოზე

ნონსტოპ რეჟიმში

ლებს მესამე ადგილი, თუმცა წინსვლა გუნდს გაუჭირდება, რადგან „ლაიპციგს" 8 ქულით ჩამორჩება. სხვათა შორის, I წრეში „ლევერკუზენმა" **მეჰმედისა** და **ჩიჩარიტოს** გოლებით დაამარცხა „დორტმუნდი". „დორტმუნდს" **სვენ ბენდერი**, **როდე** და, რა თქმა უნდა, **მარიო გიოტცე** აკლია. სტუმრებს **თა** და დიდი ხნით დისკვალიფიცირებული **ჩალჰანოღლუ** ვერ დაეხმარებიან.

სერია A: თუ სკუდეტოსთვის ბრძოლის გაგრძელება სურს...

სერია A-ს 27-ე ტურის ცენტრალური მატჩი „სტადიო ოლიმპიკოზე" გაიმართება, სადაც „რომა" „ნაპოლის" უმასპინძლებს. ერთმანეთის პირისპირ ჩემპიონთა ლიგის ზონაში მყოფი გუნდები წარდგებიან და წესით, დიდი ბრძოლა უნდა გაჩაღდეს. „ნაპოლის" მიზანი ევროპის უპრესტიჟულესი საკლუბო ტურნირის საგზურის მოპოვებაა, „რომას" კი უფრო მეტის იმედი აქვს და ჯერ კიდევ იბრძვის სკუდეტოსთვის.

„გაძეტა დელო სპორტის" ვერსიით, მწვრთნელები ნაცად ტაქტიკებს დაეყრდნობიან და ექსპერიმენტებისგან თავს შეიკავებენ. **ლუჩანო სპალეტი** 3-4-2-1 სქემაზე შეაჩერებს არჩევანს - ერთადერთი და გამოკვეთილი ფორვარდი **ედინ ჯეკო** იქნება, რომელსაც სიღრმიდან **რაჟა ნაინგოლანი** და **მოჰამედ სალაჰი** გაირჯებიან. ნახევარდაცვას **პერესი**, **სტროტმანი**, **დე როსი** და **ემერსონი** გაამაგრებენ, დაცვაში კი **მანოლასს**, **ფასიოს** და **რიუდიგერს** ვიხილავთ. რომაელებს **ალესანდრო ფლორენცი** აკლიათ, რომელიც ნახევარი წელია, ლაზარეთშია და ერთი იმდენი კიდევ მოუწევს უქმობა.

მაურიციო სარი 4-3-3 სქემაზე შეაჩერებს არჩევანს, შეტევაში კი **ხოსე კალეხონს**, **ლორენცო ინსინიესა** და **დრის მერტენსს** გაამწესებს. შესაბამისად, თადარიგში დარჩებიან **არკადიუშ მილიკი** და **ლეონარდო პავოლეტი**, რაც ასე არ მოსწონს „ნაპოლის" პრეზიდენტ **აურელიო დე ლაურენტისს**. „ნაპოლის" „ატალანტა" წამოეწია, იქვეა „ინტერი" და „მილანი" - შესაბამისად, სამხრეთელებს ქულები სჭირდებათ და რომში შემტევ ფეხბურთს ითამაშებენ.

მაურიციო სარი (ნაპოლის მწვრთნელი): *„წინა ტურში, „ატალანტასთან" მწარე მარცხი ვიწვნიეთ და გავირთულეთ სატურნირო ვითარება. რომში გამარჯვებისთვის უნდა ვიბრძოლოთ და დაკარგული ავინაზღაუროთ. ხომ არ მოახდინა გუნდზე უარყოფითი გავლენა „რეალთან" და „იუვენტუსთან" განცდილმა მარცხებმა? - ჩვენ პროფესიონალები ვართ და თითოეულ შეხვედრაში მხოლოდ გამარჯვებისთვის ვიბრძვით. მართალია, ჩემპიონთა ლიგაზე და იტალიის თასზე დავმარცხდით, მაგრამ განმეორებითი მატჩები წინაა და მომდევნო ეტაპზე გასვლის შანსი ორივე ფრონტზე გვაქვს. თუმცა, დღეს მხოლოდ „რომასთან" მოახლოებულ მატჩზე ვარ კონცენტრირებული".*

ედინ ჯეკო (რომა): *„სახიფათო მეტოქე გვყავს, რომელსაც ნებისმიერი მეტოქის დამარცხება შეუძლია. უნდა შევუტიოთ, მაგრამ დაცვაში ყურადღებით გვმართებს ყოფნა, რადგან „ნაპოლის" კალეხონის, ინსინიეს და მერტენსის სახით, ძალიან სწრაფი შემტევები ჰყავს. ვფიქრობ, ჯერ კიდევ შეგვიძლია სკუდეტოსთვის ბრძოლა და ამისთვის „ნაპოლის" დამარცხებაა საჭირო".*

პსჟ-მ „ნიორთან" თასზე წაივარჯიშა

ლიგა 1: რას გადაწყვეტს ემერი?

„პარი სენ-ჟერმენი" საშინაო ასპარეზზე ჯერჯერობით, ვერაფრით დაუბრუნდა ცხრილის კენწეროს. გუნდს იმდენივე ქულა აქვს, რამდენიც „ნიცას" და მეორე ადგილზეა, წინ კი „მონაკო" არის გაჭრილი და არც დანებებას აპირებს. ამ ტურში „მონაკო" „ნანტს" მასპინძლობს და აშკარა ფავორიტია. **უნაი ემერის** გუნდი კი დღით ადრე „ნანსის" უმასპინძლებს. პსჟ-ს მხოლოდ **ტიაგო მოტა** აკლია, თუმცა არ გამოვრიცხოთ შემადგენლობაში ექსპერიმენტები, ოთხშაბათს ემერის გუნდი „კამპ ნოუზე" საპასუხო მერვედფინალურ მატჩს თამაშობს. მართალია, 4:0 კომფორტული უპირატესობაა, მაგრამ სიფრთხილეს თავი არ სტკივა...

ნიკოლოზ ნეფარიძე
ლაშა წიკლაური
გიორგი კაკაბაძე

ბუნდესლიგა. XXIII ტური

პარასკევი. 3 მარტი

აუგსბურგი-ლაიპციგი	23:30

შაბათი. 4 მარტი

დორტმუნდი-ლევერკუზენი	18:30
მაინცი-ვოლფსბურგი	18:30
კიოლნი-ბაიერნი	18:30
ვერდერი-დარმშტადტი	18:30
ჰოფენჰაიმი-ინგოლშტადტი	18:30
გლადბახი-შალკე	21:30

კვირა. 5 მარტი

აინტრახტი-ფრაიბურგი	18:30
ჰამბურგი-ჰერტა	20:30

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. ბაიერნი	22	16	5	1	54-13	53
2. ლაიპციგი	22	15	3	4	41-22	48
3. დორტმუნდი	22	11	7	4	46-23	40
4. ჰოფენჰაიმი	22	9	11	2	39-22	38
5. ჰერტა	22	11	4	7	30-24	37
6. აინტრახტი	22	10	5	7	25-22	35
7. კიოლნი	22	8	9	5	31-22	33
8. ლევერკუზენი	22	9	3	10	34-32	30
9. ფრაიბურგი	22	9	3	10	28-39	30
10. გლადბახი	22	8	5	9	25-29	29
11. მაინცი	22	8	4	10	31-37	28
12. შალკე	22	7	6	9	26-23	27
13. აუგსბურგი	22	7	6	9	21-28	27
14. ვოლფსბურგი	22	6	4	12	20-33	22
15. ვერდერი	22	6	4	12	28-43	22
16. ჰამბურგი	22	5	5	12	21-45	20
17. ინგოლშტადტი	22	5	3	14	19-34	18
18. დარმშტადტი	22	3	3	16	15-43	12

ბომბარდირები: 19 - პიერ-ემერიკ ობამეიანგი (დორტმუნდი), რობერტ ლევანდოვსკი (ბაიერნი); 17 - ანტონი მოდესტე (კიოლნი); 13 - ტიმო ვერნერი (ლაიპციგი).

სერია A. XXVII ტური

შაბათი. 4 მარტი

რომა-ნაპოლი	18:00
სამპდორია-პესკარა	21:00
მილანი-კიევო	23:45

კვირა. 5 მარტი

ატალანტა-ფიორენტინა	15:30
ემპოლი-ჯენოა	18:00
კალიარი-ინტერი	18:00
უდინეზე-იუვენტუსი	18:00
ტორინო-პალერმო	18:00
კროტონე-სასუოლო	18:00
ბოლონია-ლაციო	23:45

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. იუვენტუსი	26	22	0	4	55-17	66
2. რომა	26	19	2	5	57-23	59
3. ნაპოლი	26	16	6	4	60-29	54
4. ატალანტა	26	16	3	7	42-26	51
5. ლაციო	26	15	5	6	45-29	50
6. ინტერი	26	15	3	8	41-27	48
7. მილანი	26	14	5	7	37-29	47
8. ფიორენტინა	26	11	8	7	44-37	41
9. ტორინო	26	9	9	8	48-42	36
10. სამპდორია	26	9	8	9	31-32	35
11. კიევო	26	10	5	11	28-34	35
12. კალიარი	26	9	4	13	35-52	31
13. სასუოლო	26	9	3	14	35-42	30
14. უდინეზე	26	8	5	13	28-35	29
15. ბოლონია	26	7	7	12	24-39	28
16. ჯენოა	26	6	8	12	28-41	26
17. ემპოლი	26	5	7	14	15-37	22
18. პალერმო	26	3	6	17	22-50	15
19. კროტონე	26	3	4	19	21-45	13
20. პესკარა	26	2	6	18	27-57	12

ბომბარდირები: 19 - გონსალო იგუანინი (იუვენტუსი), ედინ ჯეკო (რომა), ანდრეა ბელოტი (ტორინო); 16 - დრის მერტენსი (ნაპოლი), მაურო იკარდი (ინტერი); 14 - ჩირო იმობილე (ლაციო), 12 - ნიკოლა კალინიჩი (ფიორენტინა).

ლიგა 1. XXVIII ტური

პარასკევი. 3 მარტი

ბორდო-ლიონი	23:45

შაბათი. 4 მარტი

პსჟ-ნანსი	20:00
მონპელიე-გენგამი	23:00
ბასტია-სტ. ეტიენი	23:00
დიჟონი-ნიცა	23:00
კაენი-ანჟერი	23:00
მეცი-რენი	23:00

კვირა. 5 მარტი

ლორიანი-მარსელი	18:00
ტულუზი-ლილი	20:00
მონაკო-ნანტი	23:59

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. მონაკო	27	19	5	3	78-25	62
2. პსჟ	27	18	5	4	55-19	59
3. ნიცა	27	17	8	2	44-21	59
4. ლიონი	26	15	1	10	54-31	46
5. ბორდო	27	11	9	7	35-33	42
6. სტ. ეტიენი	27	10	9	8	31-22	39
7. მარსელი	27	11	6	10	36-36	39
8. რენი	27	9	9	9	26-31	36
9. ტულუზი	27	9	8	10	31-28	35
10. გენგამი	27	9	7	11	31-35	34
11. ნანტი	27	9	7	11	24-37	34
12. ანჟერი	27	9	6	12	25-33	33
13. მონპელიე	27	8	8	11	39-45	32
14. კაენი	27	9	4	14	27-43	31
15. ლილი	27	8	5	14	26-35	29
16. ნანსი	27	7	7	13	18-34	28
17. მეცი	26	8	6	12	25-50	28
18. დიჟონი	27	6	9	12	37-44	27
19. ბასტია	27	5	9	13	24-38	24
20. ლორიანი	27	6	4	17	27-53	22

შენიშვნა: მეცი -2 ქულა

ბომბარდირები: 26 - ედინსონ კავანი (პსჟ); 22 - ალექსანდრ ლაკაზეტი (ლიონი); 16 - რადამელ ფალკაო (მონაკო), ბაფეტიმბი გომისი (მარსელი).

ჭადრაკი

რეიტინგები სამარტოდ

წინა თვის შედეგების გათვალისწინებით ფიდემ სამარტოდ განახლებული რეიტინგები გამოაქვეყნა. მოჭადრაკე ქალ-ვაჟთა მსოფლიო კლასიფიკაციის პირველ ასეულში საქართველოს ცხრა წარმომადგენელია. ვაჟებში მხოლოდ **ბაადურ ჯობავაა,** რომელსაც 2701 პუნქტით 44-ე ადგილი უკავია. პირველ ათეულში შედიან: მსოფლიოს ჩემპიონი მაგნუს კარლსენი (ნორვეგია, 2838), ვესლი სო (აშშ, 2822), ფაბიანო კარუანა (აშშ, 2817), ვლადიმირ კრამნიკი (რუსეთი, 2811), მაქსიმ ვაშიე-ლაგრავი (საფრანგეთი (2803), ჰიკარუ ნაკამურა (აშშ, 2793), ვიშვანათან ანანდი (ინდოეთი, 2786), სერგეი კარიაკინი (რუსეთი, 2783), ლევონ არონიანი (2774), შაჰრიარ მამედიაროვი (აზერბაიჯანი, 2772).

ქალებში საუკეთესო ასეულს ჩინელი მსოფლიოს ჩემპიონი ჰოუ იფანი (2649) უდგას სათავეში, თუმცა აზიელი დიდოსტატი დღეს ოფიციალურად დაკარგავს ტიტულს, რადგან მან ირანის დედაქალაქში ნოკაუტ-სისტემით მიმდინარე მსოფლიოს ჩემპიონატში მონაწილეობაზე უარი თქვა. თეირანში სხვადასხვა ქვეყნის 64 წარმომადგენელი ჩაება მედლებისთვის ბრძოლაში (მათ შორის - რვა ქართველი). ფინალში გავიდნენ ჩინელი თან ჟუნი და უკრაინელი ანა მუზიჩუკი. ოთხი კლასიკური პარტიის შემდეგ ანგარიში თანაბარია - 2:2. ტიტულის ახალ მფლობელს დღეს ტაიბრეიკი გამოავლენს.

ქალთა კლასიფიკაციის ათეულში, ჰოუ იფანის გარდა, არიან ცზიუ ვენძიუნი (ჩინეთი, 2604), ანა მუზიჩუკი (უკრაინა, 2569), ჰამპი კონერუ (ინდოეთი, 2557), ალექსანდრა კოსტენიუკი (2555), მარია მუზიჩუკი (უკრაინა, 2546), კატერინა ლაგნო (რუსეთი, 2543), ჰარიკა დრონავალი (ინდოეთი, 2539), ვიქტორია ჩმილიტე (ლიტვა, 2538), ანტოანეტა სტეფანოვა (ბულგარეთი, 2533).

ქართველ დიდოსტატ ქალთა მაჩვენებლები კი ასეთია: 11. **ნანა ძაგნიძე** (2525), 15. **ნინო ბაციაშვილი** (2494), 21. **ლელა ჯავახიშვილი** (2464), 39. **ბელა ხოტენაშვილი** (2434), 68. **სალომე მელია** (2394), 81. **მერი არაბიძე** (2383), 84. **ნინო ხურციძე** (2383), 100. **სოფიკო ხუხაშვილი** (2368).

ვაჟა **დანელია**

ბაადურ ჯობავა

6 ქულით მეხუთე ადგილზე

ოთხი მოგებაა, ამდენივე ფრე და ერთი მარცხი (ევგენი ნაიერთან) - ასეთი მაჩვენებლებით დაასრულა ასპარეზობა ქართველმა დიდოსტატმა **ბაადურ ჯობავამ** დიდ საჭადრაკო საერთაშორისო ფესტივალში (აეროფლოტი-2017), რომელსაც მოსკოვმა უმასპინძლა. ჯობავამ საბოლოოდ 9 შესაძლებლობიდან 6 ქულით მე-5 ადგილი დაიკავა. პირველ-მესამე ადგილებზე ვლადიმირ ფედოსეევი (რუსეთი, 7), ევგენი ნაიერი (რუსეთი, 6.5) და ვლადისლავ კოვალიოვი (ბელარუსი, 6.5).

ბ ჯგუფში 5 ქულით 54-ე იყო **მერი არაბიძე**, ხოლო **ნინო ხომერიკი** 3.5 ქულით 87-ე ადგილს დასჯერდა.

ვაჟა **დანელია**

ცურვა

ჩემპიონატი დაასრულეს და წახკაძორს მიაშურებენ

ლევან ბახტურიძე

გუშინ საწყლოსნო კომპლექს „ოლიმპიკში" დამთავრდა საქართველოს მოცურავეთა ზამთრის ღია ჩემპიონატი, რომელშიც მასპინძლებთან ერთად ბაქოელმა სპორტსმენებმაც იასპარეზეს. ჯილდოები სტუმრებსაც ერგოთ. დღეს საქართველოს მოცურავეთა ეროვნული და ახალგაზრდული ნაკრები გუნდების 11 წევრი ორ მწვრთნელთან ერთად სომხეთში გაემგზავრება და 20-დღიან საწვრთნელ შეკრებას წახკაძორში გაივლის, შემდეგ კი საერთაშორისო ტურნირებშიც ჩაებმებიან.

კვარცხლბეკი

ქალები

ბატერფლაი. 50 მ. 1. თამარ მჭედლიძე (30,32, „არენა"), 2. თაკო გვიმრაძე (34,45, ქიათურა), 3. მარი რუხაძე (34,65, „ტონუსი"); **თავისუფალი ყაიდა. 50 მ.** 1. ელენე ბერაია (28,44, „ტონუსი"), 2. მარი ხუტუნიშვილი (29,73, ქიათურა), 3. თეკლა ბერიძე (30,92, საჩხერე); **400 მ.** 1. ნინი კესარელი (5.03,68, „გლდანი"), 2. თამარ მეგრელიძე (5.12,21, რუსთავი), 3. ეკატერინა ხარიბინა (5.48,81, „გლდანი"); **ბრასი. 100 მ.** 1. მერი მუმლაძე (1.15,59, „ტონუსი"), 2. რუსუდან გოგინაშვილი (1.15,67, რუსთავი), 3. მარიამ კალანდაძე (1.20,86); **გულაღმა ცურვა. 100 მ.** მარი ხუტუნიშვილი (1.12,50, ქიათურა), 2. კატო პაპასკირი (1.15,27, „ტონუსი"), 3. მარი მწარიაშვილი (1.20,07, „ოლიმპიკი"); **კომპლექსური ცურვა. 200 მ.** 1. თინათინ კევლიშვილი (2.36,52. „არენა"), 2. მარი ხუტუნიშვილი (2.51,67, ქიათურა), 3. ნინო ხუტუნიშვილი (2.52,46, ქიათურა).

ვაჟები

ბატერფლაი. 50 მ. 1. თემურ კობახიძე (25,39, „დილომი"), 2. აკაკი ვაშაკიძე (26,94, რუსთავი), 3. დავით ბოკერია (27,43, „არენა"); **თავისუფალი ყაიდა. 50 მ.** 1. გიორგი ბიგანიშვილი (24,27, „დილომი"), 2. დავით ბოკერია (24,81, „არენა"), 3. სანდრო ლომიძე (25,02, „ვაკე"); **400 მ.** 1. თემურ კობახიძე (4.12,89, „დილომი"), 2. აკაკი ვაშაკიძე (4.15,59, რუსთავი), 3. ირაკლი კვარაცხელია (4.17,90, „ტონუსი"); **ბრასი. 100 მ.** 1. ლევან ბახტურიძე (1.06,98, საჩხერე), 2. რატი კერვალიშვილი (1.09,93, „ტონუსი"), 3. მურატ გაბიზადე (1.16,0, ბაქო); **გულაღმა ცურვა. 100 მ.** 1. ნაზირ ისმაილოვი (1.05,30, ბაქო), 2. ლადო გურგენიძე (1.06,17, „ტონუსი"), 3. ნურლან ალიევი (1.09,29, ბაქო); **კომპლექსური ცურვა. 200 მ.** 1. ნიკა ნიაური (2.26,62, „ტონუსი"), 2. გიორგი წითელაძე (2.30,27, აჭარა), 3. ლუკა კუხალაშვილი (2.32,24, „ტონუსი").

ვაჟა **დანელია**

ჩოგბურთი

მეოთხედფინალში გავიდა

გუშინ კუალა ლუმპურში (მალაიზია) ჩოგბურთელ ქალთა საერთაშორისო ტურნირის (საპრიზო ფონდი 250.000 დოლარი) წყვილთა პაექრობაში პირველი შეხვედრა გამართა თბილისელმა **ოქსანა კალაშნიკოვამ** (წყვილთა რეიტინგით 44-ე). ყაზახ გალინა ვოსკობოევასთან (102-ე) ერთად მან სტარტზე მიიუ კატოსა (იაპონია, 33-ე) და კაი-ლინ ჟანის (ჩინეთი, 133-ე) დუეტი სამ სეტში დაამარცხა - 2:6, 6:3, 10:8 და მეოთხედფინალში გავიდა, სადაც რუსებთან - ვერონიკა კუდერმეტოვასა (86-ე) და ნათელა ძალამიძესთან (93-ე) გაარკვევს ურთიერთობას. ძალამიძემ და კუდერმეტოვამ პირველ წრეში ასპარეზობის რეიტინგფავორიტი ჩინელები - ჩენ ლიანი (53-ე) და საისაი ჟენი (36-ე) ჩამოიშორეს გზიდან - 6:3, 6:2.

ვაჟა **დანელია**

ოთარ მიმინოშვილი

ქართული წყალბურთის ოდისევსი გარდაიცვალა

გარდაიცვალა გამოჩენილი ქართველი ვეტერანი წყალბურთელი, ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ოთარ მიმინოშვილი.

ის იყო იმ ლეგენდარული თბილისის „დინამოს" წყალბურთელთა გუნდის წევრი და შემდგომ მრავალი წლის განმავლობაში მისი კაპიტანი, სადაც როგორც თანასწორმა თანასწორთა შორის, ნოდარ გვახარიასთან, გივი ჩიქვანაიასთან, ლერი გოგოლაძესთან და სხვა გამოჩენილ ქართველ წყალბურთელებთან ერთად, მწვრთნელ როსტომ ჩაჩავას თაოსნობით წყალბურთი საქართველოში სპორტის ეროვნულ სახეობად აქცია, მას საქვეყნოდ გაუთქვა სახელი და ქართული სპორტის ისტორიაში მრავალი სახელოვანი ფურცელი ჩაწერა.

ქართული წყალბურთის ოდისევსი, ასე უწოდა ჟურნალისტმა არჩილ გოგელიამ ოთარ მიმინოშვილს. ის მართლაც ოდისევსივით გამოირჩეოდა ყველასგან, თავისი თამაშის სტილით და პიროვნული თვისებებით, გამარჯვების და გოლის გატანის დაუოკებელი სურვილით. სწრაფი დრიბლინგი, ბურთის ელვისებური ტყორცნა თუ კარში ჩაჭრა, გონებამახვილური პასი, არასტანდარტული სათამაშო სტილი და აზროვნება, რასაც ემატებოდა ლიდერის თვისებები. ის მუდამ ამოუცნობი იყო მოწინააღმდეგისათვის, რადგან მისი ყოველი თამაში შემოქმედების შედეგი იყო. ის ინტუიციით მოწინააღმდეგეზე ადრე გრძნობდა საგოლე სიტუაციას და კარის წინ შექმნილ ორომტრიალში ყველას ასწრებდა წყლიდან თუ ჰაერიდან ბურთის კარში სხვადასხვა ტექნიკური ილეთით გატანას. ყველაზე ხშირად ეს გადამწყვეტი, გამარჯვების მომტანი გოლები იყო საბჭოთა კავშირის პირველობებზე, თუ ხალხთა სპარტაკიადებზე, საერთაშორისო ტურნირებზე საბჭოთა კავშირის თუ საქართველოს ნაკრების შემადგენლობაში, რომელთა ოქროს, ვერცხლის თუ ბრინჯაოს მედლები მრავლადაა მის კოლექციაში.

სპორტული კარიერის დასრულების შემდგომ მან ასეთივე სახელოვანი გზა განვლო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კედლებში, სადაც ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი და პროფესორის წოდება მოიპოვა. ის მრავალი მეცნიერული ნაშრომის, წიგნის და სტატიის ავტორია, რომლებიც მისი განსაკუთრებული ხედვით გამოირჩევა.

ოთარ მიმინოშვილი დარჩება ჩვენს ცნობიერებაში, როგორც გამოჩენილი სპორტსმენი, მეცნიერი და შესანიშნავი მეგობარი. ბაჯაღლო გულის ადამიანი, დიდებული, უბრალო, თბილი, ტკბილი, კაცობის ეტალონი, საერთოდ, ასეთად დაამახსოვრა თავი ყველას, ვინც მას იცნობდა.

პანაშვიდი: 03.05.III. მისამართი: მიცკევიჩის, 25. დაკრძალვა 05.III. გამოსვენება საბურთალოს (გაზდელიანის) ეკლესიიდან 14 სთ-ზე.

საწყლოსნო სახეობათა ეროვნული ფედერაცია
ვეტერანი წყალბურთელები

ფარიკაობა

ვერც ბიჭებმა იყოჩაღეს

უკვე ვწერდით, რომ ბულგარულ პლოვდივში დაიწყო კადეტ მოფარიკავეთა ევროპის პირველობა, რომელშიც ქართველი სპორტსმენებიც მონაწილეობენ. შეჯიბრების სტარტზე ჩვენი მოხმალავე გოგონებიდან სხვებზე უკეთ იასპარეზა **ნინი ნიქაბაძემ** - მე-40 ადგილი დაიკავა. ორმოცეულს ვერც მოხმალავე ვაჟები ასცდნენ - **ნიკოლოზ ჭეიშვილმა,** რომელმაც ჯგუფში ექვსიდან სამ მეტოქეს სძლია (დაამარცხა ესპანელი ალონსო სანტამარია - 5:2, უკრაინელი დანიელ იერემენკო - 5:1 და პოლონელი ჰუბერტ გლასნერი - 5:4), პლეი ოფში ივან პისარენკოსთან (უკრაინა) წააგო - 8:15 და 41-ე ადგილს დასჯერდა.

გოგა კაკაურიძემ ჯგუფში თეი ზავირსეკსა (სლოვენია, 5:4) და დირკიან ბაუმანს (ჰოლანდია, 5:1) აჯობა, ოთხ მეტოქესთან პაექრობა დათმო, შემდეგ პლეი ოფში ლუის ჰაასთან (გერმანია, 6:15) დამარცხდა და 55-ე ადგილზე გავიდა. ვახტანგ არჩვაძემ 63-ე ადგილი დაიკავა.

ხუთი მარტიდან შეჯიბრებაში ახალგაზრდა მოფარიკავეები ჩაებმებიან.

ვაჟა **დანელია**

ბერძნულ-რომაული ჭიდაობა

ახალგაზრდები ახალი გუნდისთვის

ქვეყნის წლევანდელი პირველობისთვის ემზადებიან ახალგაზრდა ბერძენ-რომაელებიც - საქართველოს ჩემპიონატს ხვალ და ზეგ თერჯოლა უმასპინძლებს, სადაც პირველ დღეს 50, 60, 74 და 96-ის ფალავნები იჭიდავებენ, დანარჩენები კი კვირას ჩაებმებიან საქმეში.

ჩემპიონატში ქვეყნის ყველა უძლიერესი ახალგაზრდა გამოვა, ტურნირს მხოლოდ ქუთაისელი ტალანტი, ჭაბუკებსა და ახალგაზრდებში ევროპისა და მსოფლიოს ორ-ორგზის ჩემპიონი **ზვიად პატარიძე** (130) დააკლდება, ვინც ამავე დღეებში კიევში, უფროსთა საერთაშორისო ტურნირში იჭიდავებს. ნაკრების მთავარ მწვრთნელ **ზაზა სილაგაძეს** სხვა არავინ გაუთავისუფლებია და ყველას ავალდებულებს ჭიდაობას, რადგან წლეულს სულ ახალი გუნდის შექმნა მოუწევს.

ამ ნაკრებმა ბოლო ორ სეზონში ფანტასტიკური შედეგი აჩვენა, როცა, ფაქტობრივად, უკონკურენციოდ იგებდა მსოფლიოს გუნდურ პირველობებს და ახლოსაც არ იკარებდა არავის, პირადში კი მსოფლიოდან 4-4 მხოლოდ ოქროს მედალი ჩამოჰქონდა, ხოლო სხვა სინჯის ჯილდოებსა და ევროპის პირველობებზე მოპოვებულ კიდევ უფრო მასშტაბურ შედეგებზე არცაა ლაპარაკი. თუმცა ეს დრო წარსულს ჩაჰბარდა და თაობათა ცვლის მძიმე ხვედრი ამ გუნდსაც ერგო. შედეგად, შარშანდელი შემადგენლობიდან უმრავლესობამ დაასრულა აქ გამოსვლა და უფროსებში გადავიდნენ. მათ შორის არიან მსოფლიოს ჩემპიონები - **დავით ჩხარტიშვილი** (55), **რამაზ ზოიძე** (66) და **გიორგი მელია** (85), ევროპის ვიცეჩემპიონი ლევან ქავჟარაძე (60), სილაგაძის ხელთ კი შარშანდელი გუნდიდან მხოლოდ ორი ფალავანი დარჩა: პატარიძე და ევროპის ჩემპიონი, მსოფლიოს მესამე პრიზიორი ნუგზარ წურწუმია, თუმცა წლეულს ისიც წონას იცვლის და 50-დან 55-ში გადადის. საქართველოს ჩემპიონატსაც ამ წონაში იჭიდავებს.

ვნახოთ, წლეულს ვინ შეძლებს ევროპისა და მსოფლიოს პირველობებზე წამსვლელ ნაკრებში ადგილის დამკვიდრებას.

ირაკლი **თავაძე**

რაგბი ევროპის ჩემპიონატი

ორი დებიუტანტით ესპანეთთან

საქართველოს ნაკრები ხვალ, ვალიადოლიდთან ახლოს, დაბა მედინა დელ კამპოში „რაგბი ევროპის ჩემპიონატის" მორიგი ტურის მატჩში ესპანეთის ეროვნულ გუნდს დაუპირისპირდება.

ჩვენი გუნდი თითქმის ერთი კვირაა ესპანეთში, ბარსელონასთან ახლოს იმყოფება და მომავალი მატჩისთვის ემზადება. გუშინ, „ბორჯღალოსნები" მედინა დელ კამპოში ჩავიდნენ და დღეს კაპიტნის ვარჯიშს გამართავენ.

საქართველოს ნაკრების ახალზელანდიელმა მწვრთნელმა **მილტონ ჰეიგმა** გერმანიასთან გამართული მატჩის შემადგენლობასთან შედარებით რვა ცვლილება განახორციელა. შერკინების პირველ ხაზში ნაკრების თავკაცმა როტაციას მიმართა. გუნდს დაუბრუნდა შერკინების კვაჭი **შალვა მამუკაშვილი,** რომელიც ძირითად შემადგენლობაში იქნება. თადარიგში ადგილს ამ პოზიციაზე **ჯაბა ბრეგვაძე** დაიკავებს. ძირითადი ბურჯები **გიორგი თეთრაშვილი** და **სოსო ბეკოშვილია**, მათი დუბლიორები კი **თორნიკე მატარაძე** და **ლაშა ტაბიძე** არიან.

მეორე ხაზში გამოცდილ **გიორგი ნემსაძეს** არანაკლებ გამოცდილი **კონსტანტინე მიქაუტაძე** შეუწყვილდება, რომელსაც განვლილ ორ მატჩში არ უასპარეზია.

მესამე ხაზში ძირითად შემადგენლობაში იასპარეზებს **ოთარ გიორგაძე**. ის ფლანკერად დადგება. რვა ნომრის პოზიციაზე **ბექა გორგაძის** ნაცვლად **ლაშა ლომიძე** ითამაშებს. ძირითად შემადგენლობაში ადგილი შეინარჩუნა **გიორგი თხილაიშვილმა**. მეორე-მესამე ხაზის სათადარიგოები ახალგაზრდა მორაგბეები **გიორგი ცუცქირიძე** და **საბა შუბითიძე** იქნებიან.

ცხრა ნომრის პოზიციაზე დაბრუნდა **ვასილ ლობჟანიძე. გიორგი ბეგაძემ** კი, თადარიგში გადაინაცვლა. შუამარბის პოზიციაზე დაბრუნდა გიორგი კოშაძის ნაცვლად ტრავმამოშუშებული **დავით კაჭარავა.** მათი სათადარიგო კი, არმაზელი **ბადრი ლიპარტელიანი** იქნება, რომელიც ეროვნულ გუნდში პირველ კეპს მოიხვეჭს.

გარემარბის პოზიციაზე (№14) სიახლეა. ესპანელებთან მატჩში დებიუტი ექნება „აკადემიას" გარემარბ **იოსებ მათიაშვილს,** რომელმაც თავი ეროვნულ ჩემპიონატსა და საქართველოს შვიდკაცა რაგბის ნაკრებში თამაშისას გამოიჩინა. მეორე ფრთაზე გამოცდილი **ალექსანდრე თოდუა** ითამაშებს. ფულბეკი ისევ **მერაბ კვირიკაშვილია,** რომელიც ეროვნულ ნაკრებში 101-ე მატჩს გამართავს. მისი დუბლიორი ტრადიციულად **ბექა წიკლაური** იქნება.

ამასობაში, ესპანელთა თავკაცი **სანტიაგო სანტოსი** მედინა დელ კამპოში გასამართავი მატჩის წინ ოპტიმისტურად არის განწყობილი.

„ჩვენი მიზანია იაპონიაში გასამართ მსოფლიოს თასზე გასვლა და საქართველოს დამარცხება. მეტოქე ძალიან სერიოზული გვყავს. ის დიდი ხანია ბობოლა სარაგბო ქვეყნების კარებზე აკაკუნებს. მიუხედავად იმისა, რომ მეტოქე კარგი შეტევითა და დაცვითაა გამორჩეული, ესპანეთის ნაკრებს ძალუძს საქართველოს დამარცხება.

ძალიან გვიხარია, რომ მედინა დელ კამპოში ვთამაშობთ. ამით რაგბის პოპულარობის გაზრდას ვუწყობთ ხელს. აქ ყველანაირი პირობა გვაქვს მზადებისთვის" - თქვა მან.

შეგახსენებთ, რომ ტურნირის პირველ ორ მატჩში ესპანელებმა შინ რუსეთის ნაკრებს მოუგეს და სტუმრად რუმინელებთან დამარცხდნენ. აღსანიშნავია, რომ სანტოსის მიერ ტურნირისთვის დასახელებულ გაფართოებულ შემადგენლობაში 25 მორაგბე ფრანგული კლუბებიდანაა, ხოლო 8 ესპანურიდან.

დღემდე საქართველოს ნაკრები ესპანეთის ეროვნულ გუნდს 17-ჯერ შეხვედრია. აქედან 13 მატჩი „ ბორჯღალოსნებმა" მოიგეს. ერთი ფრედ დასრულდა და სამჯერ გამარჯვება ესპანელებს დარჩათ. ბოლოს ესპანეთის ნაკრებთან 2012 წელს მადრიდში დავმარცხდით - 18:25. ყველაზე დიდი ანგარიშით ესპანელები 2011 წელს ვაკის სტადიონზე დავამარცხეთ - 60:0.

საქართველოსა და ესპანეთის ნაკრებების მატჩი ხვალ, თბილისის დროით 19 საათზე დაიწყება.

საქართველო-ესპანეთი, 2016 წელი

ესპანეთი-საქართველო

ესპანეთი: 15. ბრედლი ლაინკდეიტერი, 14. სილვიო კასტილიონი, 13. დანიელ სნი, 12. ტიბო ალვარესი, 11. ხორდი ხორბა, 10. მატიო ბელი, 9. სებასტიან რუე. 1. ფერნანდო ლოპესი, 2. უნაი ლასა, 3. ალბერტო ბლანკო, 4. ილაიტია გავიდი, 5. ვიქტორ სანჩესი, 6. იგნასიო მარტინი, 7. ხავიერ კანოსა, 8. გაუტიერ გიბუნი.

16. ფრანსისკო ბლანკო, 17. სტეფან ბარნსი, 18. ხუან საბალა, 19. ხავიერ დე ხუანი, 20. მატიო ფულდი, 21. ხუან რამოსი, 22. ალვარ ხიმენო, 23. გაუტიერ მინგუილონი

საქართველო: 15. მერაბ კვირიკაშვილი, 14. იოსებ მათიაშვილი, 13. დავით კაჭარავა, 12. მერაბ შარიქაძე, 11. ალექსანდრე თოდუა, 10. ლაშა ხმალაძე, 9. ვასილ ლობჟანიძე. 1. გიორგი თეთრაშვილი, 2. შალვა მამუკაშვილი, 3. სოსო ბეკოშვილი, 4. გიორგი ნემსაძე, 5. კონსტანტინე მიქაუტაძე, 6. ოთარ გიორგაძე, 7. გიორგი თხილაიშვილი, 8. ლაშა ლომიძე.

16. ჯაბა ბრეგვაძე, 17. თორნიკე მატარაძე, 18. ლაშა ტაბიძე, 19. გიორგი ცუცქირიძე, 20. საბა შუბითიძე, 21. გიორგი ბეგაძე, 22. ბადრი ლიპარტელიანი, 23. ბექა წიკლაური

საბურნირო მდგომარეობა

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ	პ
1. საქართველო	2	2	0	0	+69	10	2
2. რუმინეთი	2	1	0	1	+7	5	1
3. ესპანეთი	2	1	0	1	0	4	0
4. გერმანია	2	1	0	1	-41	4	0
5. რუსეთი	2	1	0	1	-3	4	0
6. ბელგია	2	0	0	2	-32	1	1

ბესიკ ჯანგავაძე

ძიუდო. საქართველოს ჩემპიონატი ახალგაზრდებში

ძიუდოს საღაგი უჭმეები

უახლოესი უჭმეები - 4-5 მარტი ძალიან დატვირთული იქნება ქართული ძიუდოსთვის საშინაო თუ საგარეო შეჯიბრებებით - ძიუდოს აკადემიაში საქართველოს ჩემპიონატი ტარდება ახალგაზრდებში, პარალელურად კი ჩვენები სამ უცხოურ ტურნირში გამოვლენ და სამივე „ევროპის თასია". აქედან ორში გოგოები იჭიდავებენ - ხვალ პრაღაში ტარდება „ევროპის ღია თასი" ქალებში, ანტალიაში კი - ჭაბუკებში. საქმეში ვაჟთა სათადარიგო ნაკრებიც ჩაებმება, რომელიც პოლონურ კატოვიცეში გამოვა ამავე რანგის შეჯიბრებაზე.

საქართველოს ახალგაზრდული ჩემპიონატი 20-წლამდელთათვის სეზონის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი შეჯიბრებაა, რადგან ამით იკვეთება ის ძირითადი ბირთვი, რომელიც ევროპისა და მსოფლიოს პირველობებისთვის გააგრძელებს მზადებას. ამიტომ ახალგაზრდული ნაკრების მთავარი მწვრთნელი **ლაშა გუჯეჯიანი** ყველა შესაძლო კანდიდატს ავალებს ჭიდაობას და არც არავის ათავისუფლებს. გამონაკლისი მხოლოდ ორია - **ნიკოლოზ ჭიკაიძე** (66) და **ონისე სანებლიძე** (100), რომლებმაც მოიგეს „მეორე დონის" ჩემპიონატი და კატოვიცეში ჭიდაობენ.

შაბათს ძიუდოს აკადემიაში 55, 60, 66 და 73 კილოგრამების ძიუდოისტები იჭიდავებენ, კვირას კი ასპარეზი 81, 90, 100 და +100-ის ძიუდოისტებს დაეთმობათ.

რაც შეეხება კატოვიცეში მოასპარეზე შემადგენლობას, ამაზე უკვე ვწერდით, როგორც - ქალთა გუნდებზე, თუმცა კიდევ ერთხელ შეგახსენებთ, რომ პოლონეთში ეგრეთ წოდებული მეორე დონის ჩემპიონატის გამარჯვებულები წავიდნენ.

ქალებიდან უფრო სრული გუნდით ანტალიაში ვიქნებით წარმოდგენილი - 11 მონაწილით, თორემ პრაღაში მხოლოდ 4 სპორტსმენი გვეყოლება. ეს ქალთა შეჯიბრებაა, თუმცა ჩვენ უმცროსთა კვარტეტით გამოვალთ: **ოლიკო ალადოშვილი** (48), ჭაბუკებში ევროპის ჩემპიონი **მზია ბებოშვილი** (52) და ახალგაზრდებში მსოფლიოს ფინალისტი **მარიამ ჯანაშვილი** (57) ჯერაც ახალგაზრდულ ნაკრებში გამოდიან, ხოლო ჭაბუკებში ევროპის ჩემპიონი **ეთერ ლიპარტელიანი** (57) კვლავაც ამ ასაკის გუნდში გამოდის.

კატოვიცე. უფროსები

საქართველოს ნაკრები: 60 კგ. ლაშა ჩადუნელი; 66 კგ. ნიკოლოზ ჭიკაიძე; 73 კგ. ზვიად კაპანაძე; 81 კგ. გიორგი კაციაშვილი, ლევან გუგავა; 90 კგ. ბექა მიქუტიშვილი; 100 კგ. ონისე სანებლიძე, რევაზ წულუკიძე

ანტალია. ჭაბუკები

საქართველოს ნაკრები: 40 კგ. ნინო წერეთელი; 44 კგ. ანა ასანიშვილი; 48 კგ. სალომე ბლიაძე; 52 კგ. მარიამ გურგილიანი, ეკატერინე ტატუნაშვილი; 57 კგ. თინათინ რევაზიშვილი; 63 კგ. მარიამ ჭანტურია, ინდირა სილაგაძე; 70 კგ. მარიამ თეთრაძე; +70 კგ. სოფიო სომხიშვილი, სალომე მაყიშვილი

ირაკლი თავაძე

ქართველი ძალოსნის გია მაჭავარიანის სპორტული გზა

საქართველოს მრავალგზის ჩემპიონის, ძალოსან გია მაჭავარიანის არაერთი შესანიშნავი ასპარეზობა ახსოვს სპორტულ საზოგადოებასა და მის გულშემატკივარს.

ხარაგაულელი ბიჭისთვის სპორტი თავიდანვე მიმზიდველი იყო და მის მრავალ სახეობაში ეცადა თავის დამკვიდრებას, თუმცა, თავისი ადგილი ვერსად იპოვა. ბიძამ შეამჩნია მონდომება და ურჩია, მონაცემების მიხედვით ბედი ძალოსნობაში ეცადა. გაითვალისწინა ბიძის რჩევა და 15 წლის ასაკში ვარჯიში საქართველოს დამსახურებულ მწვრთნელ ავთანდილ გახოკიძესთან დაიწყო ვაკის ძალოსნობის დარბაზში.

სამი წლის განმავლობაში განსაკუთრებული შედეგი არ ჰქონია, მაგრამ შრომისმოყვარეობამ თავისი შედეგი გამოიღო და 2003 წელს 94 კილოში საქართველოს პირველობაზე ვერცხლის მედალი მოიპოვა. ასევე, 2004 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე საქართველოს ნაკრებს სალიცენზიო ქულები მოუტანა. ამის შემდეგ სხვადასხვა რანგის შეჯიბრებებში მეტ-ნაკლები წარმატებით გამოდიოდა, მაგრამ კვარცხლბეკისკენ მიმავალ გზაზე თავს არ ზოგავდა. შედეგმაც არ დააყოვნა და ევროპის ჩემპიონატზე ერთბაშად სამი ვერცხლის მედალი მოიპოვა.

2011 წელს საქართველოს ძალოსანთა ნაკრების წევრმა გია მაჭავარიანმა, რუსეთის ქალაქ ყაზანში ევროპის ჩემპიონატზე ვერცხლის მედალი მოიპოვა. 105 კილოგრამ წონით კატეგორიაში მოასპარეზე ქართველმა, პირველი მოძრაობა — ატაცი, 180-კილოგრამიანი შტანგის აწევით გახსნა, 183 შეუკვეთა და ისიც წარმატებულად დაიმორჩილა, მესამე ცდაზე 185 ასწია, მაგრამ სიმძიმე არ დაუფიქსირეს.

აღსანიშნავია გიას წარმატება პარიზში მსოფლიოს ჩემპიონატზე ძალოსნობაში. გია მაჭავარიანმა (105 კგ) პირადი რეკორდი დაამყარა - ჯამური 409 კგ დასძლია, ხოლო ატაცში 187 კგ დაიმორჩილა და მცირე ბრინჯაოს მედალი მოიპოვა.

საერთო შედეგებით, მაჭავარიანს მე-3 საპრიზო ადგილამდე მხოლოდ ერთი კილოგრამი დააკლდა. 26 წლის გია მაჭავარიანმა ატაცში 180, 184 და 187 კგ დასძლია, აკვრაში კი 212, 218 და 222-კილოგრამიანი შტანგა დაიმორჩილა. ქართველმა ძალოსანმა მცირე ბრინჯაო სწორედ პირველ მოძრაობაში დაიმსახურა, მეორეში კი მეექვსე შედეგი ჰქონდა.

სამწუხაროდ, 2012 წლის ლონდონის ზაფხულის ოლიმპიადაზე ქართველმა ძალოსანმა გია მაჭავარიანმა გულშემატკივრებს იმედები გაუცრუა. კულისებში ამბობდნენ, რომ მაჭავარიანს ტრავმა ჰქონდა, თუმცა არ გაამხილა და ამის მიუხედავად, მაინც მიიღო მონაწილეობა ჩემპიონატში მაშინ, როცა ოლიმპიური თამაშების ფავორიტად შერაცხილმა ხაჯუმურად აკაევმა და დიმიტრი კლოკოვმა ლონდონურ ფიცარნაგზე გასვლისგან თავი შეიკავეს ტრავმების გამო. მოარულ ხმებს თუ დავუჯერებთ, რუსეთის ნაკრების წევრებს დოპინგი ჰქონდათ მიღებული და ორწლიან დისკვალიფიკაციას საკუთარი ნებით შინ გამგზავრება არჩიეს. ეს მაშინ, როცა მაჭავარიანმა საკუთარი ტრავმა დამალა.

გია მაჭავარიანმა საწყის დისციპლინაში პირველ ცდაზე 185 კილოგრამი შეუკვეთა, მაგრამ ვერ დასძლია, მეორე მისვლაც ასევე წარუმატებელი გამოუვიდა და წონას მხოლოდ მესამე ცდაზე გაუმკლავდა. ატაცში წონა დააფიქსირა და ჯერი აკვრაზე მიდგა. ბუნებრივია, მედალზე ფიქრი უკვე გამორიცხული იყო, მაგრამ ერთგვარი რეაბილიტაციისათვის ყურადღება აკვრაზე გაამახვილა. შეუკვეთა 220 კილოგრამი, მაგრამ აქაც წარუმატებელი გამოდგა ქართველი ძალოსნის შტანგასთან მისვლა. წარუმატებელი გამოდგა მეორე მცდელობაც და მესამისთვის ვა-ბანკზე წასვლა ამჯობინა. ორჯერ დაუძლეველი 220 კილოგრამის შემდეგ მაჭავარიანი 225 კილოგრამს შეეჭიდა... რეაბილიტირება არ გამოვიდა. 105 კილოგრამში ჩემპიონობა უკრაინელ ალექსეი ტოროხტს დარჩა, ვერცხლი ირანელ ნავაბ ნასირშელალის, ბრინჯაო კი პოლონელ ვოიცეხ ბოკის.

სპორტსმენისათვის არ არის უცხო არც გამარჯვება და არც მარცხი. გია მაჭავარიანს სპორტულ გზაზე მარცხიც უნახავს, უიღბლობაც, მაგრამ დიდი წარმატებაც. მისი გულმოდგინება, დაუღალავი შრომა და საკუთარი საქმის ერთგულება მის გულშემატკივარს ყურადღების მიღმა არ დარჩენია და იგი სიყვარულით და პატივისცემით დაუსაჩუქრებია, რაც სპორტსმენისთვის ყველანაირ ჯილდოზე მეტია. წარმატებას ვუსურვებთ გია მაჭავარიანს!

®

საქართველოს ფარიკაობის ფედერაცია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ 75 წლისა გარდაიცვალა ვეტერანი მოფარიკავე, საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი ხმლით ფარიკაობაში

მალხაზ მჭედლიძე

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს ფარიკაობის ფედერაცია სამძიმარს უცხადებს ამავე ფედერაციის პრეზიდენტს ზაზა მჭედლიძეს მამის, ვეტერანი მოფარიკავის,

მალხაზ მჭედლიძის

გარდაცვალების გამო.

მალე დავიწყებ

ინტერვიუ. ვიქტორ სანიკიძე

დიქსონი სანაკრებო ბატალიებს ჩვენსავით მოუთმენლად ელის

როდესაც ევრობასკეტი 2017-ს ვახსენებთ, ჩნდება შეკითხვები: ვიქტორი? მანუჩარი? ვიქტორ სანიკიძესა და მანუჩარ მარკოიშვილს შემოდგომით სერიოზული ოპერაციების გადატანამ მოუწიათ, დღესაც რეაბილიტაციას გადიან...

გუშინ ვიქტორს საბერძნეთის ქალაქ სალონიკიში დავუკავშირდით და, იოლი მისახვედრია, საუბარი რა თემით დავიწყეთ.

- როგორც იტყვიან, ცუდი უკან მოვიტოვე. ყველაზე რთულია ოპერაციისა და მისშემდგომი პერიოდი. თავიდან ხელჯოხის გარეშე ვერ გაივლი, ხელჯოხს რომ გადააგდებ, ველოსიპედისა და ცურვის დრო დგება, ველოსიპედის „გადაგდება“ კიდევ ერთი ეტაპია. ახლა უკვე დავძუნძულებ, ნელ-ნელა ინდივიდუალურ ვარჯიშებს შევუდგები, სირბილს დავიწყებ და დანარჩენი მერე გამოჩნდება.

- რეაბილიტაცია გეგმურად მიმდინარეობს?

- შეიძლება ასე ითქვას. თუმცა მკურნალობის პროცესში ვერც ერთი ექიმი ვერ გეტყვის - ამა და ამ დროს შეძლებ სათამაშოდ გასვლასო. ვნახოთ, ვარჯიშს როგორ „მიიღებს“ ნაოპერაციები მუხლი.

- ოპერაცია საბერძნეთში გაიკეთე, რეაბილიტაციასაც სალონიკიში გადიხარ?

- „უნიქსში“ მხრის ტრავმა რომ მივიღე, იტალიელ ექიმებს მივაკითხე, რადგან ყაზანში არ იყო შესაფერისი პირობები სრულფასოვანი რეაბილიტაციისთვის. ამ სეზონში კი, ტრავმა საბერძნეთის ჩემპიონატის საწყის ტურში მივიღე. იტალიელ ექიმებთან წასვლა არც მიფიქრია, რადგან საბერძნეთში მაღალი დონის ექიმები და სარეაბილიტაციო ცენტრია.

- „არისის“ მწვრთნელები პლეი ოფებისთვის შენს მოედანზე დაბრუნებას ხომ არ ელიან?

- აქ საქმეს ყველა სერიოზულად უდგება, არავინ მაჩქარებს. ყველას კარგად ესმის, რომ მთავარია კალათბურთელის ჯანმრთელობა. მეც სიამოვნებით დავეხმარებოდი გუნდს, ოღონდ, მანამდე უნდა დავწრმუნდე, რომ 100 პროცენტით მზად ვარ. რადგან, როდესაც კალათბურთელი ბოლომდე მომჯობინებული არ არის და მოედანზე ისე გადის, გუნდს სათანადოდ ვერ დაეხმარება და შესაძლოა, საკუთარ ჯანმრთელობასაც ავნოს.

- რეაბილიტაციას სალონიკიში გადიხარ. გუნდის თამაშებს რეგულარულად ესწრები. მიდის „არისი“ სეზონის დასაწყისში დასახული გეგმით?

- ყველაფერი ისე არ მიდის, როგორც თავიდან ფიქრობდნენ. თუმცა ამას ობიექტური მიზეზებიც აქვს: სეზონის დაწყებამდე ჩატარებულ მატჩებშიც ჩანდა, რომ გუნდში მნიშვნელოვანი ფუნქცია დამეკისრებოდა, თუმცა საბერძნეთის ჩემპიონატის პირველ მატჩში მუხლის ტრავმა მივიღე. ასევე ტრავმა ჰქონდა და გარკვეული პერიოდი გაუცდა ცენტრ კავადისს. სათამაშო დროის უკმარისობის გამო გუნდი დატოვა ამერიკელმა ლეგიონერმა... „არისი“ სეზონს ისედაც მთლიანად გადახალისებული შეხვდა და შუა სეზონში განხორციელებული ცვლილებები, ცხადია, გუნდზე დადებითად ვერ იმოქმედებდა. ყოველივე ამის მიუხედავად, შედეგებს მაინც ვერ დავუწუნებთ: „არისმა“ თასის ფინალი ითამაშა, სადაც „პანათინაიკოსთან“ დამარცხდა. ევროპის ჩემპიონთა თასზე კი პლეი ოფის პირველი ეტაპი გაიარა, ახლა „ასველს“ ეთამაშება. საბერძნეთის ჩემპიონატში კი ზედა ოთხეულშია „ოლიმპიაკოსთან“, „პანათინაიკოსთან“ და მაიკლ დიქსონის აეკ-თან ერთად.

- დიქსონის გუნდი თასის ნახევარფინალში დაამარცხეთ. მაიკლთანაც ისაუბრებდი. ხომ აპირებს ნაკრებში ჩამოსვლას?

- რა თქმა უნდა. დარწმუნებული ვარ, ისიც ისევე ელოდება სანაკრებო ბატალიების დაწყებას, როგორც ჩვენ. ძალიან მონდომებულია, დიდ პატივს სცემს ჩვენს ქვეყანას. რაც მთავარია, სწრაფად პროგრესირებს.

- აეკ-შიც მშვენიერი სეზონი აქვს.

- გუნდის ლიდერია, მწვრთნელი ენდობა და მაიკლიც იმედებს უმართლებს. ეფექტურად რომ არ თამაშობდეს, შუა სეზონში კონტრაქტს ორი წლით არავინ გაუხანგრძლივებდა.

- საბერძნეთშია საქართველოს ნაკრების ფიზმომზადების მწვრთნელი გიორგიოს ვავეცისი. მასთან და ილიას ზუროსთან კავშირი ხომ გაქვს?

- გიორგიოს ვავეცისი დიქსონთანაა აეკ-ში. იგი ხშირად ინტერესდება ჩემი ჯანმრთელობის მდგომარეობით. სეზონის დასაწყისში ჩვენი ნაკრების მთავარი მწვრთნელი ილიას ზუროსიც საბერძნეთში იყო, თუმცა შემდეგ მონტენეგროში გადავიდა და „ბუდუჩნოსტს“ წვრთნის. ცხადია, მასთანაც მაქვს კავშირი.

- ევრობასკეტზე ლიტვას, ისრაელს, გერმანიასა და უკრაინას ვეთამაშებით. ამ გუნდების კალათბურთელებიდან ბევრს იცნობ...

- განსაკუთრებით თბილი ურთიერთობა ჩამოგვიყალიბდა იტალიელებთან, მე და მანუჩარ მარკოიშვილი წლების განმავლობაში ვთამაშობდით იტალიაში, ბოლო დროს კი ამხანაგურადაც ხშირად ვეთამაშებით. თუმცა ჯერ ადრეა ევრობასკეტის შესახებ, მეტოქეთა შანსებზე ლაპარაკი და „მუქარა“... ამის დრო ზაფხულში დადგება, მანამდე ყველა საკლუბო საქმეებშია ჩაფლული.

- ჯერ ისიც არავინ იცის, რომელი გუნდი რა შემადგენლობით ჩამოვა ევრობასკეტზე...

- არც ის არის გამორიცხული, თურქეთში განხორციელებული ტერაქტების გამო, ზოგმა ვარსკვლავმა ევროპის ჩემპიონატზე ჩამოსვლისგან თავი შეიკავოს. პლეი ოფებს ხომ სტამბოლი უმასპინძლებს. სხვათა შორის, იყო ლაპარაკი თურქეთიდან სხვა ქვეყანაში გადატანაზეც, მაგრამ საბოლოოდ მასპინძლები დაჰპირდნენ, რომ უსაფრთხოების უპრეცედენტო ზომებს მიიღებენ.

- ევრობასკეტის ჯგუფური ეტაპი ისრაელში გველის, სადაც არაერთხელ გაქვს ნათამაშები.

- მახსოვს, ჯერ კიდევ 2004 წელს „დიჟონთან“ ერთად ჩავედი ისრაელში ევროპის თასის მატჩისთვის. ოღონდ, მაშინ თელ-ავივში არ გვითამაშია. შემდეგში, ევროლიგაზე, თელ-ავივის „მაკაბისთან“ არაერთი შეხვედრა გავმართე. ევროპის ჩემპიონატის მატჩებიც სწორედ „მაკაბის“ დარბაზში ჩატარდება. მშვენიერი არენაა. გულშემატკივრებით გავსებული სულ სხვა სანახავია. ვიმედოვნებ, ევრობასკეტის მსვლელობისას ბევრი იქნება საქართველოს დროშა...

ფავორიტები

სუპერლიგა 2016-17. მე-20 ტური

2 მარტი, თბილისი

სოხუმი-ოლიმპი 90:76

18:10, 17:16, 22:18, 33:32

სოხუმი: კვეტენაძე, კოკა ტომარაძე (7ქ), ბოქოლიშვილი, ჯგერენაია (14ქ, 5მ, 3პ), დ. ბარბაქაძე (7ქ), ლათანი (26ქ, 10მ, 6პ), ბულიავა (7ქ, 6მ, 3ჩ), ტიშენკო (16ქ, 6მ), ზაბირჩენკო (6ქ, 5მ, 3პ), ვუდსონი (6ქ, 6პ), ზაქრაძე (1ქ).

ოლიმპი: გივი ბაქრაძე (11ქ, 3პ), ბურნეთი (17ქ, 10მ, 3პ, 5ჩ, 2დ), ბოლქვაძე, როგავა (18ქ, 3დ), გეგი ბაქრაძე (1ქ, 6მ), მიქელაძე (14ქ), მასხულია (3ქ), პიჩფორდი (2ქ, 8მ, 5პ), შლიცერი (10ქ).

მსაჯები: ზ. მაჩალაძე, დ. ბერიშვილი, ი. ბერიშვილი.

2 მარტი, თბილისი

კაკტუსი-დინამო 67:92

18:29, 15:26, 23:14, 11:23

კაკტუსი: ხუციშვილი, უაითი (13ქ, 4პ), ჩიკვილაძე, ჩლაიძე (16ქ, 3ჩ), ლოლიშვილი, ბრიჯმენი (12ქ, 10მ), ბაკაშვილი (11ქ), ფლოვიესი (14ქ, 12მ, 3ჩ), ამონაშვილი, ნ. ლომიძე.

დინამო: ვონი (14ქ, 3პ), გრძელიძე (2ქ), ღურწკაია, ლონდარიძე (14ქ, 5მ, 3პ), მაჩალაძე (6ქ), ფაცაცია (1ქ, 5მ), ჭოჭუა (12ქ), მარავიჩი (10ქ, 3დ), გ. რევაზაშვილი, ბერიშვილი (12ქ, 3ჩ), გოგოძე (21ქ, 5მ, 3პ, 3ჩ).

მსაჯები: დ. ბერეკაშვილი, გ. მიქელაძე, მ. ვართანოვი.

2 მარტი, რუსთავი

რუსთავი-მგზავრები 86:69

27:20, 20:22, 13:15, 26:12

რუსთავი: ხმელიძე (1ქ), ქიტოშვილი, ლორთქიფანიძე, ლი (8ქ, 8პ), წიქარიშვილი (2ქ), ჩაჩანიძე (18ქ, 7მ, 3პ), ათუაშვილი (20ქ, 8მ), კასპერბაუერი (13ქ), სპანოლო (13ქ, 8მ, 3პ), ბრიგსი (11ქ, 7მ, 3პ).

მგზავრები: ფხაკაძე (9ქ, 5მ, 8პ), ცირეკიძე (2ქ), ლომინაშვილი (7ქ), ტურძელაძე (6ქ), ტეილორი (3ქ), მერფი (14ქ, 9მ), ალენი (19ქ, 5პ, 6მ), რენსომი (9ქ, 6პ, 5მ),

მსაჯები: ზ. მაჩალაძე, დ. ბერიშვილი, ი. ბერიშვილი.

გუნდი	თ	მ	წ	სხ	ქ
1. დინამო	19	18	1	1682/1364	37
2. ქუთაისი	19	15	4	1537/1404	34
3. რუსთავი	19	11	8	1510/1504	30
4. სოხუმი	19	8	11	1602/1640	27
5. კაკტუსი	19	8	11	1523/1624	27
6. ბათუმი	19	7	12	1459/1520	26
7. ოლიმპი	19	5	14	1330/1438	24
8. მგზავრები	19	4	15	1390/1539	23

სუპერლიგის აქამდე გამართულ თითქმის ყველა ტურში ბევრი გაუთვალისწინებელი რამ მომხდარა. მე-19 ტურში სულაც მანამდე უძლეველმა „დინამომ“ მერვეადგილოსან „მგზავრებთან“ დათმო. მე-20 ტური კი ფავორიტებისა იყო. ბათუმში „ქუთაისმა“ რომ გაიმარჯვა, უკვე მოგახსენეთ. გუშინ „რუსთავმა“ შინ „მგზავრები“ დაამარცხა, „სოხუმმა“ „ოლიმპს“, ხოლო „დინამომ“ „კაკტუსს“ აჯობა.

სოხუმი-ოლიმპი

გადამწყვეტი. სოხუმელებმა მატჩი პირველიდან ბოლო წუთებამდე სტაბილურად ჩაატარეს. ამიტომ, ძნელია ისეთი ეპიზოდის გამოყოფა, რომელზეც დავწერდით - შეხვედრის ბედი გადაწყვიტაო. **ვიტალი ჩერნის** შეგირდები მატჩის ტემპსაც კარგად აკონტროლებდნენ, ფარქვეშაც დამაჯერებლად გამოიყურებოდნენ და პერიმეტრზეც...

სტატისტიკა არ ტყუის. სამქულიანებში გამარჯვებულებს არც ოლიმპელები ჩამორჩნენ: „სოხუმი“ - 9 რეალიზებული სამიანი, „ოლიმპი“ - 10. მოხსნებშიც არ იყო დიდი სხვაობა, ფარქვეშეთი კი „სოხუმმა“ ორჯერ უკეთ დაიცვა: სამწამიანი ზონიდან „ოლიმპმა“ 20 ქულა ჩააგდო, მისმა ოპონენტმა - 40.

სოხუმი-ოლიმპი

მილუოკი

ზაზას გზა

ვიმოგზაურეთ ამერიკაში

ზაზა ფაჩულიას „გოლდენ სტეიტი“ აღმოსავლეთ ამერიკაში მოგზაურობს, ქალაქიდან ქალაქში დადის და ქულებს აგროვებს. ქართველ კალათბურთელს წლების განმავლობაში ჩამოუყალიბდა საკუთარი მოსაზრება თითოეული ქალაქის შესახებ, რომელსაც ქვემოთ გავეცნობით.


დეტროიტი

მილუოკი

- მილუოკი ცივი და ღრუბლიანი ამინდით დამამახსოვრდა. 20 წლისა ვიყავი და ეს ქალაქი დამეხმარა, ფოკუსირება მხოლოდ თამაშზე მომეხდინა. მილუოკი ქართულ ქალაქებს მაგონებს, ძველი და მრავალფეროვანი არქიტექტურით. იქ რამდენიმე ქართულ ოჯახს შევხვდი.

- ზოგიერთი ჩემი თანაგუნდელი ჩიკაგოელი იყო და მილუოკი-ჩიკაგოს სწრაფმავალ ტრანსპორტზე ბილეთებს ხშირად ვიღებდით.

ფინიქსი

სოლტ ლეიკ სიტი

დეტროიტი

- დეტროიტში სასტუმროში ვრჩები ხოლმე, რადგან იქაც ძალიან ცივა. ოთახის დატოვების სურვილი ნაკლებად მიჩნდება.

- სასტუმროსთან ახლოს ხმელთაშუაზღვისპირული რესტორანია. გემრიელი კერძების მოყვარული ვარ და ამ დაწესებულებაში სტუმრობა მართლაც მსიამოვნებს. ვაგემოვნებ ქაბაბს და ა.შ.

სოლტ ლეიკ სიტი

- კიდევ ერთი ცივი ქალაქი... როცა კირილენკო „იუტაში“ თამაშობდა, სადილად ყოველთვის მეპატიჟებოდა. შემდეგ მერვინ უილიამსს ვუკავშირდებოდი.

- კირილენკოს სხვადასხვა ადგილას დავყავდი. ერთი კონკრეტული რესტორანი არ გვქონდა არჩეული.

- იუტაშიც ძალიან გამოსადეგია ლეპტოპი. მასში შემიძლია ქართული ტელეარხების, ქართული ფილმების ყურება. მშობლიურ ტრადიციებს დიდ პატივს ვცემ. საქართველო ძალიან მენატრება. კომპიუტერში ასევე წიგნები მაქვს, მიყვარს კითხვა და სწავლა.

ფინიქსი

- მიყვარს ფინიქსი, ლამაზი ქალაქია. მახსოვს, „ატლანტასთან“ ერთად რომ ჩავდიოდი ფინიქსში, ჰორფორდთან ერთად ხშირად დავდიოდი სასტუმროს გვერდით მდებარე დიდ სავაჭრო ცენტრში. კარგია ფინიქსში ცხოვრება.

ლოს ანჯელესი

- ლოს ანჯელესი დიდებულია. მიყვარს „როდეო დრაივი“ (სავაჭრო უბანი). განსაკუთრებით სასიამოვნოა, თუ ქალაქში გასასვლელად საკმარისი დრო მრჩება.

- ლოს ანჯელესში უამრავი მაღაზია და საინტერესო დიზაინერია. ზოგჯერ თმასაც იქ ვიჭრი. ვცდილობ, დრო უქმად არ დავკარგო.

- „კაწია“ ჩემი ფავორიტი რესტორანია. გემრიელ სუშის ამზადებენ.

ლოს ანჯელესი

დენვერი

დენვერი

- დენვერში წნევა შედარებით მაღალია. საყვარელი საქმიანობა? - დასვენება! მატჩისთვის სერიოზული მომზადებაა საჭირო, რადგან წნევის გამო მოთამაშე მალე იღლება.

- დენვერში იტალიური რესტორანია. სახელი არ მახსოვს, მაგრამ ძალიან გემრიელ იტალიურ კერძებს ამზადებენ. დენვერს ისე არ ვტოვებ, იქ რომ არ შევიარო ხოლმე.

გიორგი ჯგერენაია. მისი და **რობერტ ვუდსონის** მოედანზე ყოფნისას სოხუმელები +18-ით დაწინაურდნენ. თუმცა მატჩის ბომბარდირი მათი თანაგუნდელი **დუეინ ლათანი** გახდა: 26 ქულა. „ოლიმპს“ 18 ქულით **რევაზ როგავა** გაუძღვა, რომელმაც ორიდან ერთი სამქულიანი მესამე პერიოდის ბოლოს სირენასთან ერთად ძალიან შორიდან ჩააგდო.

ნამატჩევს
ვიტალი ჩერნი („სოხუმის “მწვრთნელი):

- ეს იყო პირველი მატჩი, რომელიც სრული შემადგენლობით ჩავატარეთ. მოთამაშეებმა იმ მონახაზის დიდი ნაწილი გადაიტანეს მოედანზე, რასაც ვარჯიშებზე ვამუშავებთ. გვქონდა შეცდომები, მაგრამ პრობლემები მალე გამოვასწორეთ. ეს იყო მნიშვნელოვანი გამარჯვება, რომელიც ჩვენი გულშემატკივრების დამსახურებაც გახლდათ.

დინამო-კაკტუსი

გადამწყვეტი. პირველი მეოთხედის დასრულებას 2 წუთი უკლდა, ტაბლოზე 18:18 რომ ეწერა. ამის შემდეგ „დინამომ“ 16:0 გაქცევა მოაწყო, 34:18 დაწინაურდა და სწორედ მაშინ გაცხადდა, რომ ამ უპირატესობის ხელიდან გამშვები აღარ იყო.

სტატისტიკა არ ტყუის. „დინამომ“ თამაშიდან ტყორცნების 49 პროცენტი გამოიყენა, „კაკტუსმა“ - 37. გუშინ **არჩილ ჟღენტის** შეგირდებს მიზანი ნამდვილად არ უჭრიდათ, განსაკუთრებით სათადარიგოებს, რომლებმაც ერთადერთი ქულა ჩააგდეს. „დინამოს“ სათადარიგოებმა - 55 ქულა.

გამორჩეული. ალბათ, არავის გაუკვირდება, თუ ვიტყვით, „დინამომ“ გუნდური თამაშით მოიგო. თუ ციფრებზე მიდგება საქმე, ყველაზე მეტი, 21 ქულა **ნოდარ გოგოძეს** ჰქონდა, რომელმაც 8-დან 6 ორქულიანი, 4-დან 1 სამიანი და 6-დან 6 საჯარიმო ჩააგდო.

ნამატჩევს
ირაკლი ხოშტარია („დინამოს “მწვრთნელი):

- ჩვენი მიზანია, თამაში სრულყოთ და შეცდომები მაქსიმალურად შევამციროთ. ეს მატჩი ამ მხრივ კარგი საშუალება იყო და ჩვენმა მოთამაშეებმა საკმაო სარგებელი და გამოცდილება მიიღეს. ჩვენი თვითმიზანი არ იყო დიდი სხვაობით გამარჯვება.

რუსთავი-მგზავრები

გადამწყვეტი. მატჩის დასრულებამდე 4 წუთით ადრე ანგარიშში სხვაობა მხოლოდ 4 ქულა იყო: „რუსთავი“ 73:69-ს იგებდა. საფინალო ანგარიშს შეგახსენებთ (86:69) და თავად გამოიანგარიშეთ, რამდენი უპასუხო ქულა ჩაუგდო **რამაზ გოგობერიშვილის** გუნდმა სტუმრებს ბოლო 4 წუთში...

სტატისტიკა არ ტყუის. „მგზავრებმა“ მასპინძლებზე ორჯერ მეტი ქულა ჩააგდეს სამწამიანი ზონიდან (38:18), თუმცა პერიმეტრიდან სამქულიანები ვერ მიაშველეს (მხოლოდ სამი გამოიყენეს) და შედარებით უკეთესი საშუალო და სამქულიანი ტყორცნებით მოთამაშე „რუსთავთან“ ვერას გახდნენ.

გამორჩეული. რუსთავში გადასვლის შემდეგ პირადსარეკორდო 20 ქულა ჩააგდო 224 სმ სიმაღლის ცენტრმა **სერგო ათუაშვილმა.** გარდა ამისა, მის ანგარიშზე 8 მოხსნა, 2 პასი, 2 დაფარება და 1 ჩაჭრა დაფიქსირდა.

კაკტუსი-დინამო

გვერდები მოამზადა
ვაჟა სიმონიშვილმა

NBA

რეგულარული ჩემპიონატი

მინიმუმ ერთი თვე

„ვაშინგტონთან“ მიღებული ტრავმის შემდეგ, „გოლდენ სტეიტის“ ფორვარდ **კევინ დურანტს** მარცხენა მუხლის მყესების მეორე ხარისხის დაჭიმვა და ძვლის დაზიანება დაუდგინეს. ჯერჯერობით გაურკვეველია, როდის დაბრუნდება მოედანზე დურანტი. ცნობილია მხოლოდ ის, რომ ხელმეორე შემოწმება ოთხი კვირის შემდეგ ჩატარდება.

თავად „გოლდენ სტეიტის“ ხელმძღვანელობა არ გამორიცხავს, რომ დურანტი მოასწრებს ნლევანდელ რეგულარულ ჩემპიონატში გამოსვლას. კალათბურთელი გუშინ დაბრუნდა ოკლენდში - ფოტოზე ის ეტლით არის დაფიქსირებული.

ორლანდო-ნიუ იორკი 90:101

24:31, 27:29, 16:19, 23:22

ო: ფურნიე (22), ოგასტინი (15), ვუჩევიჩი (14+10 მოხსნა), გრინი (11), გორდონი (10).

ნ-ი: პორზინგისი (20), როუზი (19), ენტონი (17), ჰოლიდეი (14), ტომასი (11).

ტორონტო-ვაშინგტონი 96:105

26:24, 20:38, 14:20, 36:23

ტ: დეროზანი (24), იბაკა (22+12 მოხსნა), პაუელი (17), ჯოზეფი (11), ვალანჩუნასი (7+11 მოხსნა).

ვ: ბოგდანოვიჩი(27), ბილი (23), მარკიფ მორისი (13), უოლი (12+13 პასი), გორტატი (12).

ატლანტა-დალასი 100:95

27:22, 36:30, 18:24, 19:19

ა: მილსეპი (18+10 პასი), ილიასოვა (18), შრიოდერი (17+6 პასი), ბეიზმორი (15), ჰოვარდი (14+12 მოხსნა), ჰარდუეი (10).

დ: ბარნსი (25), სეტ კარი (21), ფერელი (11+9 პასი), ნოვიცკი (11+10 მოხსნა).

მაიამი-ფილადელფია 125:98

37:27, 27:17, 24:30, 37:24

მ: ტ. ჯონსონი (24), ელინგტონი (18), დრაგიჩი (15), უეიტერსი (15), უაიტსაიდი (15+11 მოხსნა+4 დაფარება), ჯ. ჯონსონი (14).

ფ: კოვინგტონი (19), ჰოლმსი (15), მაკონელი (14), მარიჩი (10), როდრიგესი (10).

მილუოკი-დენვერი 98:110

15:32, 22:31, 29:23, 32:24

მ: მიდლტონი (21), ბროგდონი (17), ანტენტოკუნმპო (15), დელავედოვა (15), მონრო (11+6 პასი).

დ: გალინარი (22), ჰარისი (14), ჩენდლერი (13), იოკიჩი (13+14 მოხსნა+10 პასი), ბარტონი (13), მოურეი (10).

ნ. ორლეანი-დეტროიტი 109:86

31:18, 22:32, 25:20, 31:16

ნ-ო: დევისი (33+14 მოხსნა), ჰოლიდეი (22), კანინგემი (16), მური (11), აჟენსა (10).

დ: ლოუერი (22), ჰარისი (15), დრამონდი (13+17 მოხსნა), მარკუს მორისი (11).

ბოსტონი-კლივლენდი 103:99

20:26, 29:24, 25:21, 29:28

ბ: ტომასი (31), კრაუდერი (17+10 მოხსნა), ბრედლი (11), ოლინიკი (10), ჰორფორდი (9+10 მოხსნა+10 პასი).

კ: ირვინგი (28), ჯეიმსი (28+13 მოხსნა+10 პასი), უილიამსი (13), ტომპსონი (9+13 მოხსნა).

სან ანტონიო-ინდიანა 100:99

29:28, 18:21, 26:27, 27:23

ს-ა: ლენარდი (31+10 მოხსნა), ლი (18), პ. გასოლი (18).

ი: ჯორჯი (22), მაილზი (19), ტერნერი (16), ელისი (11).

იუტა-მინესოტა 80:107

16:21, 19:30, 18:30, 27:26

ი: ეკზამი (15), ჰეივორდი (13), ფეიერსონი (10+12 მოხსნა).

მ: თაუნსი (21+15 მოხსნა), უიგინსი (20), მუჰამადი (18), ბიელიცა (13+11 მოხსნა), რუბიო (11+9 პასი).

კლიპერსი-ჰიუსტონი 103:122

37:34, 21:36, 20:38, 25:14

კ: გრიფინი (17), პოლი (16+11 პასი), რივერსი (16), მბა ა მუტე (13), ფელტონი (12), ჯორდანი (10).

ჰ: ჰარდენი (26+8 პასი), ანდერსონი (23), ნენე (16+10 მოხსნა), გორდონი (14), ბევერლი (14+12 მოხსნა), კაპელა (14+12 მოხსნა).

საკრამენტო-ბრუკლინი 100:109

31:35, 23:22, 18:24, 28:28

ს: ჰილდი (16), ლოუსონი (15+9 პასი), ევანსი (15), აფლალო (14), კოლისონი (11), ლაბისიერი (10).

ბ: ლოპესი (24), ლინი (17), უაიტჰედი (14), ლევერტი (13).

აღმოსავლეთი

	თ	მ	წ	%
1. კლივლენდი	59	41	18	69.5
2. ბოსტონი	61	39	22	63.9
3. ვაშინგტონი	59	36	23	61.0
4. ტორონტო	61	36	25	59.0
5. ატლანტა	60	34	26	56.7
6. ინდიანა	61	31	30	50.8
7. ჩიკაგო	60	30	30	50.0
8. დეტროიტი	61	29	32	47.5
9. მაიამი	61	28	33	45.9
10. მილუოკი	59	26	33	44.1
11. შარლოტი	60	26	34	43.3
12. ნიუ იორკი	61	25	36	41.0
13. ფილადელფია	60	22	38	36.7
14. ორლანდო	61	22	39	36.1
15. ბრუკლინი	59	10	49	16.9

დასავლეთი

	თ	მ	წ	%
1. გ. სტეიტი	60	50	10	83.3
2. სან ანტონიო	59	46	13	78.0
3. ჰიუსტონი	62	43	19	69.4
4. იუტა	61	37	24	60.7
5. კლიპერსი	60	36	24	60.0
6. მემფისი	61	36	25	59.0
7. ოკლაჰომა	60	35	25	58.3
8. დენვერი	61	28	33	45.9
9. საკრამენტო	61	25	36	41.0
10. მინესოტა	61	25	36	41.0
11. პორტლენდი	59	24	35	40.7
12. დალასი	60	24	36	40.0
13. ნ. ორლეანი	61	24	37	39.3
14. ლეიკერსი	61	19	42	31.1
15. ფინიქსი	60	18	42	30.0

გუშინ NBA-ში

დეტროიტის სირცხვილი, ლებრონის ფუჭი სამმაგი, ლენარდი ბიზერ-ბიტერი...

თავი შეირცხვინა გუშინ „დეტროიტმა“, რომელიც 23 ქულით დამარცხდა „ნიუ ორლეანთან“. მასპინძლები თითქმის სულ წინ იყვნენ, გადამწყვეტ უპირატესობას კი მეოთხე მეოთხედში მიაღწიეს, რომელიც 15 ქულის სხვაობით მოიგეს.

„დეტროიტმა“ NBA-ის ყველა დროის ანტირეკორდი დაამყარა: 17.6 (!) პროცენტის სიზუსტით ისროლა საჯარიმოები - 17-დან სამი რეალიზებული ტყორცნა. აქედან **ანდრე დრამონდის** წილია - 10-დან ცხრა აცილება.

„ნიუ ორლეანის“ რიგებში 33 ქულა დააგროვა **ენტონი დევისმა** და ის გახდა მეშვიდე ყველაზე ახალგაზრდა კალათბურთელი ისტორიაში, ვინც კარიერაში 7 ათასი ქულა მიითვალა.

■ ■ ■

„მაიამიმ“ უკვე პირველ ტაიმში მოიპოვა 20-ქულიანი უპირატესობა და საბოლოოდ, 27 ქულით გაანადგურა „ფილადელფია“. ფლორიდელებმა ბოლო 20 მატჩში მეჩვიდმეტედ მოიგეს. სწორედ ამ ფანტასტიკური შედეგების გამო, ეროვნულმა საკალათბურთო ასოციაციამ აღმოსავლეთ კონფერენციაში თებერვლის საუკეთესო მწვრთნელად „ჰიტის“ დამრიგებელი **ერიკ სპოელსტრა** დაასახელა.

■ ■ ■

ლებრონ ჯეიმსის კარიერაში 49-ე და სეზონში მეშვიდე სამმაგმა დუბლმა ვერ უშველა „კლივლენდს“ „ბოსტონთან“ გასვლით მატჩში. ჯეიმსისა და **კაირი ირვინგის** კარგი თამაში გადაფარა **აიზია ტომასმა**, რომელმაც 31 ქულა ჩააგდო და აქედან ხუთი ქულა ბოლო 49 წამში დააგროვა. სტუმრებს კი ბოლო 38 წამში არც ერთი შედეგიანი შეტევა არ ჰქონიათ.

ეს გუნდები ამ სეზონში მესამედ შეხვდნენ ერთმანეთს და „ბოსტონმა“ პირველად მოუგო „კავალიერზს“.

■ ■ ■

აღმოსავლეთ კონფერენციაში ერთ-ერთი მთავარი მატჩი ტორონტოში გაიმართა, სადაც ადგილობრივმა „რეპტორზმა“ პირველი მეოთხედი ორი ქულით მოიგო, მაგრამ მეორეში 18 ქულით განადგურდა და ეს აღმოჩნდა მატჩში გადამწყვეტი მონაკვეთი. თამაშის გმირია **ბოგდან ბოგდანოვიჩი**, რომელიც სათადარიგოთა სკამიდან შევიდა თამაშში და 27 ქულა დააგროვა.

■ ■ ■

„ატლანტამ“ ზედიზედ მეშვიდედ დაამარცხა „დალასი“. „ჰოქსმა“ პირველი ნახევარი 11 ქულის სხვაობით მოიგო, მაგრამ შესვენების შემდეგ, მეტოქეს ანგარიშის გათანაბრებისა და წინ გასვლის საშუალება მისცა - 95:94. თუმცა, დარჩენილ დროში „მავერიქსმა“ ქულა ვეღარ აიღო და წაგო - 95:100.

„ატლანტამ“ მოიგო მატჩი 22 შეცდომის მიუხედავად.

■ ■ ■

„სან ანტონიოს“ ძალიან გაუჭირდა შინ „ინდიანას“ დამარცხება. „სპურსს“ გამარჯვება მოუტანა **კავაი ლენარდის** ბაზერ-ბიტერმა, რომელიც სირენამდე 2.4 წამით ადრე ჩააგდო **პოლ ჯორჯის** მხრიდან დიდი წინააღმდეგობის მიუხედავად. დარჩენილ დროში ჯორჯმა მოასწრო სამქულიანის სროლა, მაგრამ ააცილა.

■ ■ ■

„დენვერის“ ცენტრმა **ნიკოლა იოკიჩმა** ზედიზედ მეორე მატჩში შეასრულა სამმაგი დუბლი. „მილუოკის“ წინააღმდეგ მისი მონაგარი იყო - 13 ქულა, 14 მოხსნა და 10 შედეგიანი პასი. ეს ამ კალათბურთელის მეოთხე ტრიპლ-დაბლია კარიერაში და ოთხივე შესრულებული აქვს მიმდინარე სეზონში.

■ ■ ■

„ბრუკლინმა“, როგორც იქნა, შეწყვიტა 16-მატჩიან წაგებათა სერია, რომელიც 20 იანვრიდან იღებდა სათავეს. **ბრუკ ლოპესმა** 24 ქულა დააგროვა და კარიერაში თავისი მონაგარი 10 ათას ქულამდე აიყვანა.

■ ■ ■

„ჰიუსტონმა“ ამ სეზონში მეორედ გაანადგურა „კლიპერსი“. მატჩში ყველაზე შედეგიანი **ჯეიმს ჰარდენი** იყო 26 ქულით, **რაიან ანდერსონმა** კი 11-დან ექვსი სამქულიანი ჩააგდო და 23 ქულა დააგროვა.

ჰომოფობი ამარე

ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ყოფილმა ვარსკვლავმა **ამარე სტაუდმაიერმა**, რომელიც ამჟამად იერუსალიმის „ჰაპოელში“ თამაშობს, მონაწილეობა მიიღო გუნდის გამოკითხვაში გეების შესახებ. პარტნიორებისგან განსხვავებით, სტაუდმაიერმა მკვეთრად ნეგატიური განწყობა გამოხატა არატრადიციული ორიენტაციის წარმომადგენელთა მიმართ.

„რომ ვიცოდე, რომ ჩვენს გასახდელში გეია, შხაპს ქუჩის მეორე მხარეს მივიღებდი. ტანსაცმლის გამოცვლისას დავემალებოდი მას და სატრენაჟორო დარბაზში შემოვლითი გზით წავიდოდი“, - განაცხადა კალათბურთელმა.

კითხვაზე - პასუხები ხუმრობით ხომ არ არის გაცემული, - ამარემ უპასუხა: *„ყოველ ხუმრობაში არის სიმართლის ნატამალი“*.

სტაუდმაიერი პირველად არ აკეთებს მსგავს განცხადებებს გეების მისამართით. 2012 წელს, ის 47 ათასი ევროთი დააჯარიმეს ჰომოფობიური ტვიტების გამო.

ამარე სტაუდმაიერი 2002-16 წლებში თამაშობდა NBA-ში. ის 2004 წელს, ათენის ოლიმპიადაზე ბრინჯაოს მედლის მფლობელი გახდა.

კალათბურთი

ემბიდმა სეზონი დაასრულა

„ფილადელფიას“ ცენტრი **ჯოელ ემბიდი** სეზონის დარჩენილ ნაწილს გამოტოვებს, - წერს კლუბის ოფიციალური ვებგვერდი.

ორშაბათს, მარცხენა მუხლის სამედიცინო შემოწმებამ აჩვენა, რომ დაზიანების არეალი მნიშვნელოვნად გაფართოვდა. ასე რომ, კამერუნელი კალათბურთელის დაბრუნებას 2017-18 წლების სეზონის სტარტზე უნდა ველოდოთ.

დოპინგი

კიდევ ერთი ჩამორთმეული მედალი

საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა პეკინის 2008 წლის ოლიმპიადაზე, თანამედროვე ხუთჭიდში მოპოვებული ბრინჯაოს მედალი ჩამოართვა უკრაინელ **ვიქტორია ტერეშჩუკს**. ძველი დოპინგსინჯების გადამოწმებისას, სპორტსმენის ორგანიზმში აკრძალული პრეპარატი ტურინაბოლი აღმოაჩინეს.

ტერეშჩუკს უფლება აქვს, 21 დღის განმავლობაში გაასაჩივროს გადაწყვეტილება და მიმართოს საარბიტრაჟო სასამართლოს.

ჩოგბურთი

გულის შეტევა რასისტს

ტელეკომპანია ESPN-ის მიერ გათავისუფლებული კომენტატორი **დაგ ადლერი** გულის შეტევით საავადმყოფოში მოხვდა. შეგახსენებთ, რომ ავსტრალიის ღია პირველობის მატჩის მსვლელობისას, ადლერმა ამერიკელ ჩოგბურთელს **ვინუს უილიამსს** „გორილა“ უწოდა. გათავისუფლების მიზეზიც სწორედ ეს იყო.

ადლერის აზრით, რომელმაც სასამართლოში უჩივლა ESPN-ს, ეს სტრესი იმან გამოიწვია, რომ მას რასისტად მიიჩნევს ის ხალხი, რომლებმაც მისი სიტყვები ვერ გაიგეს.

ბიატლონი

ტიუმენმა უფლება დაკარგა

ბიატლონის საერთაშორისო კავშირმა ოფიციალურად ჩამოართვა მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძლობის უფლება რუსეთის ქალაქ ტიუმენს.

ამ გადაწყვეტილების მიზეზი გახდა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის რეკომენდაცია - არ ჩაატაროს რუსეთის ტერიტორიაზე დიდი ტურნირები იქამდე, სანამ არ დასრულდება გამოძიება რუსეთში არსებული დოპინგსისტემის შესახებ.

გვერდი მოამზადა
გია თვალაგეიშვილმა

ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი

ტრეიდები დამთავრდა

ბომბარდირები

კონორ მაკდევიდი (ედმ)	72 (21+51)
პატრიკ კეინი (ჩიკ)	68 (27+41)
სიდნი კროსბი (პიტ)	67 (34+33)
ბრედ მარშანი (ბოს)	66 (28+38)
ბრენტ ბერნსი (ს-ხოს)	66 (27+39)
მარკ შაიფლი (ვინ)	65 (26+39)
ნიკლას ბექსტრიომი (ვაშ)	64 (19+45)
ევგენი მალკინი (პიტ)	62 (26+36)

გოლები

სიდნი კროსბი (პიტ)	34
მაძს პასიორეტი (მონ)	31
ოსტონ მეტიუსი (ტორ)	31
პატრიკ ლაინე (ვინ)	31
ჯეფ კარტერი (ლ.-ანჯ)	30

პასები

კონორ მაკდევიდი (ედმ)	51
ნიკლას ბექსტრიომი (ვაშ)	45
ერიკ კარლსონი (ოტა)	45
პატრიკ კეინი (ჩიკ)	41
ვიქტორ ჰედმანი (ტ.-ბეი)	41
ალექსანდერ ვენგერგი (კლმ)	40

გუშინ, ჰოკეის ეროვნულ ლიგაში ტრეიდების ბოლო დღე იყო და რამდენიმე საინტერესო გარიგებაც დაიდო:

- „ვინიპეგმა“ **დრიუ სტეფორდი** „ბოსტონში“ გაუშვა 2018 წლის დრაფტის მეექვსე რაუნდში არჩევანის სანაცვლოდ.

- „ტორონტომ“ ფორვარდი **ფრენკ კორადო** „პიტსბურგს“ გაუცვალა ფორვარდ **ერიკ ფერში,** მცველ **სტივ ოლესკიში** და დრაფტის არჩევანში.

- „ნიუ ჯერსიმ“ ფორვარდი **პიეი პარენტო** „ნეშვილში“ გაამგზავრა 2017 წლის დრაფტის მეექვსე რაუნდში არჩევანის სანაცვლოდ.

- „ტამპა ბეის“ მცველი **მარკ შტრაიტი** კარიერას „პიტსბურგში“ გააგრძელებს. მის ნაცვლად, „პინგვინზმა“ 2018 წლის დრაფტზე მეოთხე რაუნდში არჩევანის უფლება გაიღო.

- გარდა ამისა, „ტამპა ბეიმ“ სახელფასო ბიუჯეტის განტვირთვისთვის ფორვარდი **ვალტერი ფილპულა** „ფილადელფიას“ დაუთმო, სანაცვლოდ კი მიიღო 2017 წლის დრაფტის მეშვიდე რაუნდში არჩევანის უფლება.

- „კოლამბუსმა“ მცველი **დილონ ჰიზერინგტონი** „დალასს“ გაუცვალა ფორვარდ **ლაური კორპიკოსკიში.**

- მოთამაშეები გაცვალეს „დეტროიტმა“ და „ფლორიდამ“. „რედ უინგზმა“ ფორვარდი **ტომაშ ვანეკი** დათმო მცველ **დილან მაკილრატში.**

- „კოლორადოს“ ვეტერანი **ჯერომ იგინლა** „ლოს ანჯელესში“ გადავიდა. „კინგზმა“ ამისთვის 2018 წლის დრაფტზე მეოთხე რაუნდში არჩევანის უფლება დათმო.

- „ლოს ანჯელესმა“ ფორვარდი **დუაიტ კინგი** „მონრეალში“ გაუშვა და სანაცვლოდ მიიღო 2018 წლის დრაფტზე არჩევანის უფლება.

■ ■ ■

პატრიკ კეინმა ერთი კვირის განმავლობაში ორი ჰეთ-თრიკი შეასრულა და „ჩიკაგოს“ „პიტსბურგთან“ 4:1 მოაგებინა. კეინს ბოლო 11 მატჩში 12 გოლი დაუგროვდა, ბოლო სამში კი შვიდი.

„ბლეკჰოქსმა“ ბოლო 11 მატჩში მეათედ მოუგო „პინგვინებს“.

ტამპა ბეი-კაროლინა 4:3 (ო)

1:2, 0:0, 2:1, 1:0

გოლები: 1:0 ჰედმანი-11 (კუჩეროვი-33, პალატი-18), 1:1 ჰანიფინი-3 (ლინდჰოლმი-24, აჰო-17), 1:2 დ. რაიანი-9 (ჰანიფინი-15, რასკი-22), 2:2 ტ. ჯონსონი-18 (დოტჩინი-4, პალატი-19), 3:2 კუჩეროვი-27 (ტ. ჯონსონი-23, გარისონი-7), 3:3 მაკლემანი-5 (სლავინი-19, ლინდჰოლმი-25), 4:3 ჰედმანი-12 (კუჩეროვი-34, ტ. ჯონსონი-24).

ჩიკაგო-პიტსბურგი 4:1

0:0, 2:1, 2:0

გოლები: 1:0 პ. კეინი-25 (შმალცი-12), 2:0 ს. უილსონი-7 (ჰეინსი-11), 2:1 პანიკი-17 (კიტი-38), 3:1 პ. კეინი-26 (შმალცი-13, პანარინი-37), 4:1 პ. კეინი-27.

აღმოსავლეთი

ატლანტიკი

	თ	მ	წ	ოწ	ქ
1. მონრეალი	64	35	21	8	78
2. ოტავა	61	33	22	6	72
3. ბოსტონი	63	33	24	6	72
4. ტორონტო	62	28	21	13	69
5. ფლორიდა	62	29	23	10	68
6. ტამპა ბეი	62	29	25	8	66
7. ბაფალო	63	26	26	11	63
8. დეტროიტი	61	25	26	10	60

მეტროპოლიტენი

	თ	მ	წ	ოწ	ქ
1. ვაშინგტონი	62	42	13	7	91
2. კოლამბუსი	61	39	16	6	84
3. პიტსბურგი	62	38	16	8	84
4. რეინჯერსი	63	40	21	2	82
5. აილენდერსი	61	29	22	10	68
6. ფილადელფია	62	29	26	7	65
7. ნიუ ჯერსი	62	25	25	12	62
8. კაროლინა	60	25	25	10	60

დასავლეთი

ცენტრალური

	თ	მ	წ	ოწ	ქ
1. მინესოტა	61	41	14	6	88
2. ჩიკაგო	63	40	18	5	85
3. ნეშვილი	63	32	22	9	73
4. სტ. ლუისი	62	31	26	5	67
5. ვინიპეგი	64	28	30	6	62
6. დალასი	63	25	28	10	60
7. კოლორადო	61	17	41	3	37

პასიფიკი

	თ	მ	წ	ოწ	ქ
1. სან ხოსე	62	37	18	7	81
2. ედმონტონი	64	34	22	8	76
3. ანაჰაიმი	63	32	21	10	74
4. კალგარი	64	34	26	4	72
5. ლოს ანჯელესი	63	30	27	6	66
6. ვანკუვერი	62	26	29	7	59
7. არიზონა	62	22	33	7	51

ფეხბურთი

ესპანეთი

დეპორტივო-ატლეტიკო	1:1
სევილია-ბილბაო	1:0

საფრანგეთის თასი

ბერჟერაკი-ლილი	1:2

პოლანდიის თასი

ალკმაარი-კამბური	0:0 პენ. 3:2

დანიის თასი

ოლბორგი-სილკებორგი	5:0

შვეიცარიის თასი

სიონი-ცრინსი	5:1
ბაზელი-ციურიხი	3:1

თურქეთის თასი

ქაისერი-ფენერბაჰჩე	0:3

კალათბურთი

ევროლიგა

ჟალგირისი-ფენერბაჰჩე	67:76
გალათასარაი-რეალი	87:84
ცრ. ზვეზდა-ბამბერგი	74:60
მაკაბი-ოლიმპიაკოსი	71:82
ბასკონია-მილანი	87:74

ჩოგბურთი

ATP. დუბაი

ჰაასე-ძუმჭური	6:2, 4:6, 6:4
ვერდასკო-მონფილსი	6:3, 7:5
მარეი-კოლშრაიბერი	6:7, 7:6, 6:1
დონსკოი-**პუიე**	4:6, 7:5, 6:7

ATP. სან პაულუ

ჯანეზი-**ფონინი**	6:7, 6:7
კუევასი-ბანისი	6:2, 6:2

WTA. კუალა ლუმპური

ბარტი-კატო	6:0, 6:3
ჰანი-კატინსკაია	6:3, 6:0
სორიბესი-**დუანი**	0:6, 6:4, 5:7
ვანგი-ჟენგი	6:1, 6:1
ლინეტი-პენგი	5:2 *უარი*

ფორმულა 1. ტესტები

ტესტები კიმი დაბურა

ბარსელონას ავტოდრომზე წინასასეზონო ტესტების პირველი სესია დასრულდა. გუშინ, საინტერესო დღე იყო. იმის გამო, რომ ახალი ტექნიკური რეგლამენტის თანახმად, გუნდები ფართო საბურავებზე გადადიან, აგრეთვე ბევრი კრიტიკა ისმოდა „პირელის“ წვიმის საბურავების გამო, ეს კომპანია მოელაპარაკა ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაციას იმის შესახებ, რომ ტესტების ერთი დღე „წვიმიანი“ ყოფილიყო.

იმის გამო, რომ ბარსელონაში წვიმას არ პროგნოზირებდნენ, ტესტების მეოთხე დღეს ტრასა ხელოვნურად დაასველეს. რვა ცისტერნა წყალი ღამით დაასხეს ტრეკზე და გუშინდელი სესიის დაწყების წინ, ტრასის მდგომარეობა სავსებით შეესაბამებოდა წვიმიან საბურავებს.

„მერსედესმა“ დილით ვერ შეძლო ტრასაზე გასვლა „ელექტრობასთან“ დაკავშირებული პრობლემების გამო. საჭესთან **ლუის ჰემილტონი** უნდა ყოფილიყო, მაგრამ რემონტი გვიან დასრულდა და ბრიტანელს გუშინდელი დღე გაუცდა. პაუზის შემდეგ, ტრასაზე **ვალტერი ბოტასი** გავიდა.

დროის გასვლასთან ერთად, ტრასა თანდათან გაშრა და გუნდები საშუალედო საბურავებზე გადავიდნენ, ბოლო ორი საათი კი „სლიკებით“ მუშაობდნენ. ეს მონაკვეთი ყველაზე პროდუქტიული აღმოჩნდა.

მეოთხე დღეს წრეზე საუკეთესო დრო **კიმი რაიკონენმა** აჩვენა - მან „სოფტის“ საბურავით წუთი და 20.872 წამი დააფიქსირა. ოთხი დღის განმავლობაში, ფინელმა ორჯერ შეძლო საუკეთესო დროის ჩვენება.

ტესტების პირველი კვირა დასრულებულია. მომავალ კვირას, კერძოდ, სამშაბათს, გუნდები ისევ ბარსელონაში გააგრძელებენ მუშაობას.

IV დღე

1. კიმი რაიკონენი (ფერარი)	1.20,872 (93 წრე)
2. მაქს ფერსტაპენი (რედ ბული)	+0,897 (85)
3. ჯოლიონ პალმერი (რენო)	+0,906 (39)
4. რომენ გროსჟანი (ჰაასი)	+1,437 (118)
5. ანტონიო ჯოვინაცი (ზაუბერი)	+1,529 (84)
6. სერხიო პერესი (ფორს ინდია)	+1,662 (82)
7. სტოფელ ვანდორნი (მაკლარენი)	+1,704 (67)
8. ვალტერი ბოტასი (მერსედესი)	+2,571 (68)
9. ნიკო ჰიულკენბერგი (რენო)	+4,102 (51)

ჩოგბურთი

დამაჯერებელი ნადალი



როჯერ ფედერერი

ავსტრალიის ღია პირველობის შემდეგ, მამაკაცთა ტურის მთავარი ვარსკვლავები ამ კვირას დაბრუნდნენ კორტზე და სხვადასხვა ტურნირზე გადანაწილდნენ: **ნოვაკ ჯოკოვიჩი** და **რაფაელ ნადალი** აკაპულკოში წავიდნენ სათამაშოდ, **ენდი მარეი**, **როჯერ ფედერერი** და **სტენ ვავრინკა** - დუბაიში.

ჯოკოვიჩმა და ნადალმა უკვე გაიარეს ორი წრე აკაპულკოში. რაფამ გუშინ 66 წუთში გაანადგურა იტალიელი **პაოლო ლორენცი** - 6:1, 6:1 და მესამე რაუნდში გავიდა. ნადალმა ხუთი ბრეიკი შეასრულა და მხოლოდ შვიდი ქულა დათმო საკუთარ გეიმებში (28/35). ნაკლებად სავარაუდოა, რომ ესპანელს პრობლემები შეექმნას შემდეგ წრეში, სადაც მისი მეტოქე იქნება იაპონელი **იოშიჰიტო ნიშიოკა**. აღსანიშნავია, რომ რაფას აკაპულკოში 12-დან 12 მატჩი აქვს მოგებული.

გაცილებით რთული მატჩი ჰქონდა გუშინ ნოვაკ ჯოკოვიჩს. ისევე როგორც რიოს ოლიმპიადაზე, სერბს კვლავ ადრეულ ეტაპზე ერგო არგენტინელი **ხუან მარტინ დელ პოტრო**, თუმცა, შარშანდლისგან განსხვავებით, ამჯერად, შეძლო მოგება, ოღონდ უმძიმესი ბრძოლის შემდეგ.

თამაში ორი საათი და 38 წუთი გაგრძელდა. პირველი ორი სეტი სცენარით თითქმის ერთნაირი იყო - ორივეში გამარჯვებული ორ ბრეიკს ასრულებდა, აქედან ერთს ბოლო გეიმში. იგივე მოხდა მესამეში. დელ პოტრო ძალიან ახლოს იყო მოგებასთან - 4:3 გავიდა წინ და მერვე გეიმში თავად აწვდიდა. მაგრამ ჯოკოვიჩმა აღარ დაუშვა არგენტინელთან ზედიზედ მეორე მარცხი. მერვე გეიმში დაკარგული მოწოდება დაიბრუნა, მეათეში კი მატჩში მეხუთე ბრეიკი შეასრულა და ამან, მესამე რაუნდის საგზური მოუტანა - 4:6, 6:4, 6:4.

ჯოკოვიჩის შემდეგი მეტოქე ავსტრალიელი **ნიკ კირგიოსი** იქნება, რომელმაც 6:2, 6:4 დაამარცხა ამერიკელი **დონალდ იანგი** - 6:2, 6:4.

■ ■ ■

დუბაიში უკვე გამოეთიშა ბრძოლას ორივე შვეიცარიელი ფავორიტი. სტენ ვავრინკამ პირველივე წრეში ორი სეტი წააგო ბოსნიელ **დამირ ძუმჰურთან**, როჯერ ფედერერმა კი ძალიან იოლად მოუგო საწყის მატჩში **ბენუა პერს**, მაგრამ სენსაციურად წააგო შემდეგ შეხვედრაში რუს **ევგენი დონსკოისთან**.

არადა, ავსტრალიის ღია პირველობისთვის ყველაფერი კარგად იწყებოდა - ლეგენდამ 5:1 წაიყვანა ანგარიში. როჯერი დომინირებდა კორტზე და ერთ მომენტში ზედიზედ 13 ქულა აიღო. რუსი ბოლოსკენ გამოცოცხლდა, ერთი ბრეიკი დაიბრუნა, მაგრამ 3:6 წააგო.

მეორე სეტი ტაი-ბრეიკამდე მივიდა. დონსკოი თამამად თამაშობდა და პარტიაში ერთადერთი ბრეიკ-პოინტი (რომელიც სეტბოლიც იყო) სწორედ მას ჰქონდა. ტაი-ბრეიკზე ფედერერი მინი-ბრეიკით დაწინაურდა და როცა 6:4-ზე ორმაგი სეტბოლი მიიღო, მატჩის ბედი ყველას გადაწყვეტილი ეგონა. მაგრამ, რუსმა ჯერ ეს ორი საფრთხე მოიგერია, შემდეგ მესამე მატჩბოლზეც გადარჩა და ტაი-ბრეიკი 9:7 მოიგო.

ამ დასანან მომენტს ფედერერზე ფსიქოლოგიურად არ უმოქმედია - შვეიცარიელმა პირველივე შესაძლებლობა გამოიყენა და ნინ გავიდა - 5:2. დონსკოის პასუხი დამაჯერებელი იყო - ზედიზედ ოთხი გეიმი აიღო და 6:5-ზე მატჩზე ჩაწოდების უფლება მიიღო. ფედერერმა ამის საშუალება არ მისცა მეტოქეს, მომდევნო ათი გათამაშებიდან ცხრა მოიგო და ტაი-ბრეიკზე 5:1 დაწინაურდა. აქ კი რუსის მორიგი გმირობა ვნახეთ. მან ზედიზედ ექვსი გათამაშება მოიგო და კარიერაში ყველაზე დიდ გამარჯვებას მიაღწია.

ბოლბოი ძაღლები

სან პაულუს საჩოგბურთო ტურნირის ორგანიზატორები შარშანდელ ექსპერიმენტს გაიმეორებენ. ნახევარფინალებსა და ფინალში ბურთების მიმწოდებლად ძაღლები იმუშავებენ. თუმცა, ისინი კორტზე მხოლოდ მატჩისწინა მოთელვაზე გამოჩნდებიან.

ბოლბოების როლში იქნება ექვსი ძაღლი, რომლებიც ახალ პატრონებს ეძებენ: *„მნიშვნელობა არ აქვს, რა ჯიშისანი არიან, ან რამდენი წლის. როცა ძაღლებს კარგად უვლიან და კარგად კვებავენ, ისინი შეიძლება ცხოვრების კარგი მეგ ზურები გახდნენ. ძაღლებს თამაში უყვართ, ახალ ილეთებს სწავლობენ და დიად საქმეებს სჩადიან“*, - განაცხადა ტურნირის ორგანიზატორმა **მადალენა სპინაზოლამ**.

პირველად მსგავსი ექსპერიმენტი სან პაულუში 2016 წელს ჩატარდა. ტურნირი 5 მარტს დასრულდება.

გვერდი მოამზადა
გია თვალაგეიშვილმა

ჟან ბოროტრას სამი მოგება

ორი ომი, ტყვეობა, ნავთობიდან მოგება და ჯადოქრობა კორტზე – ამბავი უიმბლდონის პირველ არაინგლისელ გამარჯვებულზე

კორტი

გეიმი, სეტი და მატჩი. **ბოროტრა.** არის პირველი ფრანგული გამარჯვება მამაკაცთა უიმბლდონზე. 1924 წლის 5 ივლისს, **სიუზან ლენგლენის** ტრიუმფიდან 5 წლისთავზე, ბრიტანეთმა მამაკაცთა ერთეულთა თანრიგშიც დათმო ლიდერობა. მეზობლები ლა მანშიდან არც კი რისკავდნენ - ბოროტრას მეტოქე თანამემამულე **რენე ლაკოსტი** იყო. კოლეგებმა კორტზე და მეგობრებმა ცხოვრებაში ნამდვილი სპექტაკლი მოაწყვეს: 6:1, 3:6, 6:1, 3:6, 6:4. ამ მოგებით დაიწყო ჟანის ტრიუმფალური სვლა საჩოგბურთო დიდებისკენ.

ერთი წლის შემდეგ, ბოროტრამ დაუბრუნა ვალი ლაკოსტს და დაუთმო მას ტიტული, 1926 წელს კი ისევ ასწია თავს ზემოთ უიმბლდონის თასი - დაამარცხა ამერიკელი **ჰოვარდ კინსი.** ის დიადი დრო იყო მისი ქვეყნისთვის - ინგლისელები ექვსი წელი ადევნებდნენ თვალს - როგორ გარდაიქმნებოდა ლონდონური ტურნირი საფრანგეთის ღია პირველობად. ბოროტრამ ერთეულებში ხუთჯერ ითამაშა ფინალში (ორი მოგება), გარდა ამისა, იყო ოთხი ფინალი წყვილებში (სამი მოგება).

კორტზე ბოროტრა სასწაულებს სჩადიოდა. თამამ თამაშს ბადესთან ხშირი გასვლებით და აუღებელ დარტყმებს ფრანგისთვის მოგება მოგებაზე მოჰქონდა ის არ იყო დომინატორი, როგორიც დღევანდელი ჩემპიონები არიან: **ფედერერი, ნადალი, ჯოკოვიჩი**... ბოროტრა შემოქმედი იყო, მხატვარი, კორტზე თავს იწონებდა მოდური ბერეტით. მისთვის ჩოგბურთი შოუ იყო. ჟანი პირდაპირ კორტზე ელაპარაკებოდა მაყურებლებს. საფრანგეთსა და ავსტრალიას ბოროტრა ისევე იოლად იპყრობდა, როგორც ინგლისის ბალახს, მხოლოდ აშშ-ში ვერ შეძლო გამარჯვება - იმავე ლაკოსტთან წააგო.

ნახტომებისა და რბენის გამო, თანამედროვეები ბოროტრას მოჯირითე ბასკს უწოდებდნენ. ის შეიყვანეს ოთხი მუშკეტერის რიგებში სხვა დიად ფრანგებთან - **ჟაკ ბრუნიონთან,** რენე ლაკოსტთან და **ანრი კოშესთან** ერთად. ამ ტრიოსთან ერთად, ჟანმა მოიგო დევისის თასი 1927 წელს და არავის უთმობდა ამ ტიტულს ზედიზედ ხუთი წლის განმავლობაში. განსაკუთრებით დასამახსოვრებელი იყო 1932 წლის ფინალი, როცა მსაჯის შეცდომამ ბოროტრა დააბრუნა **უილმერ ელისონის** წინააღმდეგ თამაშში (მოიგერია ოთხი მატჩბოლი და მოიგო ხუთ სეტში), არადა, მანამდე ჟანმა კარიერის დასრულების შესახებ გამოაცხადა, მაგრამ გუნდის გადასარჩენად დაბრუნდა.

ომი

ჟანი - ორი მსოფლიო ომის მონაწილეა. 1916 წელს, ის მოხალისედ წავიდა საარტილერიო პოლკში და ორი წელი იცავდა სამშობლოს ფრონტზე, შემდეგ კი რაინის ოლქში მუშაობდა - სხვადასხვა საქმიანობასთან ერთად, დაკავებული იყო სპორტული ტურნირების ორგანიზებით. სწორედ იქ დაინტერესდა ჩოგბურთით და პირველად აიღო ხელში ჩოგანი. პარტნიორთან ერთად, ჟანმა პირველი ტურნირი მოიგო რაინის არმიის მებრძოლებს შორის.

1939 წელს, ჟანს დასრულებული ჰქონდა კორტზე გამოსვლები და ბიზნესზე იყო კონცენტრირებული, როცა ქვეყანა მეორე მსოფლიოს ომში ჩაება. პატრიოტი ბოროტრა ფრონტზე კაპიტნის ჩინით წავიდა, მაგრამ არმიასთან ერთად, რომელსაც უნიათო მხედართმთავრები მართავდნენ, ალყაში მოხვდა და ტყვედ ჩავარდა. 1940 წელს, ჟანი ბრიტანეთში გაქცევას აპირებდა, რათა ფაშიზმთან ბრძოლა გაეგრძელებინა. მაგრამ ბრიტანული ფლოტის არაერთგვაროვანმა რეიდმა მარ-ელ კებირში (ფრანგული ფლოტის განადგურება იმისთვის, რომ ის ხელში არ ჩავარდნოდათ გერმანელებს) და თანამემამულეების დაღუპვამ შეცვალა ბოროტრას განწყობა და თვალსაზრისი. მან უარი თქვა ეროვნული უსაფრთხოების მინისტრის პატიებაზე და დარჩა ვიშის მთავრობაში განათლებისა და სპორტის თანამდებობაზე.

მაგრამ რამდენიმე თვეში **პიერ ლავალმა** ჟანი დაითხოვა და ყოფილი ჩოგბურთელი დაბრუნდა სამუშაოდ Satam-ში, რომელთანაც ჯერ კიდევ ომამდე თანამშრომლობდა. 1942 წელს დაიწყო აქტიური სამხედრო მოქმედებები ჩრდილოეთ აფრიკაში, სადაც იბრძოდნენ თავისუფალი საფრანგეთის ჯარები გენერალ **მარი პიერ კიონიგის** ხელმძღვანელობით. სხვათა შორის, იქვე იბრძოდა შარლ დე გოლიც და ბოროტრამ მათთან გაქცევა ჩაიფიქრა. კორტსა და ცხოვრებაში ყოჩაღი და პოზიტიური, ის ზედმეტად გულუბრყვილო აღმოჩნდა. თავის განზრახვაზე მან ქვეყნის ხელმძღვანელობას აცნობა და მაშინვე გესტაპოში მოხვდა.

ჩემპიონს ძველი დამსახურებები ვერ დაეხმარა - ის მოხვდა მაშინდელი ომის ერთ-ერთ ყველაზე საშინელ ადგილას - ზახზენჰაუზენის ბანაკში. ნახევარი წელი ერთადგილიან საკანში საშინელი კვებით მხოლოდ ათლეტი თუ გაძლებდა. ჟანიც სიკვდილის პირას აღმოჩნდა, მაგრამ ძველმა მეგობარმა რენე ლაკოსტმა იხსნა. მან წერილი გაუგზავნა შვედეთის მეფეს. **გუსტავ V** ჩოგბურთის ცნობილი თაყვანისმცემელი იყო, ფაშისტ ლიდერებს კი არ უნდოდათ შვედეთთან ურთიერთობის გაფუჭება ვიღაც პატიმრის გამო. ბოროტრა იტერის ციხესიმაგრეში გადაიყვანეს - სწორედ იქ ჰყავდათ დამწყვდეული სხვა მნიშვნელოვანი ფრანგი პატიმრები.

თითქოს ჟანს აღარაფერი უშლიდა ხელს - მშვიდად დალოდებოდა ომის დასრულებას, რადგან პირობები ახალ ციხეში სავსებით ნორმალური იყო. მაგრამ, გაიგო რა ციხე-სიმაგრესთან ამერიკული ჯარების მოახლოების შესახებ, ბოროტრამ ისევ გაიხსენა თავისი მუშკეტერული ხასიათი. ის ფანჯრიდან გაიქცა და გლეხის ტანსაცმელში გამოწყობილი გადავიდა ფრონტის ხაზზე. შემდეგ, ციხემდე გაუძღვა ამერიკელებს, რათა მათ ალყა შემოერტყათ გერმანელებისთვის. საინტერესოა, რომ იტერისთვის შეტაკება გახდა ერთადერთი დიდი ბრძოლა, სადაც გერმანელები მოკავშირეებთან ერთად გამოვიდნენ ნაცისტური რეჟიმის წინააღმდეგ.

ბიზნესი

ჯერ კიდევ იქამდე, სანამ მსოფლიო პოპულარობას მოიპოვებდა, ჟან ბოროტრამ სორბონა დაამთავრა, შემდეგ პოლიტექნიკური სკოლა. აშშ-ში ტურნირზე ყოფნისას, ფრანგი ავტოგასამართი სადგურების ქსელით დაინტერესდა და სამშობლოში ანალოგიურის შექმნა წამოიწყო. მოგვიანებით, მსხვილმა კონცერნმა Satam-მა გამოისყიდა მისი ფირმა და თან დაიტოვა ცნობილი ჩოგბურთელი შტატში. ბოროტრა საფრანგეთსა და მთელ მსოფლიოში ნავთობმომპოვებელი კონცერნის პოპულარიზაციით იყო დაკავებული. მაგალითად, ავსტრალიაში მან არა მხოლოდ ტურნირი მოიგო, არამედ სარფიანი კონტრაქტიც გააფორმა. ექსპორტის მენეჯერის რანგში, ჟანმა უდიდეს შედეგებს მიაღწია, ამიტომაც შეინარჩუნა თანამდებობა და მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, უდარდელი სიბერეც გაინაღდა. იმ წლებში, როცა ჩოგბურთელები გროშებს იღებდნენ, ეს ძალიან მნიშვნელოვანი იყო.

ბოროტრას ძეგლი როლან გაროსზე

ლაკოსტი და ბოროტრა

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**

დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გამომცემლობა ლელო
გამოიცემა ყოველდღე, გარდა შაბათ-კვირისა
ISSN 2233-3827
9 772233 382000
დაიბეჭდა სტამბა კოლორში

საპატიო რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე
საკონტაქტო ტელეფონი რედაქციაში
238 84 44; 599 55 48 97

მთავარი რედაქტორი **გია თვალაბეიშვილი**
მთავარი რედაქტორის მოადგილე: **ნიკოლოზ ნეფარიძე (595 09 03 28);** მხატვრული რედაქტორი: **ვაჟა სიმონიშვილი;**
ფოტო: **თამუნა ყულუმბეგაშვილი.**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს“ მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-2015), გია თვალაბეიშვილი (2015-დან)**

პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 2 19 60 13; 2 19 60 53. ელფოსტა: leloltd@gmail.com; მისამართი: **იოსებიძის, 49.** ხელმოწერილია დასაბეჭდად: 03:15 ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი: **ვაჟა სიმონიშვილი**
ტელეფონი: **238 84 44; 238 74 44 (რედაქცია).** ფაქსი: **+995. 232 38 08 63;** ინდექსი **66435 INDEX.** სარეკლამო განყოფილება: **237 78 07; 2 38 78 70;** გაზეთის გამოწერა: **238 26 73.**
რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია
საბანკო რეკვიზიტები: შპს „გამომცემლობა ლელო“, 205262062. ბანკი „ქართუ“ CRTUGE22 ა\ა GE19CR0120007000043608
გაზეთის გამოწერა შეგიძლიათ ინტერნეტით, ვებ-გვერდზე: www.elva.ge ან სატელეფონო შეკვეთის საშუალებით: 237 50 03; ადგილზე მიტანა უფასოა!